



კავკასიის
საერთაშორისო
უნივერსიტეტი
CAUCASUS
INTERNATIONAL
UNIVERSITY

პოსტსაბჭოთა ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკის საღიგზაო და კონსენსუსური კონსენსუსი



თამარ პიკნაძე
დავით კუხადაშვილი
არჩილ მოთაწაშვილი

თამარ კიკნაძე
დავით კუხალაშვილი
არჩილ ორთაწაშვილი

პოსტსაბჭოთა ქვეყნების
უსაფრთხოების პოლიტიკის
სადაზვერვო და
კონტრსადაზვერვო კონტურები



გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი, 2024

რედაქტორი: მარინა ლოშიძე

ჟურნალისტიკის დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: ედიშარ გვანატაძე

ისტორიის დოქტორი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

თანგიზ ანდუღაძე

ისტორიის დოქტორი, თადარიგის
გენერალ-მაიორი, სახელმწიფო და
კორპორაციული უშიშროების
სპეციალისტ-ანალიტიკოსი

მურამ ხორგუანი

თადარიგის პოლკოვნიკი, ყოფილი
სახელმწიფო უშიშროების აკადემიის
სპეცდისციპლინების კათედრის უფროსი

UDC (უაკ) 327.84+355.40

კ-499

ISBN 978-9941-8-7050-7

სარჩევი

შესავალი	5
თავი I. საერთაშორისო ურთიერთობები და სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა	8
თავი II. სადაზვერვო საქმიანობის როლი საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში....	21
თავი III . უსაფრთხო საგარეო პოლიტიკური პროცესის ფორმირებისა და განხორციელების სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ქმედებები	31
თავი IV. საგარეო პოლიტიკის ანალიზი - საფრთხის ნეიტრალიზაციის საფუძველი	41
თავი V. პოსტსაბჭოთა საქართველოს საგარეო პოლიტიკის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის თავისებურებები	50
თავი VI. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური სტრატეგია და მათი სადაზვერვო მნიშვნელობა	64
თავი VII. გლობალიზაცია და რეგიონული ინტეგრაციის გამომწვევი ფაქტორები სამხრეთ კავკასიაში	78
თავი VIII. რუსეთის ფედერაციის საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის სპეციფიკა საბჭოთა მემკვიდრეობიდან პატრიოტულ „დერჟავამდე“	88

თავი IX. ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელის სადამგვერვო და კონტრსადამგვერვო მონწყვლადობა.....	102
თავი X. რუსეთის ფედერაციის სამხედრო რეფორმების გეოპოლიტიკური საფუძვლები 1992-2008 წლებში.....	111
თავი XI. პოსტსაბჭოთა საქართველოს თავდაცვითი პოლიტიკის ვექტორის ცვლილება დსთ-დან ნატომდე.....	126
თავი XII. მთიანი ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტის კლასიფიკაცია და სადამგვერვო თავისებურებები	137
თავი XIII. ბალტიისპირეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების თავისებურებები	147
თავი XIV. ცენტრალური აზიის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და თავისებურებანი	164
დასკვნა	189
ბიბლიოგრაფია	199

შესავალი

თანამედროვე ეტაპზე განასხვავებენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მიმართულებებს. სახელმწიფოს უსაფრთხოება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყნის ინტერესების შესაბამისი საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებაზე. სახელმწიფოში სტაბილური ვითარების უზრუნველყოფისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების წარმატებულ საქმიანობას. მათ გააჩნიათ თავიანთი სამიზნე/შელწევადობის ობიექტები, სახელმწიფოს უსაფრთხოების სეგმენტების სახით.

სადაზვერვო საქმიანობა უზრუნველყოფს წარმატებულ საერთაშორისო ურთიერთობებს, მისი დანიშნულებაა საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს სამიზნე ქვეყნების სამხედრო თუ ეკონომიკურ ბლოკებში, ალიანსებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ინფორმაციების საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ მოპოვებაზე.

კონტრსადაზვერვო აქტივობები მიმდინარეობს სახელმწიფოს შიგნით, რომელთა დანიშნულებაც უცხო სახელმწიფოებიდან/სპეციალური სამსახურებიდან მომდინარე საფრთხეების დროული გამოვლენა-აღკვეთაა.

პოსტსაბჭოთა სივრცე საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი მდებარეობენ საერთო ისტორიული წარსულის მქონე ქვეყნები, რომლებიც საბჭოთა/კომუნისტური სივრცის ნეიტრალიზაციისა და დაშლის შედეგად წარმოიქმნენ. აღნიშნული პროცესი აშშ-სა და საბჭოთა კავშირის სადაზვერვო სამსახურების აქტიური ბრძოლის შედეგია. ამ ბრძოლაში წარმატება აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამსახურმა მოიპოვა.

„ცივი ომის“ პერიოდში, კოლექტიური დასავლეთის

საერთაშორისო ასპარეზზე დომინირებისთვის, დამარცხებულ იქნა მისი უმთავრესი მეტოქე, საბჭოთა კავშირი. უკვე პოსტსაბჭოთა სივრცეზე კი მასშტაბური ტემპებით განვითარდა საღაზვერვო სამსახურების ახალი აგენტურული ქსელი.

პოსტსაბჭოთა სივრცისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ფაქტორები. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის არსებობის პირობებში, მასში შემავალმა სუბიექტებმა პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური და სახელმწიფოებრივი განვითარების მიმართულებებით სხვადასხვა ეტაპი განვლეს. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ კი ეს პროცესები მოდიფიცირდა. მათი პოსტსაბჭოთა პოლიტიკური განვითარება ბევრი საერთო ნიშნით ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ ამ სახელმწიფოებში უცხო ქვეყნების საღაზვერვო სამსახურების ინტერესების გადაკვეთის შედეგად სხვადასხვა ხასიათის კონფლიქტები წაახალისეს. მათ რიცხვს მიეკუთვნება: დნესტრისპირეთის სეპარატისტული ხასიათის კონფლიქტი; აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხასიათის კონფლიქტები; მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი.

საღაზვერვო აქტივობების შედეგია 1991-1993 წლების სამოქალაქო ომი საქართველოში, რომელიც იმჟამინდელი ხელისუფლების ძალადობრივი დამხობით დასრულდა, აგრეთვე 1992-1997 წლების სამოქალაქო ომი ტაჯიკეთში.

საღაზვერვო საქმიანობის ნიშნებს შეიცავს პოსტსაბჭოთა სივრცეში განხორციელებული „ფერადი რევოლუციები“: 2003 წლის საქართველოს „ვარდების რევოლუცია“, 2004-2005 წლების უკრაინის „ნარინჯისფერი რევოლუცია“, 2005 წლის ყირგიზეთის „ტიტების რევოლუცია“ და საომარი მოქმედებები უკრაინაში.

დამოუკიდებლობის მიღების პირველივე ეტაპზე, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები რუსეთის ფედერაციის გარდა, განიცდიდნენ სახელმწიფოს მმართველობის პრაქტიკისა

და გამოცდილი პოლიტიკური ელიტის ნაკლებობას. ეს კი ბუნებრივია, ხელს უშლიდა უსაფრთხო სამინაო და საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელებას. ვითარებას ის გარემოებაც ართულებდა, რომ კოლექტიური დასავლეთი ეწეოდა აქტიურ სადამვერვო საქმიანობას და ამ ფონზე აყალიბებდა ახალ აგენტურულ აპარატს. ამასთან რუსეთის ფედერაცია პოსტსაბჭოთა სივრცეზე ფლობდა მასშტაბურ სადამვერვო-აგენტურულ ქსელს, რომელიც მან მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა სპეციალური სამსახურებისგან.

წინამდებარე მონოგრაფია მიზნად ისახავს რეტ-როსპექტრულად გადმოვცეთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განვითარებული მოვლენები, რომელშიც იკვეთება სადამვერვო საქმიანობის ნიშნები და უმეტეს შემთხვევებში კონტრსადამვერვო უწყებების უუნარობა. სწორედ ამ გარემოებამ სერიოზული ასახვა ჰპოვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, რის გამოც ისინი ვერ ჩამოყალიბდნენ სუვერენულ, უსაფრთხო ქვეყნებად. ამ პროცესზე თავისი გავლენა იქონია აგრეთვე გლობალიზაციის პროცესმაც, რომელიც ბიპოლარული სამყაროს დასრულებისთანავე განვითარდა. ამ სახელმწიფოებში ქვეყნის აღმშენებლობა შეფერხებულ იქნა, ერთი მხრივ, „დასუსტებულ რუსეთსა“ და გამარჯვებულ დასავლეთს შორის არსებული დაპირისპირების ფონზე. ბორის ელცინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რუსეთმა დააფიქსირა თავისი, როგორც გლობალური მოთამაშის ინტერესები, რომლებმაც დაპირისპირება ახალ ფაზაში შეიყვანა და ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება დააჩქარა. ამ ვითარებაში პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები ახალი დილემის - არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ, რაც განპირობებულია ახალი მსოფლო წესრიგის ფორმირებით და მსოფლიოს ახალი გადანაწილებით.

თავი I

საერთაშორისო ურთიერთობები და სადაზვერვო და კონფიდენციალური საქმიანობა

სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება და მის განვითარებაზე ზრუნვა ნებისმიერი ხელისუფლებისთვის უმნიშვნელოვანეს მიზანს წამოადგენს. ამ მიზნების განხორციელებისთვის ხელისუფლება გეგმავს სათანადო ამოცანებს, აყალიბებს კომპლექსურ ღონისძიებათა ნუსხას. აღნიშნული მიზნისა და ღონისძიებების აღსრულება მიმდინარეობს როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე საგარეო ასპარეზზე.

- საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისა და დაგეგმვისათვის მნიშვნელოვანია 5 ძირითადი კომპონენტი:
- საკუთარ ქვეყანასა და დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოებში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და ეკოლოგიური ვითარება;

აღნიშნული მიმართულებებით სახელმწიფოთა ეკონომიკურ, სამხედრო გაერთიანებებს/ბლოკებში არსებული ვითარება.

საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის განსაკუთრებული როლი ენიჭება სახელმწიფოს სტრუქტურების ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხს, მათ შორის „უსაფრთხო ინფორმაციული ვერტიკალის“ შექმნის უზრუნველყოფას. იგი ითვალისწინებს უსაფრთხოების განმაპირობებელი ინფორმაციული ნაკადების დაცვას, ამ ინფორმაციაზე მომუშავე პირთა განსაზღვრასა და დოკუმენტაციის უსაფრთხო ბრუნვას.

ყველა სახელმწიფოს უსაფრთხო საგარეო პოლიტიკის დაგეგმარებისათვის აქვს შესაძლებლობა აქტიურად გამოიყენოს:

- სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები;
- სპეცსამსახურები.

ამ სტრუქტურების კოორდინირებული მუშაობის პირობებში შესაძლებელია მიღებულ იქნას სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და უსაფრთხო საგარეო პოლიტიკის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ინფორმაციული ნაკადები, როგორც ღია, ისე დახურული წყაროებიდან. მათი სამეცნიერო-ანალიტიკური, დამუშავებისა და ხელისუფლებისთვის მიწოდებული დოკუმენტური მასალის საფუძველზე სახელმწიფოს უმაღლეს იერარქიას ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს მართებული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილება პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და ეკოლოგიური ხასიათის კავშირურთიერთობების დამყარების, გაფართოების, შეზღუდვის, შეწყვეტის და სხვ. თაობაზე. აღნიშნული გარემოება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სათანადო პირობებს უზრუნველყოფს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ, საგარეო პოლიტიკის მეშვეობით, შესაძლებელია სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების აღსრულება და უსაფრთხო კავშირურთიერთობების ობიექტების, ასევე ამ ურთიერთობის მასშტაბების განსაზღვრა.

წარმატებული საგარეო პოლიტიკის მეშვეობით იქმნება სახელმწიფოს დადებითი იმიჯი და მყარდება მისი პოზიციები, რომლებიც ყველა მიმართულებით განსახორციელებელი საგარეო პოლიტიკის წარმატების მნიშვნელოვან ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სამიზნე სახელმწიფოს დასასუსტებლად, დაინტერესებული სახელმწიფო/

სახელმწიფოთა გაერთიანება მოქმედებს ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კავშირების შესუსტება-დაშლაზე, მისი იმიჯის შელახვაზე, რათა ხელი შეუშალოს მისი უსაფრთხოების განმსაზღვრელი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების შემდეგ სამიზნე ქვეყანა მოწყვლადი ხდება. ამ შემთხვევაში ხდება:

- უსაფრთხო საგარეო პოლიტიკის შემუშავებაზე ხელშეშლა;
- დამაზიანებელი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური დამოკიდებულების უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ბენოლით სასურველი პოლიტიკური გადაწყვეტილების (მათ შორის, კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ ეკონომიკური ბლოკადის) ორგანიზება;
- ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკში, საომარ მოქმედებებში ჩართვა და სხვ.

უსაფრთხო საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისთვის უმნიშვნელოვანესია სახელმწიფომ უზრუნველყოს საკუთარ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში საგარეო პოლიტიკის შესწავლა, როგორც წარსულის, ისე თანამედროვე მოვლენებისა და პროცესების ფონზე, რათა შედგენილ იქნას მნიშვნელოვანი კლასიფიკატორები სახელმწიფოთა სტრატეგიული მიზნების, ამოცანების ამოხსნისა და პერსპექტიული შედეგების განსაზღვრისთვის. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ისტორიულ მოვლენებში პარალელიზმის გამოაშკარავება, დაშვებული შეცდომების გააანალიზება მათი გამეორების თავიდან ასაცილებლად.

საშინაო და საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა-

განხორციელებისას მნიშვნელოვანია, როგორც ღია, ისე დახურული (გრიფირების ქვეშ არსებული) სამეცნიერო კვლევების განხორციელება და მათი შედეგების გათვალისწინება. ინფორმაციის „ჯვარედინი გადაკვეთის“ [ღიაწყაროები+დახურული წყაროები (სპეცსამსახურებში საიდუმლოების გრიფით დაცული ინფორმაცია)] საფუძველზე დემინფორმაციული ნაკადების დროული ნეიტრალიზაცია, სანდოობით და სრულყოფილებით გამორჩეული ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება, საგარეო პოლიტიკის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურებისთვის მიწოდება და რეაგირება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტიაა.

შესაბამისად, მზერავი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შესაძლოა წარმოადგენდეს სამიზნე სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკური სექტორის შესუსტება-დაშლა. ამ შემთხვევაში სამიზნე სახელმწიფოს ხელისუფლება მოქმედებს მხოლოდ მაღალ იერარქიაზე მდგომი პირის „მე მსურს, მე მიმაჩნია, რომ“-ის პრინციპით ან უცხო სახელმწიფოს სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით. ორივე შემთხვევაში გაზრდილია დამაზიანებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელების ალბათობა. ამ შემთხვევაში მართებული იქნება გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის ფორმულა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს.“ სახელმწიფომ მხოლოდ საკუთარ ინსტიტუტებზე დაყრდნობით უნდა შეძლოს საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად დაგეგმვა და ეროვნული ინტერესიდან გამომდინარე წინასწარ შერჩეულ და შესწავლილ სტრატეგიულ პარტნიორთან ერთად მისი განხორციელება.

ვახტანგ მაისაია თავის სახელმძღვანელოში¹ პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით განსამდვრავს საგარეო პოლიტიკის

1 მაისაია ვ. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები „ცივი ომის“ შემდეგ, სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013 წელი, გვ. 23.

პროცესის საგარეო მოდელს:

1. პრობლემის განსაზღვრა:
 - 1.1. პროცესის/მოვდენის მონიტორინგი;
 - 1.2. პროცესის კორექციის დადგენა პოლიტიკურ სისტემასთან.
2. პრობლემის შეფასება:
 - 2.1. ანალიტიკური მოდელის განსაზღვრა;
 - 2.2. სცენარების შემუშავება;
3. პრობლემის გადაჭრა-გადაწყვეტილების მიღება/იმპლემენტაცია:
 - 3.1. პოლიტიკური ხელმძღვანელობის არჩევანი;
 - 3.2. ბიუროკრატიული აპარატის ჩარევა.

ინფორმაციული უზრუნველყოფისა და მასში მონაწილე სტრუქტურების მონაწილეობის თვალსაზრისით განვახორციელოთ აღნიშნული მოდელის სრულყოფა.

საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა უნდა ემყარებოდეს ინფორმაციებს, ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის ეს ნაკადი იყოს დროული, სრულყოფილი და სანდო.

სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეები ქრონოლოგიურად უნდა დალაგდეს და მათი გათვალისწინებით უნდა მოხდეს, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა. ამრიგად, სახელმწიფოს წინაშე არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური **საფრთხეების/პრობლემების იდენტიფიცირებაში** მონაწილე სტრუქტურებს წარმოადგენენ:

- **დარგობრივი სამინისტროები, საწარმოები, დაწესებულებები** (მნიშვნელოვანია იქ არსებული ღია და საიდუმლო ინფორმაციები);
- **სახელმწიფო და არასახელმწიფო კომპანიები** (მნიშვნელოვანია იქ არსებული ღია და საიდუმლო ინფორმაციები);
- **სახელმწიფოს სადაზვერვო უწყება** (საერთაშორისო

ასპარეზზე არსებული ვითარების, საკუთარი სახელმწიფოსადმი მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ ინფორმაციები);

- **სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო უწყება** (უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების, მათი წარმომადგენლების მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებების, არსებული ინტერესების შესახებ საიდუმლო ინფორმაციები);
- **შინაგან საქმეთა სამინისტრო** (პრობლემასთან/საფრთხესთან დაკავშირებული კომპეტენციის შესაბამისი ოპერატიული ვითარების შესახებ საიდუმლო ინფორმაციები);
- **ოპერატიული საქმიანობის განმხორციელებელი სხვა უწყებები**, რომლებსაც აქვთ ინფორმაციები უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეების, კომპანიების დამაზიანებელი (მათ შორის ფინანსური) საქმიანობის შესახებ;
- **დარგობრივი** (საფრთხის/პრობლემის გადაწყვეტისათვის პროფილური) **სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები** (პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების სადოქტორო, სამაგისტრო, საბაკალავრო ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, განსახორციელებელი ლაბორატორიული კვლევები).

პრობლემის შეფასების პროცესში მონაწილე მხარეების რაოდენობა თანდათან მცირდება და მასში შესაძლოა მონაწილეობდნენ:

- **სახელმწიფოს სადაზვერვო უწყება**, ხაზობრივი (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოება) ან გეოგრაფიული (ევროპის კონტინენტი, აზია, აფრიკა და სხვ.) პრინციპით შერჩეული ოპერატიული

თანამშრომელი, ანალიტიკოსი, ხელმძღვანელი პირი). არსებობს მნიშვნელოვანი წინაპირობა უწყებაში საიდუმლოების გრიფით დაცული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით შემუშავებულია ანალიტიკური მოდელები, სათანადო ინფორმაციის დამუშავებისათვის.

ანალიტიკური ინფორმაციების საფუძველზე მუშავდება პრობლემის/საფრთხის ნეიტრალიზაციის, რისკის მინიმუმამდე დაყვანის სცენარები;

- **სახელმწიფოს კონტრსადაზმერვო უწყება**, ხაზობრივი ან გეოგრაფიული პრინციპით შერჩეული ოპერატიული თანამშრომელი, ანალიტიკოსი, ხელმძღვანელი პირი. არსებობს მნიშვნელოვანი წინაპირობა. უწყებაში საიდუმლოების გრიფით დაცული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით შემუშავებულია ანალიტიკური მოდელები, სათანადო ინფორმაციის დამუშავებისათვის. ანალიტიკური ინფორმაციების საფუძველზე მუშავდება პრობლემის/საფრთხის ნეიტრალიზაციის, რისკის მინიმუმამდე დაყვანის სცენარები;
- **დარგობრივი** (საფრთხის/პრობლემის გადაწყვეტი-სათვის პროფილური) **სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები** (პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები), სადაც პრობლემის/საფრთხის შესწავლა ხორციელდება საიდუმლო რეჟიმის პირობებში, სამეცნიერო-კვლევით სეგმენტში არსებული ანალიტიკური მოდელების გამოყენებით;
- მიზანშეწონილობის შემთხვევაში **მონვეული ექსპერტები** (გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმით საკვლევი საფრთხის/პრობლემისადმი), რომლებიც მონაწილეობენ გემორჩამოთვლილი ჯგუფების მუშაობაში, პასუხობენ შეკითხვებს, იძლევიან რეკომენდაციებს პრობლემის/საფრთხის ნეიტრალიზაციის, რისკის მინიმუმამდე დაყვანის

მეთოდების შესახებ. მონაწილეობენ სცენარების შემუშავების პროცესში.

რაც შეეხება გადანაცვტილების მიღების პროცესს, მასში შესაძლოა მონაწილეობდნენ:

- პრეზიდენტი;
- პრემიერ-მინისტრი;
- საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე;
- სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი;
- კონტრსადაზვერვო უწყების ხელმძღვანელი;
- ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი;
- საგარეო საქმეთა მინისტრი.

ამ ჯგუფის წევრები კონკრეტული მეთოდების გამოყენებით, დროულობით, სანდოლობით, სრულყოფილებით გამორჩეული, ღია და საიდუმლო ხასიათის ანალიტიკურ დოკუმენტებზე დაყრდნობით შემუშავებული მოქმედებათა სცენარის საფუძველზე მონაწილეობენ ჯგუფური გადანაცვტილების მიღების პროცესში.

ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა მიმდინარეობდეს საიდუმლოების გრიფის ქვეშ, რათა არსებობდეს დამაზიანებელი შედეგების შემთხვევაში მყარი ანალიზის და რეაგირების შესაძლებლობა, რათა არ მოხდეს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დამაზიანებელი ინფორმაციების გაჟონვა. ყველა პროცესი და პოზიცია უნდა იყოს დოკუმენტირებული, რათა მოსალოდნელ დამაზიანებელ შედეგებზე არსებობდეს რეაგირების შესაძლებლობა. შესაბამისად, პროცესში მონაწილე ყველა პირი, სულ მცირე, უნდა ექვემდებარებოდეს საიდუმლოების დაცვის რეჟიმს.

ამრიგად, შეგვიძლია წარმოვადგინოთ საგარეო პოლიტიკის პროცესის ორგანიზების, ინფორმაციული უზრუნველყოფისა და მონაწილე სტრუქტურების სავარაუდო მოდელი:

პროცესი	პროცესის სტრუქტურა	მონაწილე მხარეები	ინფორმაციის სახეობა
1. პრობლემის განსაზღვრა	პროცესის/ მოვლენის მონიტორინგი	დარგობრივი სამინისტროები, საწარმოები, დაწესებულებები	დია და საიდუმლო ინფორმაციები
	პროცესის კორელაციის დადგენა პოლიტიკურ სისტემასთან	სახელმწიფო და არასახელმწიფო კომპანიები	დია და საიდუმლო ინფორმაციები
			საერთაშორისო ასპარეზზე არსებული ვითარების, საკუთარი სახელმწიფოსადმი მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ ინფორმაციები
		სახელმწიფოს სადაზვერვო უწყება	უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების, მათი წარმომადგენლების მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებების, არსებული ინტერესების შესახებ ინფორმაციები
		სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო უწყება	

	2. პრობლემის შეფასება	ანალიტიკური მოდელის განსაზღვრა	შინაგან საქმეთა სამინისტრო	პრობლემასთან/საფრთხესთან დაკავშირებული კომპეტენციის შესაბამისი ოპერატიული ვითარების შესახებ ინფორმაცია
			ოპერატიული საქმიანობის განმხორციელებელი სხვა უწყებები	ინფორმაციები უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეების, კომპანიების დამაზიანებელი (მათ შორის ფინანსური) საქმიანობის შესახებ
			დარღვრის (საფრთხის/პრობლემის გადაწყვეტისათვის პროფილური) სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები	პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების სადოქტორო, სამაგისტრო, საბაკალავრო ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, განსახორციელებელი ლაბორატორიული კვლევები
			სახელმწიფოს სადაზღვეო უწყება ხაზობრივი (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა) ან ობიექტური (ევროპის კონტინენტი, აზია, აფრიკა და სხვა) პრინციპით შერჩეული ოპერატიული თანამშრომელი, ანალიტიკოსი, ხელმძღვანელი პირი	საიდუმლოების გრიფით დაცული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით შემუშავებული ანალიტიკური მოდელები, სათანადო ინფორმაციის დამუშავებისათვის ანალიტიკური ინფორმაციების საფუძველზე მუშავება პრობლემის/საფრთხის ნეიტრალიზაციის, რისკის მინიმუმამდე დაყვანის სტრატეგიები

სცენარების შემუშავება	სახელმწიფოს კონტრსადაზვრვო უწყება ხაზობრივი ან ობიექტური პრინციპით შერჩეული ოპერატიული თანამშრომელი, ანალიტიკოსი, ხელმძღვანელი პირი)	საილუმლოების გრიფით დაცული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით შემუშავებულია ანალიტიკური მოდელები, სათანადო ინფორმაციის დამუშავებისათვის. ანალიტიკური ინფორმაციების საფუძველზე მუშავდება პრობლემის/საფრთხის ნეიტრალიზაციის, რისკის მინიმუმამდე დაყვანის სცენარები
	დარგობრივი (საფრთხის/პრობლემის გადაწყვეტისათვის პროფილური) სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები (პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები)	პრობლემის/საფრთხის იდენტიფიცირება საილუმლო რეჟიმის პირობებში, სამეცნიერო-კვლევით სემინარებში არსებული ანალიტიკური მოდელების გამოყენებით
	მიზანშეწონილობის შემთხვევაში მოწვეული აქცენტები (რომლებიც გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმით საკვლევი საფრთხის/პრობლემისადმი)	მონაწილეობენ ზემოქამოთვლილი ჯგუფების მუშაობაში, პასუხობენ შეკითხვებს, იძლევიან რეკომენდაციებს პრობლემის/საფრთხის ნეიტრალიზაციის, რისკის მინიმუმამდე დაყვანის მეთოდების შესახებ. მონაწილეობენ სცენარების შემუშავების პროცესში

3. გადაწყვეტილების მიღება/იმპლემენტაციის პროცესი	პოლიტიკური ხელმძღვანელობის არჩევანი	პრეზიდენტი	არსებული ინფორმაციების საფუძველზე კონკრეტული მეთოდების, მოქმედებათა სცენარის შესახებ ჯგუფური გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა
	ბიუროკრატიული აპარატის ჩარევა	პრემიერ-მინისტრი	არსებული ინფორმაციების საფუძველზე კონკრეტული მეთოდების, მოქმედებათა სცენარის შესახებ ჯგუფური გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა
		საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე	არსებული ინფორმაციების საფუძველზე კონკრეტული მეთოდების, მოქმედებათა სცენარის შესახებ ჯგუფური გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა
		საღზავნო და კონტრსაღზავნო სამსახურების ხელმძღვანელები	არსებული ინფორმაციების საფუძველზე კონკრეტული მეთოდების, მოქმედებათა სცენარის შესახებ ჯგუფური გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა
		ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი	არსებული ინფორმაციების საფუძველზე კონკრეტული მეთოდების, მოქმედებათა სცენარის შესახებ ჯგუფური გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა

აღნიშნული მოდელირება ხელს უწყობს ხელისუფლების/ მოხელის მხრიდან გამოირიცხოს/მინიმუმამდე დავიდეს ეროვნული ინტერესის საწინააღმდეგოდ, საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისას, „მე მსურს, მე მიმაჩნია, რომ“-ის პრინციპით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. შესაბამისად, აღნიშნული მოდელით შემცირებულია გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფში უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურის ზეგავლენის და შელწევადობის შესაძლებლობა.

თანამედროვე საგარეო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებულ როლს იძენს ციფრული ტექნოლოგია და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. „საერთაშორისო ურთიერთობა და უსაფრთხოება, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში მოიცავს რიგ უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს, მათ შორის: კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვას; კონფიდენციალურობის დაცვას; საერთაშორისო თანამშრომლობას; კიბერტერორიზმს, უსაფრთხოების პოლიტიკას.“² ყველა ზემოხსენებული მიმართულება წარმოადგენს სახელმწიფოს ბრუნვის/დაცვის უმნიშვნელოვანეს ობიექტს, რადგან მათში უცხო სახელმწიფოს (ე.ი. სადაზვერვო სამსახურის) შელწევადობა სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე დამანგრეველი შედეგებს იწვევს, მათ შორის სახელმწიფოებრიობის დალას.

საგარეო პოლიტიკის დაგეგმარების პროცესში, მონაწილე პირების პროფესიონალიზმთან ერთად მნიშვნელოვანია საკუთარი სახელმწიფოს ერთგულება, სათანადო მომზადებით საიდუმლოების რეჟიმის დაცვის კარგად გააზრება და მისი დაცვა, როგორც პროფესიული მოვალეობის შესრულების მომენტში, ისე ამ მოვალეობის დასრულების შემდგომაც.

2 Eriksson Johan, Giampiero Giacomello, „International Relations and Security in the Digital Age,“ First published 2007, p.2, <https://vdoc.pub/download/international-relations-and-security-in-the-digital-age-international-relations-and-security-in-the-digital-age-routledge-advances-in-international-relations-and-global-politic-chhra6pchks0>

თავი II

სადაზვერვო საქმიანობის როლი საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში

სადაზვერვო საქმიანობის ნიშნები საერთაშორისო ურთიერთობებში უძველესი პერიოდიდან იკვეთება. დღემდე სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში სადაზვერვო საქმიანობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი უკავია. ამ საქმიანობის არეალი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებია და იგი თვალისწინებს ქვეყნის დაცვას საგარეო საფრთხეებისაგან და სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება. საერთაშორისო ურთიერთობები დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური, კულტურული და სხვა სტრატეგიული მიმართულებით მიმდინარეობს. სადაზვერვო საქმიანობა ამ ურთიერთობების ჩამოყალიბება-გაფართოების, კონტროლის, შეზღუდვა-შენწყვეტისა და სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად ხორციელდება.

სადაზვერვო საქმიანობა წარმოადგენს ქმედებათა კომპლექსს, რომლის მიზანია პერსპექტივის გათვალისწინებით, სახელმწიფოს სტრატეგიული კურსის გატარებასთან ერთად, მზვერავი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებზე დამაზიანებელი ქმედებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი. სადაზვერვო საქმიანობა შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც მაღალი კონსპირაციის პირობებში საიდუმლო ინფორმაციული და ოპერაციული საქმიანობის ორგანიზების პროცესი. ამ დროს მზვერავი სახელმწიფო ახორციელებს სამიზნე ქვეყნის შესაძლებლობების, განზრახვების

შესახებ ინფორმაციის შეკრებას, მათ ანალიტიკურ დამუშავებას, ამ სახელმწიფოსაგან მომდინარე შესაძლო საფრთხეების დროულ გამოვლენა-შეფასებას. ამ საფრთხეების დროული აღკვეთის მიზნით, მზვერავი სახელმწიფო შესაბამის მიზანმიმართულ ღონისძიებებს გეგმავს და სათანადოდ რეაგირებს. როგორც სადაზვერვო საქმიანობის განმარტებიდან ჩანს, ამ საქმიანობის წარმატებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მოპოვებას, რაც სადაზვერვო საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. სადაზვერვო ინფორმაცია ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტია, რომელზე დაყრდნობითაც ადრესატი სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს.

სადაზვერვო ღირებულების მქონე ინფორმაცია, რომელიც ხასიათდება დროულობით, სანდოობითა და სრულყოფილებით. განასხვავებენ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების ღია (მასმედია, დიპლომატიური წარმომადგენლობები და სხვ.) და ფარულ (აგენტურული აპარატი, ტექნიკური საშუალებები და სხვ.) საშუალებებს. მათგან მიღებული ინფორმაციის შეჭერების შედეგად იქმნება სათანადო ანალიტიკური დოკუმენტი და უსაფრთხო საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისათვის წარედგინება ქვეყნის პოლიტიკურ მმართველობას.

გემოაღნიშნული განსაზღვრებისა და სადაზვერვო საქმიანობის ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან უსაფრთხო საერთაშორისო კავშირების უზრუნველყოფა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც:

- მზვერავ სახელმწიფოს აქვს დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოზე პირველადი სახის ოპერატიული ინფორმაცია;
- მზვერავ სახელმწიფოს აქვს პირველადი ინფორმაციის გადამოწმების, სრულყოფის, საფრთხეების იდენტი-

ფიცირების და მათზე ოპერატიული რეაგირების მყარი სისტემა;

- მზვერავ სახელმწიფოს საკუთარი ინტერესების გასატარებლად, სახელმწიფო სტრუქტურებში, პოლიტიკურ პარტიებში და სხვ. ჩანერგილი ჰყავთ საკუთარი ინტერესების გამტარებელი პირები და ჯგუფები.

კონსპირაციის დაცვა და მზვერვის წარმატების მნიშვნელოვანი საფუძველია. კონსპირაცია გულისხმობს სადაზვერვო ქმედებების კვალი ფიციურად შენიღბვას, რომლის გარეშე წარმატებული სადაზვერვო შედეგის მიღწევა პრაქტიკულად წარმოუდგენელია. კონსპირაციის პროცესში დემინფორმაციის მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქმედებათა წარმატებას.

სადაზვერვო სამსახურების მეშვეობით ხორციელდება საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების დამყარება. ამ საქმიანობაში ჩამოყალიბებული კავშირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა შედის.

სადაზვერვო საქმიანობა ადამიანური და ტექნიკური საშუალებებით ხორციელდება. მიუხედავად სამყაროს ტექნოლოგიური განვითარების მაღალი დონისა, ადამიანი, როგორც მოაზროვნე - კონკრეტულ სიტუაციაზე მორგების საუკეთესო უნარის მქონე პერსონა, სადაზვერვო საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

საერთაშორისო ურთიერთობებში „ადამიანი არა მარტო მწარმოებელი (პირველადი), არამედ ასევე ამ ურთიერთობების შემმეცნებელიცაა.“³ განასხვავებენ სადაზვერვო საქმიანობის 5 ძირითად მიმართულებას:

3 პატარაია დავით. „საერთაშორისო ურთიერთობები. დისციპლინა და თეორია“. გამომცემლობა „არტე“, თბილისი, 2015. გვ.8

- პოლიტიკური დაზვერვა;
- ეკონომიკური დაზვერვა;
- სამხედრო დაზვერვა;
- ეკოლოგიური დაზვერვა;
- სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვა.

შესაბამისად, უსაფრთხო საერთაშორისო ურთიერთობების ორგანიზებისათვის მზვერავი სახელმწიფოები ზემოაღნიშნული მიმართულებების მიხედვით შეისწავლიან:

- „პოლიტიკური დაზვერვის ობიექტებს;
- ეკონომიკური დაზვერვის ობიექტებს;
- სამხედრო დაზვერვის ობიექტებს;
- სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის ობიექტებს“⁴
- ეკოლოგიური დაზვერვის ობიექტებს.

ყველა სახელმწიფო სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებს საკუთარი სტრატეგიული მიზნების, ამოცანების, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობის შესაბამისად. სამიზნე ობიექტისათვის დამანგრეველი შედეგები ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობის სისტემური და კომბინირებული მართვის შედეგად მიიღწევა. ღია და ფარული მეთოდებით აქტიური ქმედებების შედეგად მზვერავი სახელმწიფო დაზვერვის ობიექტ ქვეყანაში აღწევს:

- ხელისუფლებისა და საზოგადოების დემორალიზაციას;
- სახელმწიფოს შიგნით, საერთაშორისო არენაზე ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების კომპრომეტაციას;
- არსებული წესწყობილების ძალადობრივ დამხობას;
- ტერიტორიული მთლიანობის რღვევას;
- სახელმწიფოს სექტორულ დასუსტებას, უცხო

4 ენდელაძე თენგიზ. „საგარეო დაზვერვის ობიექტები“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი. თბილისი. 2007. გვ.9

სახელმწიფოებზე დამაზიანებელი დამოკიდებულების ორგანიზებას;

- მზვერავი სახელმწიფოს მიმართ ტენდენციური-დადებითი განწყობის მქონე პოლიტიკური და არასამთავრობო ჯგუფების შექმნას, მათ ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას;
- პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური ბერკეტების ხელში ჩაგდებას (ნაწილობრივი/მთლიანი კონტროლი) და სხვ.

სადაზვერვო სამსახურის წარმატებაზე შეგვიძლია ვისაუბროთ იმ შემთხვევაში, როდესაც არის:

- დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს წესწყობილებაზე და საერთაშორისო ურთიერთობებზე დამაზიანებელი ზეგავლენა;
- დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში არსებული ვითარების, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესახებ ინფორმაციებზე წვდომა და ინფორმაციის შეგროვებისათვის ხელსაყრელი ვითარების შექმნა;
- დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში სადაზვერვო პოზიციების (აგენტურული აპარატი, ტექნიკური საშუალებებით შეღწევადობა და სხვ.) შექმნის ორგანიზებული პროცესი.

სადაზვერვო კონტროლისათვის მნიშვნელოვანია მზვერავი სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაზე, სხვადასხვა ინსტიტუციაზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე და სხვ. განხორციელდეს დამაზიანებელი ზეგავლენა-ქმედებები სადაზვერვო საქმიანობის გემოაღნიშნული ხუთივე მიმართულებით, რათა დასუსტდეს დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, ეკოლოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფი სისტემები, აგრეთვე

ამ მიმართულებების საერთაშორისო პოზიციები (კავშირ-
ერთიერთობები).

სადაზვერვო პოზიციების უზრუნველყოფა შესაძლებელია
სახელმწიფო, არასახელმწიფო დაწესებულებებსა და
ორგანიზაციებში ფარული სისტემის არსებობით, რაც თავის თავში
აგენტურული აპარატის წევრების არსებობასაც გულისხმობს.

დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში, უცხო სახელმწიფოს
სადაზვერვო კონტროლის მისაღწევად ორგანიზაციას უწევს
განვითარდეს ისეთი პროცესები, რომელთა მეშვეობითაც
შესაძლებელია სამიზნე ქვეყნის, ხელისუფლების საწი-
ნააღმდეგოდ, საზოგადოებაში მაღალი დონის უნდობლობის,
კონფლიქტური ვითარების ჩამოყალიბება, რაც განაპირობებს
სახელმწიფოებრივი აზროვნების დაქვეითებას და გამო-
რიცხავს საზოგადოების სახელმწიფო ინტერესებისათვის
კონსოლიდაციას. აღნიშნული ვითარების მიღწევა შესაძ-
ლებელია:

- სულიერი და ტრადიციული ფასეულობების რღვევით;
- რელიგიური და ეთნიკური ხასიათის ინდივიდუალური
და სისტემური კონფლიქტების ინსპირირებით;
- დესტაბილიზაციის მიზნით პოლიტიკური პარტიებისა
და არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნით; მათი
ფინანსური და მორალური მხარდაჭერით;
- ეროვნული უსფრთხოებისათვის დამაზიანებელი
საგარეო-პოლიტიკური, საგარეო-სამხედრო, სხვა
ხასიათის კავშირერთიერთობების შეზღუდვით და სხვ.

სადაზვერვო სამსახურების მხრიდან სადაზვერვო
პოზიციების შექმნით მზვერავი სახელმწიფოს ზეგავლენა
გამართივებულია. პოზიციების შექმნა დამოკიდებულია
დაზვერვის ობიექტ ქვეყანაში არსებულ აგენტურულ-
ოპერატიულ ვითარებაზე, რაც „დაზვერვის დაინტერესების

მიმართულებით არსებული მდგომარეობის, მისი შესწავლის ძალების, საშუალებებისა და ხელის შემშლელი ფაქტორების ერთობლიობაა.“⁵

აგენტურულ-ოპერატიული ვითარების ძირითადი სამიზნე ელემენტებია:

- **პოლიტიკური სიტუაცია**

[დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა, მზვერავ ქვეყანას აძლევს საშუალებას ორგანიზება გაუკეთოს პროცესებს, რომელთა შედეგადაც მიღწევადია პოლიტიკური დესტაბილიზაცია, აგენტურული აპარატის შესაქმნელად მოწყვლადი ადგილების იდენტიფიცირება და სხვ.];

- **სოციალურ-ეკონომიკური ვითარება**

დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა მზვერავ ქვეყანას აძლევს საშუალებას ორგანიზაცია გაუწიოს პროცესებს, რომელთა შედეგადაც შესაძლებელია: ანტისახელისუფლებო განწყობების ინსპირირება, მცირე და მასშტაბური საპროტესტო, საგაფიცვო მოძრაობის მოწყობა და სხვ.;

- **სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი**

დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციების მოპოვება, მზვერავ სახელმწიფოს აძლევს

5 „სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი (მეორე გამოცემა ცვლილებებით და დამატებებით. თბილისი, 2013. გვ.11. [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9822/3/Sadazgvevo TerminebisGanmartebiti%20leksikoni.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9822/3/Sadazgvevo%20TerminebisGanmartebiti%20leksikoni.pdf)

შესაძლებლობას დაშალოს სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი, საკუთარი სამხედრო წარმოება, სამეცნიერო მუშაობა და სწავლების პროცესები. ამასთან ერთად უცხო სახელმწიფოებზე მუდმივი დამოკიდებულების ინსპირირება, აგენტურული აპარატის გაფართოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და სხვ.;

- **კონტრსადაზვერვო რეჟიმი**

მზვერავი სახელმწიფოს ორგანიზებით, დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში კონტრსადაზვერვო რეჟიმის დაშლით შესაძლებელია: სრულიად საიდუმლო და საიდუმლო ინფორმაციებზე წვდომა, ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებზე საბოტაჟისა და ტერორისტული აქტების მოწყობა, აგენტურული აპარატის წევრების გაშიფვრა-ნეიტრალიზაცია და სხვ.;

- **დაზვერვის დაინტერესების სფეროები და ობიექტები**

სადაზვერვო სამსახურის დაინტერესების სფეროებისა და ობიექტების შესახებ ინფორმაციების არსებობა მზვერავ სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, ობიექტ სახელმწიფოს შეუქმნას ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც შესაძლოა სახელმწიფოს დაშლითაც დასრულდეს;

- **მოსახლეობის რელიგიური და ეთნო-ფსიქოლოგიური თავისებურებები**

[დაზვერვის ობიექტი ქვეყნის მოსახლეობის რელიგიური და ეთნო-ფსიქოლოგიური თავისებურებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციების ფლობით, მზვერავ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა ეთნიკურ, რელიგიურ და კუთხურ ნიადაგზე ხელი შეუწყოს მართული დესტაბილიზაციის (მათ შორის კონფლიქტების) ინსპირირებას];

- **კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები**

სწორედ კლიმატზეა დამოკიდებული სხვადასხვა პათოგენისა და მათი გადამტანების, სხვადასხვა სახის დაავადების გეოგრაფიული გავრცელება. შესაბამისად, დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა, მზვერავ სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, დაამძიმოს ეპიდემიოლოგიური, შესაბამისად ოპერატიული ვითარება].

სადაზვერვო საქმიანობა მზვერავი სახელმწიფოს მიერ კანონიერ ჩარჩოშია მოქცეული, ხოლო დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოსათვის უცხო ქვეყნების მიერ განხორციელებული სადაზვერვო ქმედებები სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება.

სადაზვერვო საქმიანობა ხორციელდება როგორც მტრულად განწყობილ, ისე სტრატეგიულ პარტნიორ სახელმწიფოებთან. ამ დარგის მნიშვნელობაზე წარმოდგენას გვიქმნის სახელმწიფოთა საკანონმდებლო სივრცე.

ამერიკის შეერთებული შტატების „აქტი ეროვნული უსაფრთხოების შესახებ“ მიხედვით: „ტერმინი „საგარეოდაზვერვა“ ნიშნავს იმ ინფორმაციის შეგროვებას, რომელიც შეეხება უცხო მთავრობების ან მისი ელემენტების, უცხოური ორგანიზაციების ან უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლებლობებს და ზრახვებს.“⁶

რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით, ჯაშუშობა განმარტებულია, როგორც: „სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მონაცემების შეკრება, გატაცება უცხო სახელმწიფოსათვის, საერთაშორისო ან უცხო ქვეყნის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის გადაცემის

6 UNCLASSIFIED NATIONAL SECURITY ACT OF 1947 ACT OF JULY 26, 1947 (As Amended). https://www.webcitation.org/5Xi9eEYG9?url=http://www.intelligence.gov/0-natsectact_1947.shtml

მიზნით, აგრეთვე უცხო ქვეყნის დაზვერვის დავალებით ან იმ პირის მიერ, რომელიც მოქმედებს მისი ინტერესების შესაბამისად, სხვა სახის ინფორმაციის გადაცემა ან შეკრება, რუსეთის ფედერაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ე.ი. ჯაშუშობა, თუ ეს ქმედებები განხორციელებულია უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ.⁷

საქართველოს კანონმდებლობით, სადაზვერვო საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, „სამსახური სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ, ინფორმაციულ და ეკოლოგიურ სფეროებში, აგრეთვე თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში.“⁸

7 „Уголовный кодекс Российской Федерации" от 13.06.1996 N 63-ФЗ (ред. от 31.07.2020) Статья 276. Шпионаж. http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_10699/

8 საქართველოს კანონი „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ. <https://matsne.gov.ge/document/view/92248?publication=13>

თავი III

უსაფრთხო საგარეო პოლიტიკური პროცესის ფორმირებისა და განხორციელების სადაზვერვო და კონფიდენციალური ქმედებები

სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება-გამყარებისათვის აუცილებელია სახელმწიფომ შექმნას პოლიტიკური უსაფრთხოების მყარი სისტემა, რომელსაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სა- მეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების ქვესისტემები.

ასეთი მიდგომით სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს სახელმწიფოს პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც ემყარება მოპოვებულ, სანდოობით, დროულობით და სრულყოფილებით გამორჩეულ ინფორმაციულ ნაკადებს. ამ შემთხვევაში მას აქვს განსახორციელებელი ქმედებების არჩევანის შესაძლებლობა, რომლის აღსრულება შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების თანახმად ხდება.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მოსაზრებას, „რომლის თანახმად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის წარმატება დიდწილად განაპირობებს მისი საშინაო პოლიტიკის წარმატებასაც.“⁹ ეს კი უშუალოდ აისახება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის მდგრადობაზე.

9 ქორჩიძე მედეა, „აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ანალიზი, მეთოდოლოგია და ფუნქციონირება (საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება-სთან მიმართებაში)“, საერთაშორისო ურთიერთობებში ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2008, გვ.15-16; ბარათაშვილი, ნ., „ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის წანამდევრები“, დისერტაცია პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1999. https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi/Medea_Qochoradze.pdf

ნებისმიერ სახელმწიფოს მართებს განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოს ქვეყნის შიგნით პროცესების წარმართვისას, რათა შიდა დესტაბილიზაცია ქვეყანას არ გადაექცევეს საგარეო პოლიტიკის განხორციელების ხელშემშლელ პირობად. უნდა დავეთანხმოთ ლევან დოლიძის 2016 წლის დასაწყისისათვის გამოთქმულ, მაგრამ დღეისთვისაც აქტუალურ პოზიციას იმის თაობაზე, რომ: „ჩვენ გვმართებს სიფრთხილე, რათა ქვეყნის შიგნით განვითარებულმა პროცესებმა არ შეანელოს ჩვენი საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელების ტემპი. ჩვენ საკმაოდ რთული გამოწვევების წინაშე ვდგავართ და არ გვაქვს ისეთი შეცდომების დაშვების უფლება, რამაც შესაძლოა, დააზიანოს ქვეყნის ინტერესები, მათ შორის, შეაფერხოს ჩვენი საგარეო პოლიტიკური მისწრაფებების აღსრულების პროცესი.“¹⁰

საგარეო პოლიტიკა ეროვნული ინტერესებს უნდა ემყარებოდეს, ხოლო სახელმწიფოსათვის საგარეო პოლიტიკური პროცესის უსაფრთხო დაგეგმვა-განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო დაცული იქნას უცხო ქვეყნების დამაზიანებელი ზეგავლენისაგან. დაცვას უნდა ექვემდებარებოდეს:

- სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, ეკოლოგიური, სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფი სისტემები;
- საკუთარი ქვეყნისათვის სასარგებლო საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესი ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე.

გემოჩამოთვლილ და სხვა მიმართულებებზე უმნიშვნელოვანესია ინფორმაციული ნაკადების მოძრაობისა და შენახვის

10 „დასავლეთი – საქართველოს ისტორიული არჩევანი!“, ლევან დოლიძის ინტერვიუ „Georgian Review“ – სთან, 6 თებერვალი, 2016, <https://gcsd.org.ge/ge/siakhle/dasavleti-sakartvelos-istoriuli-archevani>

უსაფრთხო პროცესების მკაცრი უზრუნველყოფა, რათა აცილებულ იქნეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის საიდუმლო ინფორმაციების გაჟონვა. საუბარია იმ ინფორმაციულ ნაკადებზე, რომლებიც საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვის მიზნით, განსახორციელებელი საგარეო პოლიტიკური პროცესის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

სადაზვერვო საქმიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული პოლიტიკაარგამოხატავს ქვეყნის რეალურ მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნულის გამო, დაინტერესებული სახელმწიფოები მუდმივად ეძებენ მოწყვლადობას სახელმწიფოს რეალური ამოცანებისა და მიზნების შესახებ, სათანადო ინფორმაციების მოპოვების გზით. მათთვის საინტერესოა ინფორმაციის მოძრაობა-შენახვის არეებში მოწყვლადობის ხარისხი. ხშირ შემთხვევაში ამისთვის ისინი სათანადო პირობებსაც კი ქმნიან.

საგარეო პოლიტიკის დაგეგმარება-განხორციელების პროცესში მიზანშეწონილია გამოიძენოს „ოქროს შუალედი“, რომელიც ეროვნული ინტერესის შესაბამისად, საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესების გაზიარებასაც გულისხმობს. ამ პირობის დაცვა, სახელმწიფოს კომპრომეტაციის და სხვა დამაზიანებელი შედეგების თავიდან აცილების მნიშვნელოვანი პირობაა. სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისი სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. სწავლებისა და კვლევის სიმბიოზით, სასწავლო-კვლევითი პროცესით უზრუნველყოფილი იქნება დარგების განვითარება, სამეცნიერო ლიტერატურის შექმნა, მყარი ანალიტიკური უნარების ჩამოყალიბება. შესაბამისად, საგარეო პოლიტიკის დაგეგ-

მგისთვის აუცილებელია საშინაო და საგარეო საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება, სათანადო სამეცნიერო მუშაობის უზრუნველყოფა და ლიტერატურის შექმნა.

სადაზვერვო საქმიანობის უპირველეს დანიშნულებას უსაფრთხო საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობებით სახელმწიფოს განვითარების პროცესზე ხელშეწყობა წარმოადგენს. საგარეო საფრთხეების განსაზღვრა მზვერავ სახელმწიფოს არ უნდა აძლევდეს მისი ინტერესების გატარებისა და გადაწყვეტილების მიღებაზე გეგმის შესაძლებლობას, რაც დააზიანებს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება ქვეყნისთვის სასარგებლო პოლიტიკის გატარება და მზვერავი სახელმწიფოს ინტერესების შემზღუდვა.

საგარეო პოლიტიკური პროცესის დაგეგმვისას, სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურების და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების შესწავლის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სამიზნე სახელმწიფოების რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური და ტერიტორიული დაყოფის პრინციპი. მრავალფეროვანი შემადგენლობის შემთხვევაში მზვერავი სახელმწიფოსათვის ხელსაყრელია განსხვავებული ჯგუფების საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენება:

- სამიზნე სახელმწიფოში ხელი შეუწყო, „მონათესავე“ ქვეყნის მიერ საგარეო პოლიტიკის განხორციელებას;
- სამიზნე სახელმწიფოში ხელი შეუშალონ ეროვნული ინტერესებისათვის მიზანშეწონილი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებას.

გემოთ განხილულ მოსაზრებებს ამყარებს ღია წყაროებში არსებული მნიშვნელოვანი ინფორმაციები. კვლევით დადგენილია, რომ: „დღეს სულ უფრო მეტი ამერიკელი უკავშირებს საკუთარ წინაპრებს და მემკვიდრეობას ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებს, აფიქსირებს თავის ინტერესს და ცდილობს გავლენა

მოახდინოს ამ ქვეყნებისა და რეგიონების მიმართ ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე.“¹¹

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირების საკითხი. იგი ემყარება ქემალ ათათურქის იდეურ მემკვიდრეობას. ამ პროცესში სახელმწიფოს მმართველობა იცავს და დღითიდღე ამყარებს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან პრინციპებს. ამ მიდგომებს თურქეთის სახელმწიფოებრიობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. თუმცა 2013 წლისათვის არსებობდა მოსაზრება,¹² რომლის თანახმადაც, აღნიშნული ვითარება შესაძლოა დემოკრატიზაციის პროცესის ხელის შემშლელი გარემოება გამხდარიყო. თუ 2013 წლის შემდგომ განვითარებულ პროცესებს გაგვანალიზებთ, მათ შორის არსებული ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის თავიდან აცილებისა და რეგიონში დომინირებისათვის ბროლაში მოპოვებულ წარმატებას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც საშინაო, ისე საგარეო კურსი სწორად, სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად იყო განსაზღვრული, დაგეგმილი და განხორციელებული.

წარმატებული საგარეო პოლიტიკის აღსრულება, სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულებაა. სწორედ ამიტომ ამ პროცესის ხელშემშლელი ფაქტორების, მათი ნიციატორი სახელმწიფოების,

11 ჯენტლესონი ბრუს „ამერიკის საგარეო პოლიტიკა, არჩვენის დინამიკა 21-ე საუკუნეში“, დოჰის უნივერსიტეტი, 2015, გვ.6, https://iliauni.edu.ge/ge/ajax/downloadFile/16398/%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.pdf

12 Барнашов О., „ОСОБЕННОСТИ ВНЕШНЕПОЛИТИЧЕСКОГО ПРОЦЕССА В СОВРЕМЕННОЙ ТУРЦИИ,“ «Диалог цивилизаций: Восток–Запад. Глобализация и мультикультурализм в посткризисном мире», М., 2013 г., с. 437–448, https://www.researchgate.net/publication/343601587_Osobennosti_vnesnepoliticeskogo_processa_v_sovremennoj_Turcii

პირების, პირთა ჯგუფების, ორგანიზაციების დროული გამოვლენა და აღკვეთა სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სპეციალური სამსახურების უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს. შეგვიძლია ვისაუბროთ რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებაზე, რაც უსაფრთხო საგარეო პოლიტიკური პროცესის მიმდინარეობას აფერხებს:

- სახელმწიფოს მხრიდან საგარეო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის არასრულყოფილება, რასაც მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებს შორის არსებული კონფლიქტური სიტუაცია;
- პროცესების დაგეგმარება-განხორციელებისას გაუმართლებელი ბიუროკრატიული მექანიზმების არსებობა და კონსპირაციის დაბალი დონე;
- აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან კოორდინაციის დაბალი დონე, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღება ფორმალურად, არაპროფესიონალურად, არასახელმწიფოებრივი მიდგომებით, საჭირო უწყებების მონაწილეობის გარეშე;
- როდესაც ყურადღება გამახვილებულია ქვეყნის შიგნით წარმოქმნილ პრობლემებზე და არასათანადოა საგარეო საფრთხეების აღქმა.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში საგარეო პოლიტიკური პროცესის დაგეგმვა-განხორციელების შედეგად სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო ასპარეზზე მხოლოდ მოკლევადიანი პოლიტიკური თუ სხვა მნიშვნელოვანი ინტერესების გატარება მიიღწევა. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემა არ მყარდება და საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს გრძელვადიანი ინტერესების გატარება პრაქტიკულად არ ხორციელდება. ასეთ ვითარებაში

სახელმწიფოებს არამდგრადი ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების საფრთხე ემუქრებათ.

საგარეო პოლიტიკური პროცესის სწორი ფორმირებისა და წარმატებული განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესია:

1. საერთაშორისო არენაზე (სახელმწიფოები, ორგანიზაციები) არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური ვითარების შესახებ ინფორმაციების შეკრება, გაანალიზება, მათ შორის საიდუმლოების მაღალი გრიფით, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების გამოყენებით.

ამ პროცესის განხორციელებისას მიზანშეწონილია:

ა) სახელმწიფოში არსებული ვითარების შესწავლა და ანალიზი, როგორც ღია, ისე დახურულ (მათ შორის: სრულიად საიდუმლო, საიდუმლო) წყაროებზე დაყრდნობით.

სამიზნე ობიექტებზე (პროფილური: სახელმწიფო და კერძო კომპანიები, სამინისტროები, უწყებები, აგრეთვე სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის პროფილის მქონე სამსახურები) ინფორმაციის შეკრება;

ბ) გემოჩამოთვლილი მიმართულებებით საგარეო პოლიტიკის სამიზნე ობიექტების (სახელმწიფო, ორგანიზაცია) ირგვლივ არსებული ვითარების შესწავლა როგორც ღია, ისე დახურული (მათ შორის: სრულიად საიდუმლო, საიდუმლო) წყაროებიდან შეკრებილი ინფორმაციების საფუძველზე;

გ) სამიზნე ობიექტებზე (პროფილური: სახელმწიფო და კერძო კომპანიები, სამინისტროები, უწყებები, აგრეთვე სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის პროფილის მქონე სამსახურები) ინფორმაციის შეკრება.

დ) საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად საიდუმლოების მაღალი გრიფით, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების გამოყენებით

სამიზნე ჯგუფებზე ზეგავლენისთვის პროპაგანდისტული საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრა, მისი უწყვეტი წარმართვა. სადაზვერვო სამსახურის მიერ პროპაგანდისტულ საქმიანობა ხორციელდება:

-ქვეყნის შიგნით მასმედიის, ავტორიტეტული პოლიტიკური ლიდერების, ხელისუფლების, მეცნიერების წარმომადგენლების, სასულიერო და კერძო პირების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახელმწიფო სტრუქტურების გამოყენებით;

-საერთაშორისო ასპარეზზე როგორც საკუთარი, ისე უცხო სახელმწიფოების მასმედიის, ავტორიტეტული პოლიტიკური ლიდერების, ხელისუფლების, მეცნიერების წარმომადგენლების, სასულიერო და კერძო პირების, პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციების, სახელმწიფო სტრუქტურების, დიპლომატიური კორპუსის, სადაზვერვო ხასიათის აგენტურული აპარატის გამოყენებით.

როდესაც პროპაგანდაზე ვსაუბრობთ, სახელმწიფოები სისტემატურად იყენებენ დებინფორმაციული ნაკადების გავრცელების მეთოდოლოგიას, რომლის ძირითადი მიზნებია:

- სახელმწიფოს ლიდერის ფსიქო-ბიოგრაფიული მონაცემების მიზანმიმართული დამახინჯება (რომელიც შესაძლოა ემსახურობდეს საკუთარი და სხვა სახელმწიფოს ლიდერის დაცვას, ასევე სამიზნე ქვეყნის ლიდერის მიზანმიმართულ კომპრომეტაციას);
- სამიზნე ობიექტის პერსონალური მონაცემების გავრცელება (რომელიც შესაძლოა ემსახურობდეს, არა მარტო სამიზნე ქვეყნის ლიდერის და კონკრეტული პირის, არამედ სახელმწიფოს მიზანმიმართულ კომპრომეტაციასაც);
- საერთაშორისო ურთიერთობების არარეალური

აღქმა (რომლის ძირითად მიზნებს შესაძლოა წარმოადგენდეს: სამიზნე სახელმწიფოს კომპრომეტაცია, კონკრეტულ სახელმწიფოსთან და/ან ავტორიტეტულ ორგანიზაციასთან საერთაშორისო ურთიერთობების დონის შესახებ ცრუ ინფორმაციის მიწოდება, სამიზნე სახელმწიფოს მიერ ზიანის მომტანი საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისათვის ხელისუფლებისათვის დემინფორმაციული ინფორმაციის მიწოდება).

ამ მიზნების განსაზღვრა განსაკუთრებულია იმ მხრივაც, რომ იგი უზრუნველყოფს საგარეო პოლიტიკური პროცესის ადეკვატურად აღქმისა და გაანალიზების შესაძლებლობას.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის გამოყენებული პირები, პირთა ჯგუფები, ორგანიზაციები თუ სტრუქტურები წარმოადგენენ დაინტერესებული ქვეყნის სადაზვერვო სამსახურების სამიზნე ობიექტებს. ისინი აწარმოებენ მათ ფინანსური მოსყიდვას, შანტაჟსა და გადაბირებას. ამ მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია დროულობით, სანდოობით და სრულყოფილებით გამორჩეული მნიშვნელოვანი სადაზვერვო ინფორმაციების შეკრება. ამ ქმედებების მიზანია მზვერავი სახელმწიფოს მხრიდან:

- სამიზნე სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლო საგარეო პოლიტიკური პროცესის ფორმირება-განხორციელებაზე ხელშეშლა;
- სამიზნე ქვეყანაში მზვერავი სახელმწიფოს მიერ, მის სასარგებლოდ, საგარეო პოლიტიკური მიზნების შესაბამისი პროცესების ფორმირება-განხორციელება.

საგარეო პოლიტიკური პროცესის დაგეგმარებისას შეგვიძლია ზოგადად ჩამოვაყალიბოთ ძირითადი სამიზნე/შესწავლისა და ზემოქმედების ობიექტები:

- სამიზნე სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი სისტემები და სეგმენტები, ამ მიმართულებებზე დასაქმებული პირები, მათი ახლო გარემოცვა, კავშირ-ურთიერთობები;
- სამიზნე სახელმწიფოს მოსახლეობის (ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების), ფსიქოლოგიური პორტრეტის (დადებითი/უარყოფითი) შექმნა;
- სამიზნე სახელმწიფოს პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახელმწიფო და კერძო კომპანიების, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების ფსიქოლოგიური პორტრეტის (დადებითი/ უარყოფითი) ფორმირება.

თავი IV

საგარეო პოლიტიკის ანალიზი - საფრთხის ნაიდრალიზაციის საფუძველი

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მდგრადობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანალიზზე, რომლის შესაბამისადაც იგეგმება და ხორციელდება ქვეყნის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ღონისძიებები.

საგარეო პოლიტიკის ანალიზი უწყვეტი პროცესია, რადგანაც საერთაშორისო არენაზე პროცესები დინამიკურად მიმდინარეობს, რაც საშინაო პოლიტიკაზე აისახება. ცვალებადობის პროცესი, უმეტეს შემთხვევაში, დაინტერესებული სახელმწიფოების ორგანიზებითაა მიღწეული.

შესაბამისად, სახელმწიფო და გლობალური უსაფრთხოების ორგანიზებისათვის საჭიროა საგარეო პოლიტიკა გაანალიზონ როგორც სტაბილური, ისე არასტაბილური განვითარების ქვეყნებმა. ღია წყაროებში არსებული დეფინიციებიდან შედარებით სრულყოფილად მიგვაჩნია პიცბურგის უნივერსიტეტის პროფესორის უილიამ დანის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც: „პოლიტიკის ანალიზი ესაა პრაქტიკული და ინტელექტუალური მოღვაწეობა, ერთი მხრივ, გადაწყვეტილების მიღების პროცესისათვის, მეორე მხრივ კი, ამ პროცესის თაობაზე ცოდნის წარმოების, კრიტიკული შეფასებისა და გაცვლისთვის.“¹³

13 ბარდახი, ი., 2002. პრაქტიკული გზამკვლევი პოლიტიკის ანალიზში: რვასაფეხურიანი მიდგომა პრობლემათა ეფექტიანი მოგვარებისთვის. საქართველოს ბიზნეს სამართლის ცენტრის გამომცემლობა, თბილისი. მაჭარაშვილი მანანა, პოლიტიკის ანალიზი: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის, თბ.: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006 - 98გვ., <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/halftone-library/collection/civil2/document/HASH01c5c679cd386e953429f50f;jsessionid=1E1330E27B94DF9BCF8C4337933E5404?ed=1;>

ა. ვილდავსკი პოლიტიკის ანალიზს განმარტავს, როგორც „აქტუალური პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის ინსტრუმენტს.“¹⁴

ანტიკური საბერძნეთის მოაზროვნეები პოლიტიკას სახელმწიფოს (პოლისი) მართვის ხელოვნებად აღიქვამდნენ.

ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოები აქტიურად მოღვაწეობენ ამ მიმართულებით უსაფრთხო საგარეო ურთიერთობების ორგანიზებისათვის. მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევა და სარგებლის მიღება. შესაბამისად, საგარეო პოლიტიკის ანალიზის ერთ-ერთ ძირითადი მიმართულება არის ზემოქანმოთვლილი ასპექტებით უსაფრთხო ქმედებების დაგეგმვა-განხორციელება, რაც ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების აღსრულების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საგარეო პოლიტიკის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სადაზვერვო სამსახურები, რომელთა საქმიანობაში ე.წ. ხაზობრივი პრინციპის შესაბამისად შეიძლება გამოვყოთ: პოლიტიკური დაზვერვა; ეკონომიკური დაზვერვა, სამხედრო დაზვერვა; სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვა. ამასთან ერთად, საგარეო პოლიტიკის ანალიზისთვის სადაზვერვო სამსახური კრებს დროულ, სანდო და სრულყოფილ ინფორმაციებს, აანალიზებს მათ და ხელისუფლებას შემდგომი რეაგირებისათვის წარუდგენს.

აღსანიშნავია, რომ სადაზვერვო საქმიანობა აქტიურად ხორციელდება გეოგრაფიული (რეგიონული) პრინციპებითაც, რაც ინფორმაციულ ნაკადებზე წვდომის მექანიზმებს აადვილებს.

14 Forester John - The Policy Analysis-Critical Theory Affair: Wildavsky and Habermas as Bedfellows?, Vol. 2, No. 2 (May, 1982), pp. 145-164 (20 pages)

პრაქტიკულად, სადაზვერვო სამსახური საგარეო პოლიტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და საგარეო პოლიტიკის ანალიზის პროდუქტის შემქმნელ მნიშვნელოვან სტრუქტურას წარმოადგენს. ამასთან ერთად, იგი სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განმახორციელებელი სამსახურიცაა.

სადაზვერვო სამსახურის მიერ მიწოდებული ანალიტიკური ინფორმაცია წარმოადგენს სავარაუდო დოკუმენტს, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების მიღებისას, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა რგოლის სტრუქტურა, რომელიც საგარეო პოლიტიკის ანალიზის პროცესშია ჩართული, ამ დოკუმენტს ეყრდნობა.

დემინფორმაციის შედეგად განხორციელებული საგარეო პოლიტიკის ანალიზი აზიანებს სახელმწიფოს უსაფრთხოებას და არამიზნობრივად გამოიყენება სახელმწიფოს ინტელექტუალური, ფინანსური და სხვ. შესაძლებლობები.

დიდი ზიანის მქონე უსაფრთხოების სახელმწიფო მოწყვლადია საგარეო საფრთხეებისადმი და პრობლემა ექმნება საერთაშორისო ასპარეზზე ეროვნული ინტერესების გატარების მხრივ. ასეთ ვითარებაში, მაღალი ალბათობით, სახელმწიფო, სადაც ასეთი პროცესები ვითარდება, მზვერავი სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურის სამიზნე ობიექტი ხდება. საგარეო პოლიტიკის ანალიზის პროცესისას გამოყენებული ძირითადი მეთოდების ზოგადი სქემა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

1. პირველადი ინფორმაციების შეკრება და დამუშავება - საერთაშორისო არენაზე, სახელმწიფოებში, ორგანიზაციებსა და სამხედრო ბლოკებში არსებული და პერსპექტიული პოლიტიკური კურსის შესახებ;

2. მოსალოდნელი პერსპექტივებისა და შედეგების განჭვრეტა / პროგნოზირება - საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგად სახელმწიფოს მიერ მიღებული სარგებელი და საფრთხე;

3. დასაგეგმი და განსახორციელებელი საგარეო პოლიტიკური კურსის ფინანსური ღირებულება - სარგებლის ღირებულების დადგენა და შესაბამისობა სახელმწიფოს ინტერესებთან;

4. რჩევის მიცემა წერილობითი დოკუმენტის სახით:

4.1. განსახორციელებელი საგარეო პოლიტიკის შეთავაზება სათანადო არგუმენტაციით;

4.2. შეთავაზებული რჩევის ხელისუფლების მიერ სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დამუშავება;

5. განსახორციელებელი პოლიტიკის შესახებ გადან-ყვეტილების მიღება - არსებული ინფორმაციების გაზიარების საფუძველზე პრობლემის სწორად განსაზღვრა და მის საფუძველზე გადანყვეტილების მიღება.

ანალიზის პროცესში, სამთავრობო სტრუქტურების გარდა, მნიშვნელოვანი როლი აკისრია არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსაც. ეს ჯგუფები ხელს უნდა უწყობდნენ საგარეო პოლიტიკის გაანალიზებას საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებით.

მიღებული გადანყვეტილების აღსრულება ხელისუფლების მიერ ხორციელდება.

საგარეო და საშინაო პოლიტიკის ანალიზი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, დაძლეულ იქნას პრობლემები და წინააღმდეგობები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები საკუთარ საქმიანობას უნდა ახორციელებდნენ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მიერ დაგეგმილ განხორციელებულ ქმედებებს წარმატებების ნაკლები შესაძლებლობა აქვს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოები უსაფრთხო

საგარეო ურთიერთობების პროცესს სადაზვერვო ქმედებებითაც ახორციელებენ. მშვერავი სახელმწიფო ამიანებს ობიექტ სახელმწიფოს სტაბილური პოლიტიკური ვითარების მოშლით და საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების ნგრევით. დაზიანების ობიექტი შეიძლება იყოს: „ქვეყნის პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური მოწყობა, პოლიტიკური პოტენციალი, სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგიის განხორციელების გეგმები.“¹⁵ აღნიშნული მიმართულებით წარმატების მიღწევა შესაძლებელია სამიზნე სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სრულყოფილი შესწავლით.

კვლევით¹⁶ დადგენილია, რომ პრაქტიკულ პოლიტიკაში ცნება „პოლიტიკის ანალიზი“ გამოყენებულია შემდეგი მიმართულებებით:

1. საშინაო და საგარეო პოლიტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფა. ეს პროცესი წარმოუდგენელია, დროული, სანდოობით, სრულყოფილებით გამორჩეული (მათ შორის სრულიად საიდუმლო, საიდუმლო კონფიდენციალური ხასიათი) ინფორმაციული უზრუნველყოფის გარეშე. მხოლოდ სახელმწიფოს აქვს ღია და დახურულ წყაროებზე (სრულიად საიდუმლო, საიდუმლო ინფორმაციებზე) წვდომის და, შესაბამისად, მათი გაანალიზების შესაძლებლობა.

საფრთხე: დაინტერესებული სახელმწიფოები, საკუთარი სადაზვერვო სამსახურების მეშვეობით ცდილობენ ამ პროცესში დემინფორმაციული ნაკადების გავრცელებას, რათა სამიზნე

15 ენდელაძე თენგიზ, „საგარეო დაზვერვის სამსახურები,“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2007, გვ.9

16 მაჭარაშვილი მანანა, პოლიტიკის ანალიზი : სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის, თბ. : სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006 - 98გვ., <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/halftone-library/collection/civil2/document/HASH01c5c679cd386e953429f50f;jsessionid=1E1330E27B94DF9BCF8C4337933E5404?ed=1>

სახელმწიფომ ვერ შეძლოს უსაფრთხო საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ამ ქმედებით დაინტერესებულ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა გაატაროს საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსი, სამიზნე სახელმწიფოს ინტერესების სანინააღმდეგოდ. ამ პროცესში მაღალია დაინტერესებული ქვეყნის სადაზვერვო სამსახურის ჩართვა, გარკვეული პირების, პირთა ჯგუფების გადაბირება.

2. „სიტუაციური ანალიზი“ ანუ საერთაშორისო, რეგიონულ, საგარეო არენაზე ძალთა განლაგებისა და გადაჯგუფების ანალიზი, ე. წ. პოზიციონირების პრობლემები და ა. შ. სავალდებულოა ქვეყნის შიდა და საგარეო უსაფრთხოების დაგეგმარების პროცესში, პოტენციური მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების გამოსავლენად (მათ შორის გეოგრაფიული პრინციპით) გაზიარებულ იქნეს ძალების განლაგების, კავშირების, მათი ხასიათის, დაჯგუფების, პერსპექტიული გადაჯგუფების შესახებ სანდო (მათ შორის დახურული) ინფორმაციული ნაკადების ანალიზი.

საფრთხე: დემინფორმაციის გავრცელებით არასწორი ანალიტიკური პროცესი, რომლის დროსაც დაინტერესებული ქვეყნის სადაზვერვო სამსახურის მხრიდან სამიზნე სახელმწიფოს პირების, პირთა ჯგუფების გადაბირება უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს.

3. გადაწყვეტილებების საექსპერტო უზრუნველყოფა (დარგობრივი პოლიტიკის მიზნობრივი და კომპლექსური პროგრამების შემუშავება, სტრატეგიული დაგეგმვა) პოზიციების შეჭერების შედეგად, მიღებული გადაწყვეტილებების, მათი აღსრულების მიზნით შემუშავებული პროგრამებისა და გეგმების სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში (მათ შორის საიდუმლო გრიფით) სათანადო დამუშავება საბოლოო მიზნის მიღწევის მნიშვნელოვანი საფუძველია.

საფრთხე: სამიზნე სახელმწიფოში უსაფრთხო საშინაო

და საგარეო პოლიტიკის ანალიზის სისტემის არარსებობა, დაინტერესებული სახელმწიფოს მხრიდან შესაძლოა სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ნეიტრალიზაციის გზით განხორციელდეს. ამ შემთხვევაში სამიზნე სახელმწიფო იძულებულია დაეყრდნოს დაინტერესებული სახელმწიფოს საექსპერტო დასკვნებს. ეს დასკვნები კი, უმეტეს შემთხვევაში, სამიზნე სახელმწიფოს ინტერესებისათვის დამაზიანებელ ინფორმაციებს შეიცავენ.

4. პოლიტიკური ჟურნალისტიკა. ანალიტიკას ხშირ შემთხვევაში შუალედური პოზიციები უკავია რეკლამასა და პროპაგანდას შორის. სახელმწიფოების უსაფრთხოების დაცვის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ინტერესების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ პროცესში მასმედიას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება.

საფრთხე: სამიზნე სახელმწიფოში დემინფორმაციის, კომპრომეტაციის ორგანიზების მიზნით ჟურნალისტიკას პოლიტიკური დაზვერვის საფარქვეშ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

სახელმწიფოები, ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებული პოლიტიკური ვითარების ანალიზის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რომელი მიმართულების განხორციელებაზე / განვითარებაზე გაამახვილონ ყურადღება. ამ მხრივ საყურადღებოა კვლევა,¹⁷ რომელიც აშშ-ის პრეზიდენტის ვუდრო უილსონის საშინაო და საგარეო პოლიტიკას შეეხება და მისი ანალიზის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების შედეგს წარმოადგენს. ინფორმაციის ანალიზით შეიძლება გამოიკვეთოს შემდეგი:

17 დავით პატარაია, „საერთაშორისო ურთიერთობები, დისციპლინა და თეორია,“ გამომცემლობა „არტე“, თბილისი, 2015, გვ.315-334;

პერიოდი	გადაწყვეტილება	გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები
აშშ-ის I მსოფლიო ომში ჩართვამდე	კონცენტრირება -საშინაო პოლიტიკაზე. ეკონომიკური (ფედერალური სარეზერვო სისტემის, საგადასახადო, საფინანსო, ინფრასტრუქტურული და სხვ. მიმართულებების) რეფორმები; -საგარეო პოლიტიკა: ჩრდილოეთ, სამხრეთ ამერიკაზე, მთელ მსოფლიოში ზეგავლენის უზრუნველყოფა (სახელმწიფოთა პანამერიკული საზოგადოების შექმნა, ყველა დავის მშვიდობიანი გზით გადაჭრა, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივისცემა) და I მსოფლიო ომში ნეიტრალიტეტი	საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანალიზი იძლეოდა საშუალებას, ძირითადად ყურადღება გამახვილებულიყო შიდა პოლიტიკაზე, რადგან სახელმწიფოს მდგრადი ეკონომიკური სტრუქტურების არსებობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, სახელმწიფოს ზეგავლენა უცხო სახელმწიფოებში, საკუთარი ეროვნული ინტერესების აღსასრულებლად. აგრეთვე, მოსალოდნელ მსოფლიო ომში იმავე მიზეზებით ჩართვა
I მსოფლიო ომში აშშ-ის ჩართვა	-ძირითადი კონცენტრაცია საგარეო პოლიტიკაზე, 1917 წლის აპრილში გერმანიასთან, ხოლო იმავე წლის დეკემბერში გერმანიის ვასალთან-ავსტრია-უნგრეთთან საომარ მდგომარეობაში ყოფნის გამო საომარ ვითარებაში ჩართვა	საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანალიზი იძლეოდა საშუალებას, ძირითადი ყურადღება გამახვილებულიყო საგარეო პოლიტიკაზე, რადგან მსოფლიო ომში ჩაერთვულობა აზიანებდა აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს, მათ შორის საერთაშორისო არენაზე ზეგავლენის მასშტაბების შენარჩუნება-გაფართოების თვალსაზრისით

აშშ-ის I მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი	-ძირითადი კონცენტრაცია საგარეო პოლიტიკაზე, სამშვიდობო ინიციატივები, 1918 წლის იანვარში სამშვიდობო პროექტის: „თოთხმეტი პუნქტის“ გაცხადება, რაც საერთაშორისო ურთიერთობებში მშვიდობის დამყარებასთან ერთად, აშშ-ის თამაშის წესებისა და ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის დანერგვას სთავაზობდა	საომარ მოქმედებებში ჩართვით აშშ-მა ეროვნული ინტერესები დაიცაყოფილა. დღის წესრიგში დადგა ამ ინტერესების კიდევ უფრო გამყარება და გაფართოება. საერთაშორისო ასპარეზზე ღომინანტის როლით, აშშ-მ შექმნა პირობები, რათა შეენარჩუნებინა კონტროლი საერთაშორისო ურთიერთობებსა და პროცესებზე. ამით მან საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო ურთიერთობებში საკუთარი ინტერესების განხორციელების მექანიზმებს
---	--	--

პრაქტიკულად, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანალიზის შედეგად სამ სხვადასხვა პერიოდში აშშ-მა საფუძველი ჩაუყარა პოლიტიკას, რომელიც სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს გამოხატავდა.

თავი V

კონსტაბჟოთა საქართველოს საგარეო პოლიტიკის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების თავისუფლებები

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკის თავისუფლებები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოს უსაფრთხოების ორგანიზებისათვის უმნიშვნელოვანესს პროცესს წვრილი საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავება და გატარება წარმოადგენს. უსაფრთხო საერთაშორისო კავშირები სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ისეთ გეოპოლიტიკურ გარემოში აღმოჩნდა, რომელშიც უცხო ქვეყნების ინტერესთა გადაკვეთის მასშტაბები საკმაოდ მაღალი იყო. რეგიონში ისეთი ქვეყნების ინტერესები, როგორიცაა რუსეთის ფედერაცია, ამერიკის შეერთებული შტატები, ირანი, თურქეთი, ევროპული სახელმწიფოები. შესაბამისად, ყველა სახელმწიფოს საკუთარი სტრატეგიული ინტერესების გატარება სურდა საქართველოსთან მიმართებით, რომლის განხორციელება სადაზვერვო აქტივობების გარეშე წარმოუდგენელია. ამდენად, დაინტერესებულ სახელმწიფოთა მიზანს წარმოადგენდა ხელი შეეშალათ საქართველოს უსაფრთხო საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელებისათვის, რაც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურეს.

უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას

მმართველობის პერიოდში საქართველოს არ გააჩნდა საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში მონაწილე სადაზვერვო სამსახური, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში. ამასთან ქვეყნის შიდა პოლიტიკური უსაფრთხოების დაგეგმვა-უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი კონტრსადაზვერვო სამსახური საბჭოური განწყობების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. შესაბამისად, სახელმწიფოში მაღალი იყო პოლიტიკური დესტაბილიზაციის საფრთხე.

ვითარებას ართულებდა სხვადასხვა სახელმწიფოს, მათ შორის რუსეთის ინტერესების გადაკვეთა. ზვიად გამსახურდიამ ღრმა ანალიზის გარეშე, ერთპიროვნულად, საკუთარ გუნდთან ერთად გეგმავდა და ახორციელებდა საგარეო პოლიტიკას, რომელიც აღნიშნულ ვითარებაში არ შეიძლება ყოფილიყო ქვეყნისათვის უსაფრთხო.

„ცივი ომის“ დასასრულების შემდეგ მსოფლიოს ერთდროულად ორ ათეულზე მეტი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო მოევლინა. გასათვალისწინებელი იყო აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდგომ რუსეთის ინტერესთა თანხვედრა. აშშ-ს ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკუთარი დავალობალური უსაფრთხოების დასრულებული სამხედრო-სტრატეგიული მიზნები. 1991 წლის ზაფხულში ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსი), დააფიქსირა უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლების ქმედებებისადმი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ერაყ-ქუვეითის კონფლიქტს.

საქართველოს არ ჰყავდა მყარი პარტნიორი სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელიც მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. დადებითად უნდა ჩაითვალოს ის მომენტი,

რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება „არაობიექტურ დაპირებებს“¹⁸ არ იძლეოდა და ხალხს ცრუ იმედებს არ უსახავდა.

საქართველოს ხელისუფლების საგარეო კურსის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ზვიად გამსახურდიას მიერ შედგენილი დოკუმენტის - „ღია წერილი საქართველოს ტელევიზიას“ გაანალიზება, რომელშიც დასაბუთებულია „დასავლური ორიენტაცია.“ თუმცა ხელისუფლების პოზიცია მიუღებელი იყო როგორც დასავლეთისათვის, ისე რუსეთისათვის. ერთი მხრივ, იგი ცდილობდა არ გაეღიმიანებინა რუსეთი, შეენარჩუნებინა კეთილმეზობლური ურთიერთობები, სთვაზობდა რუსეთს გაფორმებულიყო ჩარჩოხელმეკრულება რუსეთის ფედერაციასთან (რაც უპასუხოდ დარჩა) და, მეორე მხრივ, დახმარებას სთხოვდა დასავლეთს კრედიტების სახით, რაც შესაძლებელია სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ - საქართველოს ბუნებრივი წიაღისეულის და სხვა სიმდიდრეთა ხელში გასხვისებით დასრულებულიყო.

პრეზიდენტ გამსახურდიას მმართველობის საწყის ეტაპზევე აქტიური იყო უცხო ქვეყნების პოლიტიკური დაზვერვის ნიშნების შემცველი ქმედებები. ამასთან საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციას თავის სადაზვერვო სამსახურში ჰყავდა ყოფილი საბჭოთა საქართველოს კონტრსადაზვერვო აგენტურული აპარატი. ამ ძალას დაემატა პოლიტიკურ ასპარეზზე დამარცხებული საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ძალების სადაზვერვო პროპაგანდისა და დემინფორმაციის აქტიური გამოყენებით ადვილად მოხერხდა:

- პოლიტიკური კონფლიქტის ინსპირირება მმართველ პოლიტიკურ პარტიას „მრგვალ მაგიდასა“ და

18 გივიშვილი გივი. „ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკა და დასავლეთი“, 21.11.2015 <https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=92&id=3200>

- ეროვნული მოძრაობის ოპოზიციურ პარტიებს შორის;
- ვითარების დაძაბვა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში;
 - 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების შემდგომ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური დაზვერვის ინტერესების შესაბამისი შეიარაღებული დაპირისპირება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში;
 - 1991 წლის შემოდგომაზე მასობრივი ანტისახელისუფლებო და ხელისუფლების მხარდამჭერი ძალების მიერ სისტემატური და მასშტაბური, არასანქცირებული მითინგების ორგანიზება;
 - ძალოვანი უწყების „ეროვნული გვარდიის“ საქართველოს პრეზიდენტისადმი დაუმორჩილებლობის ფონზე, 1991 წლის 22 დეკემბერი - 6 იანვრის საბრძოლო მოქმედებებით კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა;
 - სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დასავლეთთან დაახლოების შეუძლებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ: „საქართველომ სასურველი დახმარება დასავლეთისგან ვერ მიიღო და ფაქტობრივად პირისპირ აღმოჩნდა რუსეთის წინააღმდეგ. საქართველოს ხელისუფლება ამავდროულად იძულებული გახდა გაეთვალისწინებინა ქვეყნის დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე ეკონომიკური კუთხით. საბოლოო ჯამში, საქართველო საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე იზოლირებული

აღმოჩნდა.¹⁹;

- საერთაშორისო სამოგადოების და უცხო სახელმწიფოების მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის არაღიარება.

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკის თავისებურებები პოსტსაბჭოთა ეპოქაში

საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის შემდგომ „ტრიუმფირატის“ (თ.სიგუა, თ.კიტოვანი, ჯ.იოსელიანი) მმართველობის პერიოდში საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე საქართველოში ბრუნდება: რთულად, მაგრამ ეტაპობრივად ხელში იღებს მმართველობის სადავეებს. საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე პირველი წარმატება, მაღალი რანგის უცხოელი ლიდერების (გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გენშერი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბეიკერი, თურქეთის პრეზიდენტი დემირელი) საქართველოში ვიზიტებით გამოიხატა, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარებისა და სახელმწიფოს საგარეო კავშირების ჩამოყალიბებისათვის.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის მხარდაჭერა საქართველოსადმი, გამოიხატა:²⁰ 1992 წლის 24 მარტს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებითა და 1992 წლის 23 აპრილს თბილისში აშშ-ის

19 ქოიავა რევაზ, ბადათურია ედიშერ, ნიკიტინა იულია, „საქართველო და რუსეთი: ორმხრივი ხედვა მეოთხედი საუკუნის ურთიერთობებზე კვლევის ანგარიში, საქართველო და რუსეთი დაახლოებასა და დაპირისპირებას შორის: ურთიერთობების 25 წელი,“ კავკასიური სახლი, 2017, გვ.7, <http://regional-dialogue.com/wp-content/uploads/2018/11/Research-GE-rezi-1018.pdf>

20 „აშშ-ის საელჩო საქართველოში. პოლიტიკა და ისტორია,“ <https://ge.usembassy.gov/ka/our-relationship-ka/policy-history-ka/current-issues-ka/>

საელჩოს გახსნით. 1992 წლის მაფხულში საქართველოს ხელისუფლება ახერხებს მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ თურქეთთან ხელშეკრულების²¹ დადებას.

1992 წლის 31 ივლისს საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ხდება.

ამავდროულად, საგარეო ასპარეზზე მნიშვნელოვანი წარმატებების ფონზე საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებს რუსეთის ფედერაცია. ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი დაზვერვის ნიშნების შემცველი ქმედებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტა;
- სატელეფონო კავშირების შეწყვეტა;
- კრედიტების გაცემაზე უარი (განსხვავებით სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისაგან).

აღნიშნული ქმედებების ძირითად მიზანს საქართველოში დესტაბილიზაციის ინსპირირება და საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა წარმოადგენდა. ამ ზეწოლის შედეგად საქართველომ უარი განაცხადა სსრკ-ის აქტივებზე, რომელიც რუსეთის ფედერაციას ჩვენი სახელმწიფოსათვის უნდა გადაეცა.

საქართველოს პარლამენტის მიერ 1993 წლის 14 სექტემბერს რატიფიცირებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „საგარეო ვალის საქართველოს რესპუბლიკაზე გაპიროვნებული წილის გადასახდელად საქართველოს რესპუბლიკა გადასცემს, რუსეთის ფედერაცია კი იღებს საქართველოს რესპუბლიკის

21 „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება-ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ,“ 30/07/1992, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1207454?publication=0>

წილს 1991 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით.²² აღნიშნული გადაწყვეტილება სულ მცირე ანტისახელმწიფოებრივი იყო, რადგან ამ პერიოდისათვის რუსეთის ფედერაცია მტრობდა საქართველოს.

უცხო ქვეყნების სადაზვერვო ინტერესების გადაკვეთისა და საქმიანობის, აგრეთვე შევარდნაძის არასწორი პოლიტიკის შედეგად, საქართველოში ინსპირირებული იქნა ორი ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

საგარეო პოლიტიკის წარუმატებლობას შეგვიძლია მივაწეროთ სოხუმისა და აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ 1994 წლის თებერვალში საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში („დსთ“) დაგვიანებული შესვლა, რის შედეგადაც საქართველოში, რუსეთის ფედერაციის კუთვნილი ოთხი სამხედრო ბაზის არსებობა დაკანონდა.

1995 წლისთვის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენდა რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების ნეიტრალიზაცია /მინიმუმამდე დაყვანა, რისთვისაც აშშ-ის სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად დაიგეგმა „ბაქო-სუფსისა“ და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის მშენებლობა.

1998 წლისათვის დასავლეთის მხარდაჭერით, რუსეთის ნაცვლად, თურქეთი საქართველოსთვის პირველი სავაჭრო პარტნიორი გახდა.

2002 წლის შემოდგომაზე „პანკისის ხეობაში“ შექმნილი (ტერორისტული საქმიანობიდან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მომდინარე საფრთხეების) კრიზისის

22 საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება: შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ყოფილი სსრ კავშირის საგარეო სახელმწიფო ვალთან და აქტივებთან დაკავშირებულ სამართალმემკვიდრეობის საკითხთა მოწესრიგების შესახებ,“ მუხლი 4, 14/09/1993, <https://www.matsne.gov.ge/document/view/1221928?publication=0>

ნეიტრალიზაციისათვის, საქართველომ არა რუსეთი, არამედ აშშ აირჩია. „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში“ საქართველოში, აშშ-ის ორი ასეული სამხედრო ინსტრუქტორი ჩამოვიდა. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაში აშშ-მ მნიშვნელოვანი როლის შესრულება დაიწყო.

საკორდინაციო საბჭოში აშშ-თან და საქართველოსთან ერთად ჩართული იქნა რუსეთის ფედერაცია. ამ უკანასკნელმა აშშ-თან ერთად საქართველოსთან კონკრეტულ ტერიტორიაზე (პანკისის ხეობას) შეინარჩუნა სადაზვერვო კონტროლის მექანიზმები.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

ევროკავშირის მიერ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ **აღიარებული იქნა** 1992 წელს, რასაც მოჰყვა ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი თანამშრომლობა. ეს თანამშრომლობა ძირითადად, ჰუმანიტარულ და ტექნიკურ დახმარებაში გამოიხატებოდა.

1996 წლის აპრილში საქართველოსა და ევროკავშირის შორის ხელმოწერილ იქნა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება. აღნიშნულმა ხელშეკრულებამ შექმნა მნიშვნელოვანი პირობები საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებლად.

1999 წელს საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი. 2000 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო ამ ორგანიზაციასთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშემწყობმა სამთავრობო კომისიამ. 2001 წლის ივნისში მიღებულ იქნა

მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის შესაბამისად დაიწყო საქართველოს, ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროგრამის შექმნაზე მუშაობა. ეს პროცესი 2003 წლამდე მიმდინარეობდა.

1992 წელს, რუსეთის ფედერაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ, საქართველომ დაიწყო ურთიერთობა ნატოსთან. იგი შევიდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში (შემდგომში ორგანიზაცია: „ევროატლანტიკური საბჭო“), ხოლო 1999 წლის აპრილში უარი განაცხადა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში წევრობაზე. 2002 წელს საქართველოს დააფიქსირა სურვილი სუამი-ში რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციაში განწევრიანების სურვილი.

ამ მოვლენების ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აშშ-ის კომპანიის „AES“ და რუსეთის კომპანიას „ОАО PAO «ЕЭС России»“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც რუსეთმა მოიპოვა საქართველოს ენერგოსისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილზე კონტროლის უფლება. მაღალი ალბათობით ამ ქმედებებში იკვეთება რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური და ეკონომიკური დაზვერვის შემცველი ნიშნები.

2003 წლის მაგხულში „AES-თელასისთვის“ საქართველოში საქმიანობა გაუსაძლისი გახდა. ამის დასტური იყო 11 ივნისს თელასის ფინანსური მენეჯერის გია გვირიანის დაკავება, მანამდე მისი წინამორბედის ბურუსით მოცული მკვლელობა. არსებობდა სხვა ფაქტორები, რომლებმაც AES-ის საქართველოდან წასვლის წინაპირობები შექმნა. მათ შორის უმთავრესია თავად კორპორაცია AES-ის სათავე ოფისის ფინანსური პრობლემები. აქამდე კომპანიის საქართველოში მოღვაწეობა მხოლოდ იმით იყო მოტივირებული, რომ ქვეყნის ხელისუფლება AES-ის თითქმის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა და

კატასტროფული სისწრაფით ზრდიდა ელექტროენერგიის ტარიფს.²³ ფაქტობრივად, ამერიკული კომპანია აიძულეს, რომ იგი რუსეთის სასარგებლოდ დაეთმო.

სავარაუდოა, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსული გავლენის ორბიტაზე გადასვლისთვის მოემზადა. თუმცა რუსეთის ფედერაციისათვის საქართველოს ხელისუფლების არასტაბილური ქმედებები მისაღები არ აღმოჩნდა.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საგარეო პოლიტიკა

2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ შედეგად საქართველოში ახალი ხელისუფლება მოვიდა, რომლის პოლიტიკა მისაღები აღმოჩნდა აშშ-თვის. ამ მოსაზრებას ის ფაქტიც ამყარებს, რომ ახალი ხელისუფლება აშშ-ის მყარ პოლიტიკურ, ფინანსურ და სამხედრო მხარდაჭერას იღებდა.

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, მისი პოლიტიკა უცვლელი იყო. იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებზე შედარებით „არააქტიური“ კონტროლის პოლიტიკას აგრძელებდა და დაზვერვის მეშვეობით ეკონომიკურ ობიექტებზე კონტროლს ისახავდა მიზნად. ამ ქმედებებისათვის რუსეთის ფედერაციას ნოყიერი ნიადაგი ჰქონდა.

განვითარებული მოვლენების ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ „ვარდების რევოლუცია“ აშშ-ისა და რუსეთის ფედერაციის შეთანხმებით მოხდა. სადაზვერვო კოორდინაციით აშშ და რუსეთის ფედერაცია საქართველოსთან მიმართებით სარგებლის მიღების ახალ ეტაპზე გადავიდნენ.

საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსი შემდგომ მიმართული იყო რუსეთთან ნორმალიზაციისაკენ.

23 მჭედლიძე კახა, „შესაძლებელია თუ არა "AES-თელასის" აქციები რუსულ კომპანიას გადაეცეს“, ივნისი 12, 2003, „რადიო თავისუფლება“, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1529001.html>

ამის დასტურია პრემიერ-მინისტრის მიერ ინაუგურაციაზე წარმოთქმული სიტყვა და პირველი ოფიციალური ვიზიტი მოსკოვში, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ბაზების განთავსებასთან დაკავშირებული უარყოფითი პოზიციის დაფიქსირება.

2004 წლის გაზაფხულისათვის გარკვეული ერთობლივი ქმედებების ნიშნები გამოიკვეთა პანკისის ხეობაში საერთაშორისო ტერორიზმთან და სხვა ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებისას. ურთიერთობები დაიძაბა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის თანამდებობიდან იძულებით გადაყენებისას. აჭარაში დისლოცირებული XII რუსული ბაზის საქართველოდან გაყვანის პირობები შეიქმნა, რაც რუსეთის ფედერაციის სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამასთან არსებობდა საფრთხე, რომ ახალგაზრდა, სახელმწიფო მართვის გამოცდილების არმქონე ხელისუფლებას სეპარატისტული რეგიონების დასაბრუნებლად სამხედრო ქმედებები განეხორციელებინა. ამ მოსაზრებას ამყარებდა საქართველოს ხელისუფლების პროპაგანდისტული საქმიანობა.

2004 წლის გაზაფხულში, ქართულ-აფხაზური არაფორმალური შეხვედრების შეწყვეტილი ციკლის შემდეგ, ვითომდა საქართველოს ეკონომიკური ინტერესების გასატარებლად და „კონტრაბანდის“ აღსაკვეთად დაიხურა „ერგნეთის ბაზრობა“ რომელიც ქართველებისა და ოსების შერიგების მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენდა.

კონფლიქტის დარეგულირების მიზნით, ამ ზონაში განთავსებულ სამშვიდობოებს იარაღით დატვირთული სატვირთო ავტომობილები ჩამოერთვათ. ოსი მოსახლეობის მხრიდან ქმედება უარყოფითად შეფასდა, რასაც რუსეთის ფედერაციის შესაბამის სამსახურებთან კოორდინაციით,

სოფელ ვანთაში ქართველი პოლიციელების დატყვევება და შეურაცხყოფის მიყენება მოჰყვა. აღნიშნული ქმედება დოკუმენტურად დაფიქსირდა. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით აშშ-მა ოფიციალური პოზიცია დააფიქსირა, ხოლო საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა ყველა ქართული შენაერთი გამოეყვანა კონფლიქტის ზონიდან.

2006 წლისათვის კოდორის ხეობას გადაერქვა სახელი და დაერქვა ზემო აფხაზეთი. მიმდინარეობდა აქტიური პროპაგანდისტული საქმიანობა, რომელიც კონფლიქტის კიდევ უფრო გაღვივებას უწყობდა ხელს და რუსეთის ფედერაციისა და სეპარატისტული ხელისუფლებების შემფოთებას იწვევდა.

განვითარებული მოვლენების შემდგომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ვექტორი მთლიანად გადაერთო დასავლეთისაკენ. დღის წესრიგში რუსეთის ფედერაციის საწინააღმდეგო პროპაგანდისტული საქმიანობის წარმართვა დადგა. **კოდორის ხეობაში** გაიხსნა ნატოს საინფორმაციო ცენტრი. ამ პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც 2007 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნაზე გამოსვლისას, რუსეთი საქართველოს ძირძველი ტერიტორიების ანექსიაში ამხილა. რამდენიმე დღით ადრე საქართველოსთან მიმართებით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭოს უკვე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება გაძლიერებული დიალოგის გამართვის შესახებ. შექმნილი ვითარება არ შეიძლება საფრთხედ არ ყოფილიყო აღქმული რუსეთის ფედერაციის მიერ, რაც, მაღალი ალბათობით, სადამკვერვო მონაცემებითაც იყო გამყარებული..

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2004 წელი საქართველოსათვის გარდამტეხი აღმოჩნდა საგარეო პოლიტიკური ვექტორის

ცვლილების თვალსაზრისით. 2005 წლის მაისში საქართველოს ვიზიტით ესტუმრა აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში. ამ ვიზიტს საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერის მიზანი ჰქონდა. საყოველთაო საზოგადოებრივი განწყობის ფონზე საქართველოს ხელისუფლებამ მთელი ძალისხმევა ნატოსთან ინტეგრაციისაკენ მიმართა. განსაკუთრებით გააქტიურდა დასავლეთის სახელმწიფოების დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლებთან შეხვედრები. სათანადო პროპაგანდის ფონზე, 2006 წლის შემოდგომაზე დააკავეს რუსი სამხედრო მზვერავები. მათი დაკავების მიზეზად დასახელდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით სადამზვერვო მონაცემების შეგროვება. საპასუხოდ, რუსეთის ფედერაციამ გააქტიურა სადამზვერვო ქმედებები- დააწესა ეკონომიკური ემბარგო ქართულ პროდუქციაზე (ხილ-ბოსტანზე, ღვინოსა და მინერალურ წყალზე).

ვითარება საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დაძაბულობის პიკს მიუახლოვდა. ეს დაძაბულობა კიდევ უფრო გამძაფრდა 2008 წელს კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ, იმავე წლის აპრილში ნატოს ბუქარესტის სამიტზე საქართველოს ალიანსში მიღებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვით და საქართველოს სამხედრო ხარჯების მასშტაბური ზრდით. ასე მივიდა საქართველო 2008 წლის აგვისტოს ომამდე. ამ ომმა საქართველოს ეროვნული ინტერესებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო ჩაითრიეს საბრძოლო ქმედებებში, რომლებიც, დიდი ალბათობით, რუსეთის სადამზვერვო აქტივობების შედეგად მოხდა. სავარაუდოა, რომ ხელისუფლება საქართველოს სადამზვერვო სამსახურის მიერ მოპოვებულ და დამუშავებულ ანალიტიკური ინფორმაციებს არ ითვალისწინებდა.

საერთაშორისო საზოგადოებამ და უცხო სახელმწიფოთა ხელისუფლებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს 2008 წლის საომარი კონფლიქტის შეჩერებაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია საფრანგეთის პრეზიდენტის ნ.სარკოზის როლი (ამ პერიოდში საფრანგეთი ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა იყო).

2009 წლიდან მოვლენები საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ განვითარდა. აშშ-ის საგარეო პოლიტიკა რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვის ფაზაში“ გადავიდა. ამ პროცესმა საქართველოსადმი ფინანსური დახმარების მნიშვნელოვანი შემცირებაც გამოიწვია, რასაც თან დაერთო საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო საღამვერვო ხასიათის პროპაგანდა დასავლეთში. მისი მიზანი იყო საქართველოს ნატოში გაერთიანების პროცესის კრიტიკა და შეფერხება. ამ პროცესს თან დაერთო თითქმის ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის მაღალ დონეზე უცხო სახელმწიფოებში ოფიციალურ ვიზიტებზე უარის თქმა. ამან კი დამაზიანებლად იმოქმედა საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე.

2010 წლის შემოდგომაზე საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაზე ევროპარლამენტში რუსეთთან დიალოგის გამართვის შესახებ მიმართვის ადრესატს რაიმე პოზიცია არ გამოუხატავს. თითქმის იმავე პერიოდში მ. სააკაშვილმა გაერო-ს ტრიბუნიდან გაასაჯაროვა მიმართვა კავკასიელი ხალხებისადმი. საქართველოში გაიხსნა პროპაგანდისტული რუსული ტელემაუწყებლობა, რომელიც რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო მაუწყებლობას ეწეოდა.

თავი VI

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური სტრატეგია და მათი სადაზვერვო მნიშვნელობა

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ორგანიზების პროცესში უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს გააჩნდეს საგარეო პოლიტიკის კონცეპტუალური ჩარჩოდოკუმენტი, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს როგორც ღია, ისე დახურულ წყაროებში არსებული მონაცემების სიღრმისეულ ანალიზს, სამეცნიერო დასკვნებს. ნებისმიერი სახელმწიფო ამ ტიპის დოკუმენტს ღია წყაროებში აქვეყნებს, თუმცა არსებობს მასში მოყვანილი მიზნებისა და ამოცანების ამსახველი კონკრეტული დოკუმენტები, რომელზეც წვდომა შეზღუდულია. შესაბამისად, ეს დოკუმენტები უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების განსაკუთრებული ინტერესის საგანია. საგარეო პოლიტიკის კონცეპტუალური ჩარჩოდოკუმენტის სტრუქტურ ასე შეიძლება გამოვსახოთ:

- სახელმწიფოს სუვერენიტეტის შენარჩუნება-განმტკიცება;

- სახელმწიფოს ინტეგრაციული პროცესები საერთაშორისო ასპარეზზე, მათ შორის საკუთარი და უცხოური ინვესტიციების (ქვეყნის შიგნით) უსაფრთხო გამოყენების ორგანიზებული პროცესი;

- მეზობელ და რეგიონის, სხვა კონტინენტის სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობების მიმართულებები და მასშტაბები;

- საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვა უცხო სახელმწიფოებში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

სწორედ საგარეო პოლიტიკის კონცეპტუალური

ჩარჩოდოკუმენტის ღია და დახურული ნაწილის შემადგენლების აღსრულებაზე არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მდგრადობის ორგანიზება. აღნიშნული მიმართულების საქმიანობა განსაკუთრებით რთულია დამოუკიდებელი სახელმწიფოს მართვის პრაქტიკის არმქონე ხელისუფლებისათვის, რადგან შესაბამისი სტრუქტურების არარსებობის / უსუსურობის გამო საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა-დამკვიდრების პროცესები ქაოსურად მიმდინარეობს, რომელშიც დიდია დაინტერესებული სახელმწიფოების და მათი სპეცსამსახურების როლი. ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ ამერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიების თავისებურებები.

გასული საუკუნის დასასრულ, საბჭოთა კავშირის დაშლას, კავკასიაში სამი დამოუკიდებელი, ამერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა ჩამოყალიბება მოჰყვა. 1992 წლისათვის რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთმა სუბიექტმა ჩეჩნეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და იქცა კავკასიის ინტეგრაციული პროცესების ლიდერად. ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებზე ზეგავლენისათვის აქტიური ქმედებები ხორციელდებოდა უცხო სახელმწიფოების (ირანი, თურქეთი) მხრიდან.

1992 წლის არჩევნებზე „სახალხო ფრონტის“ გამარჯვების შემდგომ ამერბაიჯანის პრეზიდენტს ელჩიბეის პროთურქული პოზიციის („ელჩიბეი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა თურქეთთან ურთიერთობების განვითარებაზე, თურქი და ამერბაიჯანელი ხალხების ერთობაზე. მან გამოაცოცხლა რასულზადეს მიერ წინწამოწეული პირველი რესპუბლიკის ლოზუნგი: „თურქიზაცია, ისლამიზაცია,

ევროპეიზაცია“)²⁴ ფონზე, ყარაბაღის კონფლიქტში ამერბაიჯანის დამცველი ქვეყნის ირანის როლი შემცირდა და უფრო მეტიც იგი სომხეთის მხარდამჭერიც კი გახდა. საბოლოოდ, 1993 წლის ივნისში ელჩიბეის ხელისუფლება ძალადობრივად დაემხო. (ჯანყის მეთაური სურეტ ჰუსეინოვი, 1994 წელს პრემიერდენტ ალიევის ხელისუფლების წინააღმდეგ წარუმატებელი აჯანყების შემდგომ, თავშესაფარს რუსეთის ფედერაციაში პოულობს).

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ, ელჩიბეის პოზიციის მიუხედავად, თურქეთმა რუსეთის არგალიზაციების პოლიტიკა შეინარჩუნა. ანალოგიური ბედი განიცადა საქართველოს პრემიერდენტმა გამსახურდიამ, რომლის ხელისუფლებაც ძალადობრივად იქნა დამხობილი. ამ ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსის დამადასტურებელია საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმიდან ერთ-ერთი ამონარიდი: „დღეს საქართველოს თუკი ამოუდგება ვინმე გვერდში აღმოსავლეთის ქვეყნებთან კონფლიქტის შემთხვევაში, ასევე როგორც რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში, ეს გვერდში მდგომი იქნება მხოლოდ მსოფლიო საზოგადოება და დასავლეთის სამყარო, რომელსაც საქართველო შავი ზღვით ბულგარეთისა და რუმინეთის გავლით დაუკავშირდება.“²⁵ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: „კავკასიის რესპუბლიკებს შორის მშვიდობის დასამყარებლად, გამსახურდიამ ამერბაიჯანსა და სომხეთს შუამავლობა შესთავაზა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საკითხზე.“²⁶

24 სანიკიძე გიორგი, „ირანი და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები განსხვავებული რეალობები, განსხვავებული შესაძლებლობები,“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022, გვ.101, <https://rustaveli.org.ge/res/docs/f2471f78c26a5fa25c0d8a20f91e89b596813588.pdf>

25 გივიშვილი გიგი, „ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკა და დასავლეთი,“ 21.11.2015, <https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=92&id=3200>

26 „საქართველო და პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია CIA-ს დოკუმენტებში,“

გამსახურდიას პოზიციით აუცილებელი იყო საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფი გადასვლისა, საქართველოს ეკონომიკის რესტრუქტურიზაციისათვის დასავლური ინვესტიციების მოზიდვა. ამ და სხვა პოზიციებისა და ქმედებების გამო რუსეთის სადაზვერვო სამსახურის ორგანიზების ნიშნები იკვეთება საქართველოს პრეზიდენტის ხელისუფლებიდან ჩამოცილების მიზნით ინსპირირებულ სამოქალაქო ომში. სომხეთი დამოუკიდებლობის პირველ წლებში გაზისა და ელექტროენერგიის გარეშე დარჩა, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა რუსეთის ფედერაციასთან მჭიდრო თანამშრომლობა ამ უკანასკნელის დომინირებით. სომხეთის პირველი პრეზიდენტის ტერ-პეტროსიანის მცდელობები თურქეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობების დარეგულირების შესახებ საბოლოოდ კრახით დასრულდა. მისი იმიჯის საწინააღმდეგო პროპაგანდის ფონზე, პრემიერ-მინისტრის ქოჩარიანის მიერ ორგანიზებული გენოლით, იგი იძულებული გახდა 1998 წელს გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. სომხეთი კვლავ დარჩა რუსეთის ფედერაციის მყარი კონტროლის პირობებში და ვერ მოხვდა ვერც ერთ ენერგეტიკულ პროექტში, რომელთა ინიცირებაც სამხრეთ კავკასიაში განხორციელდა. ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, რუსეთის ფედერაციასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, 2012 წლამდე არაფერი შეცვლილა.

რუსეთის ფედერაციის მიერ „რეგიონის დომინანტი მმართველის“ სტატუსის შენარჩუნების მიზნით აქტიური ქმედებების განხორციელების პირობებში საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო ზემოქმედების რეალში მოექცა. მაღალი ალბათობით, რუსეთი, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, ამ სამი სახელმწიფოს

ინტეგრაციის სხვადასხვა მოდელს ამუშავებდა და მათი აღსრულების შესაბამის ამოცანებს გეგმავდა.

საყურადღებოა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებზე დომინირებისათვის საბჭოთა სპეცსამსახურების ლაბორატორიებში შემუშავებული „კავკასიის საერთო სახლის“ მოდელი, რომლის ირგვლივ სათანადო პროპაგანდით ამ ერთიანობას ჩრდილოეთ კავკასიელები მხოლოდ საკუთარ გაერთიანებად მიიჩნევდნენ. 1989 წლის აგვისტოს ბოლოს სოხუმში დაფუძნებული იქნა „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეა“, ხოლო 1991 წელს, ის გარდაიქმნა „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციად.“ ორივე ორგანიზაცია ჯერ საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდეგ რუსეთის ფედერაციის ინტერესებს ემსახურებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთიანი, სტაბილური კავკასიის მოდელის დაშლის ძირითადი ამოცანა რუსეთის ფედერაციამ წარმატებით გადაჭრა. ამ ორგანიზაციის გამოყენება აქტიურად ხორციელდებოდა საქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთში მიმდინარე ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლებისას და საბრძოლო მოქმედებებისას. ასე მაგალითად: „1992 წლის 18 აგვისტოს გროზნოში, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ პარლამენტის საგანგებო სხდომაზე, მიიღეს გადაწყვეტილება - აფხაზეთისთვის სამხედრო დახმარება გაეწიათ. 21 აგვისტოს კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ ომი გამოუცხადა საქართველოს და თავისი შეიარაღებული ძალები აფხაზეთის ტერიტორიაზე გადმოისროლა.“²⁷ რუსეთის ფედერაციის მხრიდან ამ ორგანიზაციის სადამკვეთო კონტროლზე მიანიშნებს ჯოხარ დუდაევის ხელისუფლებისადმი კონფედერაციის დაპირისპირება და ორჯერადი ხასიათის აჯანყების ორგანიზება მის წინააღმდეგ,

27 ბურჭულაძე ნინო, „სოხუმის ცხელი აგვისტო,“ (კახა დვალისძეშვილის ("ნიუტონას") დღიურებიდან. 20-25 აგვისტო, 1992 წელი (ლია ტოკლივიშვილის წიგნიდან, "როცა ისინი მკვდრები იღვიძებენ"). 2011, 22 აგვისტო, <https://kvispalitra.ge/article/9074-sokhumis-ckheli-agvisto/>

რაც რუსეთის ინტერესების სასარგებლო და სტრატეგიულად მნიშვნელოვან შესასრულებელ ამოცანათა რანგში შეგვიძლია განვიხილოთ.

შეიძლება ითქვას, რომ 1918-1921 წლების მსგავსად სამი სახელმწიფოს: ამერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი გაერთიანების იდეის ნეიტრალიზაცია რუსეთის ფედერაციის მიერ წარმატებით იქნა გადაჭრილი.

საკუთარი სახელმწიფოების ეკონომიკური, პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით სასარგებლო, საქართველო-სომხეთი-ამერბაიჯანის მონაწილეობით „კავკასიის საერთო ბაზრის“ მოდელის განხორციელების პერსპექტივის ჩაშლა რუსეთის ფედერაციის ინტერესების სასარგებლოდაა განხორციელებული. ამ შედეგზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სომხეთ-ამერბაიჯანს შორის არსებული „ყარაბაღის“ პრობლემამ, რომლის ორგანიზება საბჭოთა სპეცსამსახურების მონაწილეობით, ჯერ კიდევ 1988 წელს დაიწყო და რუსეთის ფედერაციის კონტროლით დღემდე ბოლომდე გადაუჭრელია. გარკვეული პერიოდულობით პრობლემურია/კონფლიქტისადმი მიდრეკილია ვითარება სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე, რომელშიც სომხეთის მონაწილეობის ნიშნები იკვეთება. შესაბამისად, შექმნილმა ვითარებამ, იმავე სახელმწიფოების მონაწილეობით „კავკასიის შეერთებული შტატების“ მოდელის ამოქმედების შესაძლებლობაც გამოირიცხა.

რუსეთის ფედერაციის მიერ 1996 წელს შემოთავაზებული მოდელი „3+1“ (საქართველოს, სომხეთი, ამერბაიჯანი+რუსეთის ფედერაცია), უარყოფილია, რაც უცხო/დაინტერესებული სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესების შესაბამისია.

დღეის მდგომარეობით, რეგიონში გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, მისაღებად უნდა ჩავთვალოთ

ავტორების²⁸ მიერ შემოთავაზებული კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური სივრცის დაყოფის მეთოდი, რომელიც წარმოდგენილია, როგორც:

ცენტრალური კავკასია-შემადგენლობა: დამოუკიდებელი სახელმწიფოები: აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი;

ჩრდილოეთ კავკასია-შემადგენლობა: რუსეთის ფედერაციის საზღვრისპირა ავტონომიური წარმონაქმნები;

სამხრეთ კავკასია-შემადგენლობა: აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის მოსაზღვრე თურქეთის ვილაიეთები (სამხრეთ-დასავლეთი კავკასია) და ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოსტანები (სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასია).

როდესაც გემოქმედების ორგანიზების თვალსაზრისით, დაინტერესებულ სახელმწიფოთა სტრატეგიული ინტერესების გატარებაზე ვსაუბრობთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს სამიზნე მიმართულებები, რომელთაც გეოგრაფიული პრინციპით საღაზვერვო აქტივობების სამოქმედო არეალი შეგვიძლია ვუწოდოთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის სუბიექტები რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედიან და დამოუკიდებელი კავშირ-ურთიერთობების უფლებამოსილება არ გააჩნიათ.

სუბიექტებთან კავშირ-ურთიერთობა სწორედ რუსეთის ფედერაციის ნება-სურვილზე, სტრატეგიულ ინტერესებზეა დამოკიდებული. კონკრეტული ინტერესის შემთხვევაში დესტაბილიზაციის მიზნით თურქეთსა და ირანს აქვს შესაძლებლობა პროცესები მართოს ცენტრალური კავკასიის ინტერესების საზიანოდ, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსაზღვრე ტერიტორიების სიახლოვე. რუსეთის ფედერაციას მოსაზღვრე ტერიტორიების გამოყენებით იგივე

28 Ismailov, and Kengerli, 2003, Исмаилов Э., 2002 (ისმაილოვი ელდარ და კაპაჯა ვლადიმერ „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები“, კავკასიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი, 2007, გვ. 38

პერსპექტივები აქვს სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით, ხოლო რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო პროცესების წარმართვა შესაძლებელია ცენტრალური და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებიდან.

შესაბამისად, სადაზვერვო აქტივობის ორგანიზებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპული და სხვა სახელმწიფოებისათვის სამოქმედო გეოგრაფიული სეგმენტებია (ცენტრალური კავკასია; ჩრდილოეთ კავკასია; სამხრეთ კავკასია). ამრიგად, აღნიშნული განფენა არა მარტო ინტეგრაციული პროცესების მხოლოდ ახალი მიმართულება კი არა, ნებისმიერი ხასიათის ინტეგრაციის საწინააღმდეგოდ რეგიონში, საკუთარი ინტერესების შესაბამისი დამაზიანებელი ქმედებების ორგანიზების სეგმენტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ყოველივე კი პერსპექტიული ინტეგრაციის პროცესების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოება ხდება.

სარგებლის მიღების თვალსაზრისით გეოგრაფიულ სეგმენტებზე მონოპოლია განსაკუთრებულ მდგომარეობას ნიშნავს და ბოლო პერიოდის მონოპოლისტი სახელმწიფო პოზიციის დათმობას განსაკუთრებულად მტკივნეულად ხვდება, ააქტიურებს კონტრსადაზვერვო აქტივობებს ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო სადაზვერვო აქტივობებს - ცენტრალურ და სამხრეთ კავკასიაში. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, როგორც აღვნიშნეთ, რეგიონში დომინირებისათვის ბრძოლაში ჩართული არიან სხვა სახელმწიფოები და მათაც გააჩნიათ სტრატეგიული ინტერესები, რომელთა მიღწევა სადაზვერვო აქტივობებითაა შესაძლებელი.

უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო აქტივობების ფონზე საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის ვექტორი პოსტსაბჭოთა ეპოქაში დასავლეთისა და თურქეთისაკენ გადაიხარა. ორივე სახელმწიფო, როგორც კასპიის და შავ

ზღვას შორის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფნის მქონე ქვეყნები, საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების გამყარებისათვის ხელსაყრელი ვითარების შექმნა-შენარჩუნებისათვის აქტიურად მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტში (ევროპა-კავკასიის სატრანსპორტო დერეფანი „ტრასეკა“, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენი, „ბაქო-თბილისი-არზრუმის“ გაზსადენი). რაც შეეხება სომხეთს, მისი საგარეო პოლიტიკური ვექტორი რუსეთის ფედერაციისკენ არის მიმართული და ამის პარალელურად მიმდინარეობს აქტიური ქმედებები ირანთან დასაახლოებლად. შესაბამისად, ცენტრალური კავკასიის სხვა ქვეყნებთან სომხეთის ინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელი მის მიერ არჩეული საგარეო პოლიტიკური კურსია. ამასთან ერთად, სწორედ უცხო სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთა რეგიონში სახელმწიფოთა შორის საბრძოლო მოქმედებების, სეპარატისტული მოძრაობების და რეჟიმების ჩამოყალიბება-გამყარების პროცესს კიდევ უფრო აჩქარებს, რაც რეგიონში სტაბილური, უსაფრთხო ვითარების შენარჩუნების პროცესის გამორიცხვის მნიშვნელოვანი მაინსპირირებელია.

მიმოვიხილოთ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებშიაც გაწევრიანებული არიან ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოები.

დსთ-ს ორგანიზაციაში საქართველო იძულებით 1993 წელს გაწევრიანდა, 2006 წლის თებერვალში დატოვა ამ გაერთიანების თავდაცვის მინისტრების ჯგუფი, ხოლო, 2008 წლის აგვისტოს ომის გამო, 2009 წლის აგვისტოში მთლიანად ორგანიზაცია. 2023 წლის მდგომარეობით ამ ორგანიზაციაში არიან გაწევრიანებული: რუსეთის ფედერაცია, ბელორუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდავეთი (2018 წლიდან შეჩერებული აქვს სტატუსი), ტაჯიკეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი.

ევრაზიის ეკონომიკური კავშირი, რომელიც 2015 წელს რუსულ-ყაზახურ რეგიონული პროექტის საფუძველზე ჩამოყალიბდა დამისი წევრისა სომხეთი. ამ კავშირის ეკონომიკური მოტივი ნავთობისა და გაზიდან მიღებული შემოსავლებზეა დამყარებული. პროცესში დომინანტი სახელმწიფოს ფუნქციას რუსეთის ფედერაცია ასრულებს, რადგან საექსპორტო პროდუქციის მფლობელი თვითონვეა. რაც შეეხება პროდუქციის ექსპორტისათვის ბაჟის აკრებას, ეს პროცედურა ამ კავშირის საზღვრის გადაკვეთის შემდგომ ხორციელდება. მიღებული შემოსავლების ნაწილი კი გადანაწილებული უნდა იყოს კავშირის წევრ-სახელმწიფოებზე. დომინანტი სახელმწიფოსათვის აღნიშნული კავშირი წამგებიანია, ხოლო პოსტ-საბჭოთა სივრცის აღდგენისათვის მისი სადაზვერვო აქტივობების შედეგისათვის შესაძლებელია მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

სწორედ ზემოჩამოთვლილი და სხვა მნიშვნელოვანი მიზეზების გამო არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ექსპერტის ვლადიმერ პაპავას მოსაზრება: „ევრაზიიზმის ეკონომიკური მოდელის რეალიზაცია თანამედროვე გლობალურ სამყაროში უტოპიაა, ხოლო ევრაზიული კავშირის ეკონომიკური მოდელი არა მარტო არასტაბილური, არამედ არაადეკვატურიც არის.“²⁹ გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება უშანგი სამადაშვილის 2018 წელს გამოთქმული მოსაზრებაც: „ცხადია, სტაბილური, უსაფრთხო და 28 ქვეყნისაგან შემდგარი ხუთასოთხმეტილიონიანი და მაღალი მსყიდველობითუნარიანი (რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე - 32000 აშშ დოლარი) ევროკავშირის ბაზარი უფრო მიმზიდველია, ვიდრე ხუთი (რუსეთი, ბელორუსი, ყაზახეთი, სომხეთი, ყირგიზეთი)

29 პაპავა ვლადიმერ, „საქართველოს არჩევანი: ევროკავშირი თუ ევრაზიული ეკონომიკური კავშირი,“ ექსპერტის აზრი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2016 წელი, გვ.9, <https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/Jul/books/papava.pdf>

ქვეყნისაგან შემდგარი 180 მილიონიანი და შედარებით დაბალი მსყიდველობითუნარიანი (რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე - დაახლოებით - 16000 აშშ დოლარი) ევრაზიული საბაჟო კავშირი, სადაც ხშირია ეკონომიკის პოლიტიკური მიზნით გამოყენების ფაქტები.³⁰

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC), რომელიც 1992 წელს ჩამოყალიბდა და აერთიანებს შავი ზღვის აუზის 11 ქვეყანას: ალბანეთი, სომხეთი, ამერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა, რომელთაც 2004 წლიდან სერბეთიც შეუერთდა. ორგანიზაციის შტაბ-ბინა თურქეთში (ქალაქ სტამბოლში) მდებარეობს. მასთან თანამშრომლობა საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებას წარმოადგენდა და წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენების შედეგად ნატოსთან არსებული დისბალანსის სრულყოფა რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში განვითარებული მოვლენებით (კონტროლი ყირიმის ნახევარკუნძულზე, ქერჩის სრუტეზე) დააბალანსა.

შავი ზღვის, მათ შორის სადამკვერვო მიზნებით, გამოყენებას ხელს უწყობს „მონტროს კონვენცია“, რომლის მიხედვითაც აკრძალულია შავ ზღვაში დიდი წონის გემების როგორც შემოყვანა, ისე გაჩერება. უნდა გავიხსენოთ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს: „ამერიკის შეერთებული შტატები საკუთარი სამხედრო საზღვაო ძალებიდან 2 გემი ჰოსპიტლის, USNS Comfort-სა და USNS Mercy-ს გამოგზავნას აპირებდა,

30 სამადაშვილი უშანგი, ევროკავშირისა და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ინტეგრაცია - გლობალური სტაბილურობის პირობა, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი: გლობალიზაცია და ბიზნესი. #6 / 2018, გვ.1, <https://www.eugb.ge/uploads/content/N6/Ushangi-Samadashvili.pdf>

მაგრამ თურქეთმა აშშ-ს მკაცრად მოუწოდა, გაეთვალიწინებინა მონტროს კონვენციის მე-18 მუხლი, რომელიც სრუტეებში შემომავალი გემების წონებს ზღუდავს. აშშ-ს თავდაპირველი განზრახვით გამოსაგზავნი გემებიდან თითო 69 ათას ტონაზე მეტს იწონიდა (არაშავიზღვისპირა ქვეყნის შემომავალი გემი არ უნდა აღემატებოდეს 30 ათას ტონას).³¹ გემების შემოშვება თურქეთის მიერ მხოლოდ 21 აგვისტოს იქნა გაცემული.

სუამის ორგანიზაცია 1997 წლის ოქტომბერში სტრასბურგში, ევროპის საბჭოს სამიტის მიმდინარეობისას საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას მონაწილეობით.

ღია წყაროში განთავსებული ინფორმაციის თანახმად,³² ამ ორგანიზაციას რუსეთის ფედერაციაში, დსთ-ს ორგანიზაციის დაშლის მიზნით შექმნილ ორგანიზაციად მიიჩნევდნენ და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე ამავე მიმართულებით ამკვიდრებდნენ. უფრო მეტიც, აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობა აღქმული იქნა რუსეთის ფედერაციის ინტერესებისათვის საფრთხედ. შესაბამისად, ამ საფრთხის საპასუხოდ, 2003-2004 წლებში რუსეთმა მოახერხა 1994 წელს სომხეთთან, ბელორუსთან, ყაზახეთთან, ყირგიზეთთან და ტაჯიკეთთან ერთად, მის მიერ შექმნილი „პოლიტიკური ბლოკი კოლექტიური უსაფრთხოების წევრი ქვეყნების ორგანიზაციის“ (რომელსაც გააჩნდა სამხედრო კომპონენტი – სწრაფი რეაგირების კოლექტიური ძალები) ჯერ გაერო-ს სამდივნოში რეგისტრაცია, ხოლო შემდგომ ამ ორგანიზაციის ასამბლეის დამკვირვებლის სტატუსის მოპოვება.

31 წიქარიშვილი გიორგი, "მონტროს კონვენცია, შავი ზღვის გეოპოლიტიკა და სტამბოლის არხი – დამოკლეს მახვილი მონტროს კონვენციის თავზე," 9 ივნ, 2021, <https://tabula.ge/ge/news/668493-shavi-zghvis-geopolitika-stambolis-arkhi-damokles>

32 ჩიქოვანი თამარ, „სუამს რუსეთში დსთ-ის ალტერნატივად აღიქვამენ“, მაისი 23, 2006, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1547002.html>

რუსეთის საგარეო-პოლიტიკურმა და სპეციალურმა სტრუქტურებმა სადაზვერვო აქტივობებით გამყარებული ღია და ფარული ზეწოლის მეთოდების გამოყენებით შეძლეს 2005 წელს სუამ-ის სტრუქტურებიდან უზბეკეთის გამოკლება,³³ რომელიც 1999 წლამდე წარმოადგენდა სუამ-ის ორგანიზაციას. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 2018 წლის თებერვლისათვის ქართულ მასმედიაში ქვეყნდება სტატია, რომელიც ეყრდნობა ამერბაიჯანულ გამოცემას „ნოვოე ვრემიას“³⁴ მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას, ამერბაიჯანის **სუამიდან** გასვლის შესახებ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო აქტივობები აღნიშნული ორგანიზაციის დაშლის მიზნით კვლავ აქტუალურია.

საბოლოოდ, ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციული სქემა ასე შეიძლება გამოვსახოთ:

	შავი ზღვის ეკონო- მიკური თანამშრომ- ლობის ორგანი- ზაცია	ევრაზიის ეკონომი- კური კავშირი	დსთ	სუამი
N1	საქართველო	ბელარუსი	ბელორუსი	საქართველო
N2	აზერბაიჯანი	ყაზახეთი	აზერბაიჯანი	აზერბაიჯანი
N3	სომხეთი	სომხეთი	სომხეთი	მოლდოვა

33 ალადაშვილი ბესიკ, „სუამი – ეკონომიკური ინტეგრაციის მოცდელი: პრობლემები და პერსპექტივები“, 22/06/2007, <http://geoeconomics.ge/?p=2906>;

34 „რატომ აპირებს აზერბაიჯანი „სუამ“-იდან გასვლას - „სუამი“ „სუმ“-ად გადაიქცევა?!\“, 23 თებერვალი 2018, <https://ghn.ge/news/197825>

N4	რუსეთის ფედერაცია	რუსეთის ფედერაცია	რუსეთის ფედერაცია	უკრაინა
N5	ბულგარეთი	ყირგიზეთი	ყაზახეთი	
N6	საბერძნეთი		ყირგიზეთი	
N7	მოლდოვა		მოლდოვა	
N8	რუმინეთი		ტაჯიკეთი	
N9	ალბანეთი		უზბეკეთი	
N10	თურქეთი		უკრაინა (დამფუძ- ნებელი, არაწევრი)	
N11	უკრაინა		თურქმენეთი (დამფუძ- ნებელი, არაწევრი)	
N12	სერბეთი			

თავი VII

გლობალიზაცია და რეგიონული ინტეგრაციის გამომწვევი ფაქტორები სამხრეთ კავკასიაში

თანამედროვე საერთაშორისო წესრიგის მსაზღვრელებია რეგიონალიზმი, გლობალიზაცია და ნაციონალიზმი. არსებობს პერსპექტივა, რომ გლობალიზაცია და ნაციონალიზმი ჩანაცვლდეს რეგიონალიზმით. შესაბამისად, მაღალი ალბათობით, არსებობს მოლოდინი, რომ სახელმწიფოთა შორის კონკურენციას რეგიონებს შორის კონკურენცია ჩანაცვლებს. საბოლოო შედეგამდე რეგიონალიზმშიცა და გლობალიზაციაც სახელმწიფოთა და სახელმწიფოთა გაერთიანებებს შორის ბრძოლის მნიშვნელოვან იარაღად გამოყენების პერსპექტივას კვლავ ინარჩუნებს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პროცესების ორგანიზატორ სახელმწიფოებს წინასწარ გაწერილი და მეცნიერულად დასაბუთებული აქვთ განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმები, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივ სარგებელზეა გათვალისწინებული. შესაბამისად, პროცესებში მონაწილეობის პერსპექტივის მქონე სახელმწიფოები საკუთარი საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსის დაგეგმვისას უნდა ითვალისწინებდნენ ორგანიზატორთა ბრახვებს, რათა თავიდან აიცილონ სახელმწიფოს ინტერესის დამაზიანებელი საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობები. საკითხი აქტუალობას უფრო იძენს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკუთარი ინტერესების აღსასრულებლად სახელმწიფოები სადამგერგო ქმედებებს აქტიურად იყენებენ.

გლობალიზაციის პროცესით მიღწეულია ქვეყნების

მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება, რასაც ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ფინანსების მზარდი მიმოქცევა, ასევე მიგრაციული პროცესები განაპირობებს. გლობალიზაცია მსოფლიო საზოგადოების გამაერთიანებელია მრავალი მიმართულებით და ის აწესებს, როგორც საერთო ფასეულობებს, ისე ნორმებს. გარდა სარგებლისა, ამ პროცესს შესაძლოა კონკრეტული სახელმწიფოსათვის/სახელმწიფოთა გაერთიანებისათვის დამაზიანებელი შედეგი მოჰყვეს. გამოთქმული მოსაზრების საფუძველს იძლევა სწორედ სახელმწიფოთა/სახელმწიფოთა გაერთიანებების ინტერესთა გადაკვეთა კონკრეტულ სახელმწიფოსთან ან რეგიონალურ დაჯგუფებებთან მიმართებით. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ინტერესების შესაბამისი შედეგის მიღწევას სახელმწიფოები/სახელმწიფოთა გაერთიანებები ნებისმიერი ხერხით და საშუალებით ახორციელებენ, სადაზვერვო აქტივობების (მათ შორის მყარი კოორდინაციის) გარეშე ამ პროცესის მონაცვლეობა წარმოუდგენელი იქნება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მიღებული პროდუქტის - **„ახალი რეგიონალიზმის“** განვითარება რეგიონის შიგნით მოქმედი სუბიექტების ინიციატივების საფუძველზე ხორციელდებოდა და მას ახასიათებდა მრავალმხრივობა, რაც სხვადასხვა მიმართულებით კონკრეტული მიზნების, ამოცანების შემუშავებასა და ერთობლივი ძალებით გადაწყვეტას, კოორდინაციას გულისხმობდა. მისი რეალიზაცია ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებასთანაა დაკავშირებული. თანამედროვე ეტაპზე შეიმჩნევა როგორც ტერიტორიულ, ისე ინსტიტუციონალიზებული რეგიონალიზმი, რომლებიც დაკავშირებული არიან სხვადასხვა მიმართულებით ქვეყნების ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბებასა და ინტეგრაციის პროცესების ზრდასთან. აღნიშნული გარემოება

არ ემყარება მხოლოდ ეკონომიკურ საკითხებს, არამედ მათთან დაკავშირებულ ზოგადად უსაფრთხოების, მათ შორის ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სხვა სახის პრობლემებს. პროცესში სახელმწიფოებთან ერთად მონაწილეობენ არასახელმწიფო აქტორებიც. მისი მიმდინარეობისას არსებობს შესაძლებლობა მოიძებნოს რეგიონალური ჯგუფის მსოფლიო გლობალურ პროცესებში ინტეგრირების საუკეთესო გზა/ხერხი, აგრეთვე ფიზიკური, ინტელექტუალური და სხვა სახის რესურსები, რომელთა მეშვეობითაც გაიოლდება თითოეული ქვეყნის განვითარება, არსებული პოტენციალის რეალიზაციასთან ერთად.

დღეის მდგომარეობით მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ დღევანდელი მსოფლიოს წესრიგი რეგიონალური ხასიათისაა. „პიტერ კეცენსტაინი მიიჩნევს, რომ ერმა-სახელმწიფოებმა და გლობალიზაციამ მნიშვნელობა დაკარგა და „რეგიონების მსოფლიოს“ დრო დგება (Katzenstein, 2005). იმავე აზრს ავითარებს ამითავ აჩარია, რომ მსოფლიო პოლიტიკა უკვე რეგიონულ დონეზე იქმნება და რეგიონებისგან შედგარი მსოფლიო ყალიბდება (Acharya, 2007, 2014). მკვლევრები უკვე „ძლიერი რეგიონების გლობალურ წესრიგზე“ საუბრობენ (Buzan & Weaver, 2003:20).“³⁵ ძნელია არ დავეთანხმოთ გამოთქმულ მოსაზრებებს.

როდესაც ვსაუბრობთ სარგებელის მიღებაზე, არსებობს დაზიანების საფრთხეც. შესაბამისად, რეგიონალიზმის პრინციპით დაჯგუფებულ სახელმწიფო გაერთიანებებს ჰყავთ

35 ბესიკ გოგინავა, „რეგიონალიზმის თავისებურებები ლათინურ ამერიკაში,“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი სადოქტორო პროგრამა: ამერიკისმცოდნეობა ამერიკისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია თბილისი 2020 გვ.17, <https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/apr/dissertations/goginava-disertacia.pdf>

დამიანებას დაქვემდებარებული სამიზნე რეგიონალური დაჯგუფება და/ან სახელმწიფოები. დამიანებაში იგულისხმება საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების გასაძლიერებლად (სარგებლის მისაღებად) სხვა რეგიონალური დაჯგუფებების ანალოგიური მიმართულებებით ინტერესების დამიანება (ეკონომიკური ბაზრებიდან განდევნა, ახალი კონფლიქტების ინსპირირება/ არსებული კონფლიქტების კიდევ უფრო გაძლიერება და სხვ.). შესაბამისად, ნებისმიერი რეგიონალური დაჯგუფების შექმნა, კონკრეტული სახელმწიფოებისათვის/სახელმწიფო გაერთიანებებისათვის, მაღალი ალბათობით, შესაძლოა საფრთხეს უკავშირდებოდეს და ყველა პროცესი აქტიურ სადაზვერვო შესწავლას უნდა დაექვემდებაროს, რათა სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოება იქნეს შენარჩუნებული.

„ახალი რეგიონალიზმის“ პრინციპით ჩამოყალიბებულ ორგანიზაციათა შორის შეიძლება გამოვყოთ:

- „ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა“³⁶ (1992 წელი. წევრები: კანადა, აშშ, მექსიკა, მიზანი/შედეგი: აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციის სფეროში არსებული (მათ შორის საბაჟო და საპასპორტო) ბარიერების მოსპობა. მიღწევის ხელსაყრელი პირობები: ტარიფების შემცირება და შეღავათების ამოქმედება);

- „ევროკავშირი“³⁷ (1992 წელი. წევრები: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსის რესპუბლიკა, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი სლოვენია, ესპანეთი და შვედეთი).

36 Will Kenton, „What Is the North American Free Trade Agreement (NAFTA)?“ July 28, 2021, <https://www.investopedia.com/terms/n/nafta.asp>

37 „Countries in the EU and EEA,“ <https://www.gov.uk/eu-eea>

განხილული მიმართულებით საკმაოდ საყურადღებო მოვლენები განვითარდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც მსოფლიოს პოსტსაბჭოთა, პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოები მოვევლინა და ისინი რეგიონალიზმისა და გლობალიზაციის პროცესების ზეგავლენისა და შეღწევადობის ობიექტებად იქცნენ.

ისტორიული პროცესების ანალიზი აჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის საფუძველს შემდგომ მის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოების ძალადობრივი დამხობა და ანექსია წარმოადგენდა. შესაბამისად, „იძულებით გასაბჭოებული ქვესახელმწიფოების“ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ფუნქციებს საბჭოთა კავშირი ითავსებდა და იყენებდა კიდევ, რაც იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს დამოუკიდებელად ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შესაძლებლობები არ გააჩნდათ.

სათანადო პრაქტიკის, შესაბამისი ინსტიტუტების არარსებობა, საბჭოთა სივრცის დაშლის შემდგომ, საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან შემაფერხებელ გარემოებად იქცა. ამ ვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად რუსეთის ფედერაციასა და კოლექტიურ დასავლეთს შორის ინტერესთა გადაკვეთა და ამ მიზნებისათვის საღაზვერვო აქტივობების გამოყენება გახდა. პოსტსაბჭოთა სივრცის კონტროლი სწორედ ამ სახელმწიფოების სტრატეგიულ ინტერესებს მოიცავდა. ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის უსაფრთხო პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო კავშირების ჩამოყალიბებისთვის ხელშეშლის ფონზე, აქტიური ღონისძიებები ტარდებოდა საბჭოთა კავშირის დროს ჩამოყალიბებული კავშირების შესანარჩუნებლად, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე ამ კავშირების მოშლით და საკუთარი ინტერესების სასარგებლო

შედევების მიღწევაზე იყო ორიენტირებული. შესაბამისად, დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე, არც ერთ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს, გარდა რუსეთის ფედერაციისა, არ გააჩნდა მყარი უსაფრთხოების სისტემა, რაც აადვილებდა რუსეთის მხრიდან სხვადასხვა დამაშიანებელი აქციის წარმატებით ჩატარებას დამოუკიდებელ სახელმწიფოებში. არსებობდა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ამ აქციების წარმატების საფუძვლებს ამყარებდა. საბჭოთა რესპუბლიკების საღაზვერგო და კონტრსაღაზვერგო ხასიათის აგენტურული აპარატი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის რუსეთის ფედერაციის საღაზვერგო აპარატად იქცა და სამიზნე ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების სეგმენტების შესასუსტებლად მოქმედებდა.

სიძნეელების მიუხედავად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ხელისუფლებები ცდილობდნენ საკუთარი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით შეექმნათ უსაფრთხო პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგიები მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში ინტეგრაციისათვის. ფაქტობრივად იყო პერიოდი, რომლის დროსაც საფუძველი ეყრებოდა მსოფლიოს ახალი ეკონომიკური სისტემების ინტეგრაციის პროცესებს. მათში უპირატესობის ან მცირედი სარგებლის მისაღებად პოსტსაბჭოთა სივრცეში თავიანთ საქმიანობას ააქტიურებენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები. უფრო მეტიც, თვით პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ააქტიურებენ საღაზვერგო საქმიანობას, რის შედეგადაც რელიგიურ-ეთნიკური კონფლიქტები, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა, პოლიტიკურ-ეკონომიკურ, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკურ ბერკეტებზე უცხო სახელმწიფოთა კონტროლი აღნიშნული პერიოდის ძირითად მახასიათებლად იქცა.

შექმნილმა ვითარებამ განაპირობა კიდევ საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური ვექტორის ცვლილება. ევროპაში ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოების ინტეგრაციის ვექტორი კაპიტალისტური ევროპისაკენ, ევროპული გაერთიანებისაკენ იქნა მიპყრობილი. ამ მიმართულებას შეუერთდა ბალტიისპირეთის სახელმწიფოები. მათ ევროპული თანაცხოვრების მყარი გამოცდილება ჰქონდათ. აღნიშნული ტენდენციები შეიმჩნეოდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფოების მხრიდანაც. უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეზე შეიმჩნეოდა უცხო ქვეყნების სადაზვერვო საქმიანობისათვის დამახასიათებელი, სხვადასხვა სახელმწიფოში მცხოვრები ეთნიკურად და/ან რელიგიურად მონათესავე ჯგუფების გამოყენება. სხვადასხვა ინტეგრაციული პროცესის ჩამოყალიბების მიზნით შეიქმნა განსხვავებული სახელმწიფოთა საინტეგრაციო კავშირები და გაერთიანებები, რომელთაც სათანადო განვითარება ვერ მოახერხეს. მათ შორის გამორჩეული იყო:

„სლავურ სახელმწიფოთა კავშირი“³⁸ - ჩამოყალიბების თარიღი: 1991 წლის 8 დეკემბერი, შემადგენლობა: რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბელორუსია;

„თურქულ სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანების“ შექმნის პირველი ოფიციალური მცდელობა 1992 წლის 30 ოქტომბერი, რომლის ინიციატორია თურქეთი. შემადგენლობა: აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი. 1998 წელს აზერბაიჯანში, ბაქოში ჩამოყალიბდა **„თურქულენოვან სახელმწიფოთა“** გაერთიანება;

-რელიგიური ნიშნით გაერთიანებას შეგვიძლია

38 „Agreements establishing the Commonwealth of Independent States [Done at Minsk, December 8,1991, and done at Alma Alta, December 21,1991],“ EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL\(1994\)054-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL(1994)054-e)

მივაკუთნოთ, 1985 წელს შექმნილი **„ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია“**, რომელსაც 1992 წელს ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ავღანეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი შეუერთდა. ორგანიზაციის საფუძვლებს ამყარებდა 1977 წელს ხელმოწერილი იმშირის ხელშეკრულება, რომლის ხელმომწერებიც იყვნენ: ირანი, პაკისტანი და თურქეთი.

რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული და საღაზვერვო ინტერესების შესაბამისად, მისივე ინიციატივით **„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“ (დსთ)** 1991 წლის დეკემბერში შეიქმნა, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიზანს პოსტსაბჭოურ სივრცეზე დომინირება წარმოადგენდა (შეიქმნა პრეცედენტი, სეპარატიზმის გაღვივებით, საომარი მოქმედებების ფონზე, ამ გაერთიანებაში საქართველოს იძულებით გაწევრიანების შესახებ). იმავე მიზნით რუსეთისა და ბელორუსიის ინიცირებით შეიქმნა **„საბაჟო კავშირი“ (2000 წლიდან „ევრაზიის ეკონომიკური კავშირი“)**, რომლის წევრები ამ ორი სახელმწიფოს გარდა ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი გახდნენ.

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გაერთიანებად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის, **მოლდოვის** ინიცირებით ახალი სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნის შექმნის მიზნით ჩამოყალიბებული **სუამი**.

საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა მათთვის ახალ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცეებში შერწყმის შესაძლებლობას იძლეოდა. ამ თვალსაზრისის საფუძველი გლობალიზაციის პროცესისათვის ხელშეწყობის შესაძლებლობა იყო.

განვიხილოთ პერიოდმა აჩვენა, რომ რეგიონში

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები მსოფლიოსთვის ეფექტიანად ვერ გაერთიანდნენ. მიუხედავად ამისა, არსებობს მნიშვნელოვანი პერსპექტივები ასეთი ინტეგრაციის არსებობისათვის, თუ პერსპექტიული დაჯგუფებების წევრი სახელმწიფოები სადაზვერვო აქტივობებით გაანეიტრალებენ/მინიმუმამდე დაიყვანენ კონკრეტული სახელმწიფოებისაგან, სახელმწიფოთა გაერთიანებებისაგან მომდინარე საფრთხეებს. ამ შემთხვევაში კავკასიას, როგორც ევრაზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფანს, მნიშვნელოვანი სარგებელი შეუძლია მოუტანოს სამხრეთ კავკასიასაც და ზოგადად მსოფლიოს.

თანამედროვე ისტორიის ანალიზი გვაძლევს საშუალებას დასკვნისათვის, რომ დადებითი შედეგი მიღწეულია კავკასიის სახელმწიფოების უახლოეს მეზობლებთან სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციით. ამ სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების მდგრადობისათვის აუცილებელია სხვადასხვა მიმართულებით ინტეგრაციის პროცესებში მონაწილეობა. აუცილებელია კავკასიაში ტრანსპორტის (წარმატებულია „ბაქო-სუფსის“, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ პროექტები), კავშირგაბმულობის („ტრანსაზიის-ევროპის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი,“) ნავთობის მრეწველობის, ენერგეტიკის, ვაჭრობის და სხვა პრიორიტეტული მიმართულებების განვითარება.

ამ პროცესის მიღწევა წარმოუდგენელია ინტეგრაციის მონაწილე სახელმწიფოებს შორის სამართლებრივი რეგულირების, ინფორმაციული ნაკადების ურთიერთგაცვლის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და სხვა მიმართულებების განვითარებისათვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების გარეშე. ამ პირობებში, მაღალი ალბათობით, შესაძლებელი ხდება ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პროექტის განხორციელებისთვის ხელშეწყობა, რომლითაც დასავლეთ-აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის

მიმართულებით ტვირთების მასშტაბური გადაზიდვით საქართველოს, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ეკონომიკურ-პოლიტიკური უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობი პროცესის დაგეგმვაა შესაძლებელი. ამ დერეფნის არსებობით მიიღწევა სხვა ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური კეთილდღეობაც, რომელმაც განაპირობა კიდევ მსოფლიოს, ისლამური განვითარების, აზიის განვითარების, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკების, ირანის სახელმწიფოს, ქუვეითის, საუდის განვითარების ფონდების, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის მიერ მრავალმილიონიანი (143,4 მილიონი აშშ დოლარი)³⁹ ინვესტიციების განხორციელება აზერბაიჯანში.

39 ისმაილოვი ელდარ და პაპაჟა ვლადიმერ „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები“, კავკასიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი, 2007, გვ. 98-99

თავი VIII

რუსეთის ფედერაციის საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის სპეციფიკა საბჭოთა მემკვიდრეობიდან კანონიერულ „დერჟავადე“

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია უსაფრთხოების დოქტრინის შემუშავება და რეალიზაცია. დოკუმენტი უნდა შეიცავდეს საზოგადოების კონსოლიდაციის, სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების და სხვა მიმართულებებს. აღნიშნული დოკუმენტი უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურების ანალიზის საგანს წარმოადგენს. ასეთი დოქტრინების უმრავლესობა ორი ნაწილისაგან შედგება. ღია, არასაიდუმლო ნაწილის გამოქვეყნება დასაშვებია ღია წყაროებში, ხოლო დახურული, საიდუმლო ნაწილის დაცვა უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ კონტრსადაზვერვო რეჟიმით. ამიტომაც, როდესაც ვსწავლობთ რუსეთის საგარეო პოლიტიკური დოქტრინის სპეციფიკას და უსაფრთხოების კონცეფციას, ჩვენ ვეყრდნობით ღია წყაროებს, ინფორმაციული ნაკადებისა და სადაზვერვო საქმიანობის კვლევის მეთოდოლოგიით გაფასებთ და ვაანალიზებთ მოვლენებს.

კომუნისტური იდეოლოგიის კრახი საბჭოთა კავშირის დაშლის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა. ახალ რეალობაში პოლიტიკური და აკადემიური წრეებისათვის მნიშვნელოვანი გახდა სახელმწიფოს გამაერთიანებელი ეროვნული იდეის ძიება და იდეოლოგიისა და მისი საყრდენი ფუნდამენტის განსაზღვრა. ეს იმ ვითარებაში, როდესაც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სამეცნიერო-

ტექნიკური უსაფრთხოების სეგმენტებზე შეიქმნა უმძიმესი ვითარება, შესაბამისად, ნოყიერი ნიადაგი უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების დამაზიანებელი აქტივობებისათვის.

ამ ვითარებაში რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის მიერ ინიცირებული იქნა ერთიანი ეროვნული დოქტრინის შემუშავების აუცილებლობა კითხვით: „რომელი ეროვნული იდეა, ეროვნული იდეოლოგია არის ყველაზე მნიშვნელოვანი რუსეთისათვის.“⁴⁰

საყურადღებოა ისეთი ინფორმაციების ანალიზი, რომლის მიხედვითაც იკვეთება სურათი, რომ ქვეყნის შიგნით არსებული უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამხედრო ვითარება პრეზიდენტისა და ხელისუფლების დისკრედიტაციას იწვევდა და უნდობლობის საფუძველი ხდებოდა. ამ პერიოდში:

- განსაკუთრებულად გააქტიურებული იყო ელიტურ კლანებს შორის დაუნდობელი ბრძოლა;

- მავზოლეუმში დასვენებული, საბჭოთა ლიდერის ლენინის მუმიის დამარხვასთან დაკავშირებით უარყოფითი პოზიციის გამოხატვის გამო პრეზიდენტი დაუპირისპირდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას.

ამგვარი პოზიციით ბორის ელცინის მთავრობამ ხაზი გაუსვა სიმბოლური საკითხების მნიშვნელობას. „შედეგად, რუსული საზოგადოება აღმოჩნდა სიმბოლური კოლაფსის და სიცარიელის მდგომარეობაში, რამაც, მტკივნეულ ეკონომიკურ დასოციალურ რეალობასთან ერთად, გამოიწვია დაბნეულობის, სირცხვილისა და შფოთვის ფართოდ გაზიარებული გრძნობა.“⁴¹

40 „Ельцин о “национальной идее” // Независимая газета. 1996. 13 июля. С. 1.“ (С. Ю. Пантелеев, „К вопросу о государственной идеологии в посткоммунистической России,“ Московский государственный университет им. М. В. Ломоносова), <https://www.hist.msu.ru/Science/Conf/lomweb01/pantele.htm>

41 Sharafutdinova Gulnaz, „4 The New Russian Identity and the Burden of the Soviet Past,“ October 2020, <https://academic.oup.com/book/33438/chapter-abstract/287698640?redirectedFrom=fulltext#no-access-message>

აღნიშნული სიტუაცია ხელს უწყობდა რუსეთში უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურების შეღწევალობის პირობებს. შესაბამისად, ბორის ელცინის იდეას განხორციელება არ ეწერა და 1998-1999 წლებში დღის წესრიგში მისი ახალი მემკვიდრით ჩანაცვლების აუცილებლობის საკითხი დადგა.

ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის დროს „ახალი რუსული იდეის“ თემა კვლავ აქტუალური გახდა. ამ მიზნით ახალმა ხელისუფლებამ შექმნა სტრატეგიული კვლევების ცენტრი, რომელიც აშკარად სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ნიშნებს შეიცავდა. მისი მიზანი იყო ხელისუფლებისადმი მიეწოდებინა ისეთი ინფორმაციები, რომლის საფუძველზეც დაიგეგმებოდა ქვეყნის საშინაო და საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 2000 წლის 23 აპრილს მიღებული N24 დოკუმენტის ანალიზი⁴² და რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზნის გამოყოფა.

1. მიზანი: რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს უდიდეს „დერჟავას“, და თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ გავლენიან ცენტრს, რომელმაც გავლენა უნდა იქონიოს მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებზე.

ეს ცხადყოფს, რომ რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო ასპარეზზე დომინანტის როლისათვის მებრძოლი სახელმწიფოს წარმოადგენს. შესაბამისად, მისი სადაზვერვო აქტივობების შემადგენელია სტრატეგიულად პარტნიორი და სატელიტი სახელმწიფოების ძებნა, ან მათი ხელოვნურად შექმნა, სამიზნე სახელმწიფოებისაგან მომდინარე საფრთხეების თავიდან არიდება და სამიზნე სახელმწიფოებისათვის საფრთხის შექმნა.

2. მიზანი: რუსეთის ფედერაციის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების

42 „Концепция внешней политики Российской Федерации,“ „Независимая газета,“ 11.07.2000, https://www.ng.ru/world/2000-07-11/1_concept.html

დამყარება, არსებული და მოსალოდნელი დაძაბულობის თავიდან არიდება.

გამოიკვეთა სადაზვერვო აქტივობებისათვის სამიზნე სახელმწიფოები.

3. მიზანი: უცხო სახელმწიფოებში რუსეთის მოქალაქეებისა და თანამემამულეების ინტერესების დაცვა.

თანამემამულეების დაცვაში ყურადღება მახვილდებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, მოქალაქეობის არმქონე ეთნიკურ რუსებზე. შესაბამისად, სადაზვერვო აქტივობებში ამ ჯგუფების დაცვის მოტივით განხორციელებული ქმედებები იყო დაგეგმილი: ეთნიკურ / რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების ინსპირირება, ამ ჯგუფის წევრების უფლებების დარღვევებზე საზოგადოებრივი აზრის მობილიზება და მათ საფუძველზე მცირე/ მსხვილმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედება. სამიზნე ქვეყნის ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა და სხვ.

4. მიზანი: რუსული ენის პოპულარიზაცია

ამ შემთხვევაში სხვა მნიშვნელოვან მიზნებთან ერთად იგულისხმება რუსული ენის გავრცელება საერთაშორისო ასპარეზზე. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სადაზვერვო შეღწევადობა საგანმანათლებლო სივრცეში სათანადო მოწყვლადობის გამოსავლენად. ერთ-ერთ-მნიშვნელოვანი სადაზვერვო მიმართულება საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების უზრუნველყოფის შესაძლებლობაა.

5. მიზანი: რუსეთი ეწინააღმდეგება ერთპოლარულ მსოფლიოს, რომლის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ძალოვან და კულტურულ დომინირებას აშშ ანხორციელებს. საფრთხედაა მიჩნეული საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დასავლეთის ინსტიტუტებისა და რუსეთის გარეშე ფორუმების

როლის გააქტიურება, რასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს როლის დაკნინებად აფასებენ.

გემოაღნიშნული საფრთხის ნეიტრალიზაციის მიზნით იკვეთება სადაზვერვო ზეგავლენისა და შეზღუდულობის ობიექტები: აშშ, დასავლეთის ინსტიტუტებისა და შემღვდული შემადგენლობის ფორუმების დამფუძნებელი და წევრი სახელმწიფოები, მათი ხელისუფლებები. სადაზვერვო ქმედებების მიზანია მსოფლიოში მათი როლის დასუსტება.

6. მიზანი: რეგიონულ პრიორიტეტებში „დამოუკიდებელი თანამეგობრობის ორგანიზაციისათვის“ (დსთ), მათ შორის კონფლიქტების დარეგულირებაში, პრიორიტეტის მინიჭება.

ქმედებები მიმართულია იქითკენ, რომ შეიზღუდოს დსთ-ს სახელმწიფოებში არსებულ კონფლიქტებში სხვა სახელმწიფოების მონაწილეობა.

გლადიმერ პუტინის მმართველობის პირობებში აუცილებელი გახდა მიღებული გადაწყვეტილებებისა და სადაზვერვო აქტივობების შედეგების განხილვა. მისი მმართველობის პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა და გამოიკვეთა რუსეთის საზოგადოების კონსოლიდაციის, სახელმწიფოს იდეოლოგიისა და (მათ შორის სადაზვერვო) პროპაგანდის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება.⁴³

1. პატრიოტიზმი (ეროვნული სიამაყის, ღირსების გაღვივებით, რუსული საზოგადოების დარწმუნება, რომ ისინი დიდი მიღწევების მქონე ხალხია);
2. დიდი სახელმწიფო (რუსეთი არის დიდი სახელმწიფო, რომელსაც აქვს გლობალური ამოცანები. ამისთვის კი საჭიროა საზოგადოების დარწმუნება, რომ რუსეთს აქვს დიდი შესაძლებლობები არა მარტო

43 Путин Владимир „Россия на рубеже тысячелетий,“ Версия для печати, Независимая газета. 1999. 30 декабря. С. 4. https://www.ng.ru/politics/1999-12-30/4_millennium.html?print=Y

დაიცვას საკუთარი უსაფრთხოება, არამედ საკუთარი ინტერესები საერთაშორისო არენაზე გაავრცელოს);

სახელმწიფოებრიობა (სახელმწიფომ საზოგადოება უნდა დაარწმუნოს, რომ რუსეთის ფედერაცია არასოდეს არ იქნება ლიბერალური ფასეულობების გამზიარებელი. ქმედებები უნდა წარიმართოს ფასეულობების მქონე სახელმწიფოების მიერ კოლექტიური დასავლეთის წინააღმდეგ).

წარმატებული საგარეო პოლიტიკური კურსის განსახორციელებლად პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთი ქმნიდა ხელსაყრელ ვითარებას სადაზვერვო კონტროლისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ კონფლიქტებში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი, მოლდოვა) სწორედ რუსეთის ჯარებმა მიიღეს მშვიდობისმყოფელთა სტატუსი.

ტაჯიკეთი

ამპერიოდში ძალოვანების მიერ გატარებულ ღონისძიებებს „სულ მცირე 40 ადამიანი შეეწირა.“⁴⁴ ამავე პერიოდში კვლავ გრძელდებოდა რეპრესიები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებზე, აკრძალული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წევრებზე, ჟურნალისტებზე, ქალებზე და სხვ. ამ ქმედებებს სისტემატური ხასიათი ქონდა.

მოლდოვა

ჯერ კიდევ 1990 წლის ივლისში, საბჭოთა ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების მეშვეობით, მოლდოვას ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ, დნესტრისპირეთის სეპარატისტული სახელმწიფო ჩამოყალიბდა. სახელმწიფოს მეთაურის პრორუმინული განწყობებისა და ქმედებების გამო „1990 წლის 2 სექტემბერს სსრკ შსს ჯარების მობილიზაცია განხორციელდა

44 „Tajikistan, Events of 2022,“ WORLD REPORT 2023, Our Annual Review Of Human Rights Around The Globe,“ HUMAN RIGHTS WATCH, <https://www.hrw.org/world-report/2023/country-chapters/tajikistan>

„პრედნისტროვიეს რეგიონის“ სახალხო დეპუტატების საბჭოს სხდომის დასაცავად,⁴⁵ რომელზედაც გამოცხადდა კიდევ პრორუსული, სეპარატისტული რეჟიმის დამოუკიდებლობა. ფაქტობრივად, რუსეთის ფედერაციამ მიიღო მოლდოვას სადაზვერვო კონტროლისა და მუდმივი დესტაბილიზაციის შენარჩუნებისათვის ხელსაყრელი ტერიტორია და რეჟიმი. ამ შემთხვევაშიც რუსეთის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენდა მოლდოვაზე უცხო ქვეყნების წარმატებული სადაზვერვო აქტივობების რისკის მინიმუმამდე დაყვანა. რუსეთის ფედერაციის აქტიური სადაზვერვო ქმედებების შედეგად სეპარატისტულ რეჟიმთან კოორდინაციით, 1992 წლის დასაწყისში ხელისუფლებასა და რეჟიმს შორის საომარი კონფლიქტის ფონზე, ორგანიზებულ იქნა რუსეთის სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებული დაქირავებულებისა და სამხედრო მოსამსახურეების კონფლიქტში ჩართვა. მათი გადაყვანა უკრაინაზე გავლით განხორციელდა. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობდა რეჟიმის ფინანსური მხარდაჭერა. ამასთან ერთად, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში **მოლდოვაში** განთავსებულმა მე-14 არმიამ სეპარატისტული რეჟიმის მხარე დაიჭირა, რის შედეგადაც სეპარატისტულმა რეჟიმმა კონტროლირებადი ტერიტორია შეინარჩუნა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რუსეთის სადაზვერვო აქტივობების შედეგად, კონფლიქტის შესაჩერებლად დაკომპლექტდა მშვიდობისმყოფელთა მისია 6200 სამხედრო პირის შემადგენლობით, რომელთა შორის 62% რუსეთის (ზემოთ

45 Napieralska Anna, „Russian-Moldovan Relations after the Collapse of the Soviet Union,“ Thesis submitted to the Eberly College of Arts and Sciences at West Virginia University in partial fulfillment of the requirements for the degree of Master of Arts in History Robert Blobaum, Ph.D. (supervisor) Katherine Aaslestad, Ph.D. Elizabeth Fones-Wolf, Ph.D. Department of History Morgantown, West Virginia 2012, pg.44. <https://researchrepository.wvu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1260&context=etd>

ხსენებული მე-14 არმიის პირადი შემადგენლობიდან იყო),⁴⁶ 19% - მოლდოვას ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, ხოლო 12% სეპარატისტული რეჟიმის სამხედრო მოსამსახურე იყო. სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ სამხედრო დაზვერვის წარმოების მიმართულებით რუსეთმა ძალიან დიდი უპირატესობა მოიპოვა.

1993 წელს მოლაპარაკებები კიშინიოვსა და მოსკოვს შორის რუსული სამხედრო კონტინგენტის გაყვანის შესახებ უშედეგოდ დასრულდა. ხოლო 1994 წელს საპარლამენტო არჩევნებზე გაიმარჯვა პოლიტიკურმა პარტიამ, რომელიც როგორც ევროკავშირში, ისე დსთ-ში ინტეგრაციისაკენ იღვწოდა. მოლდოვა დსთ-ს წევრი გახდა, რითაც რუსეთი თავის სადაზვერვო კონტროლს კიდევ უფრო აფართოებდა.

საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, ამავე წელს რუსეთსა და მოლდოვას შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას რუსეთის არმიის გაყვანასთან დაკავშირებით. რუსეთის საკანონმდებლო ორგანო არ დაეთანხმა აღნიშნულ პოზიციას და მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის გაყვანის აკრძალვის შესახებ იმ მოტივით, რომ კვლავ არსებობდა ახალი საომარი კონფლიქტის შესაძლებლობა.

1996 წლის არჩევნების შედეგად მოლდოვის სათავეში პრორუსული ხელისუფლება მოვიდა. სეპარატისტული რეჟიმის სტატუსთან დაკავშირებით არაფერი შეცვლილა. უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციის ინტერესების გასათარებლად, 2001 წლის თებერვალში საპარლამენტო არჩევნებში მოლდოვაში კომუნისტურმა პარტიამ გაიმარჯვა, რაც რუსეთის პოზიციების გასამყარებლად კიდევ უფრო ხელსაყრელი იყო.

46 Stuart D. Goldman Specialist in Russian Affairs Foreign Affairs and National Defense Division „Russian Conventional Armed Forces: On the Verge of Collapse?“ CRS Issue Brief for Congress, Received through the CRS Web, September 4, 1997 pg.29, <https://sgp.fas.org/crs/row/97-820.pdf>

2001 წელს რუსეთსა და მოლდოვას შორის გაფორმდა ხელშეკრულება მეგობრობისა და თანამშრომლობის თაობაზე. სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გავლენასთან ერთად, რუსეთის სადაზვერვო საქმიანობის წარმატებული მუშაობის შედეგად, რუსეთის ფედერაცია სეპარატისტულ რეჟიმთან კონფლიქტის რეგულირებაში შუამავალი გახდა, ხოლო რუსული ენის გავრცელებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. რუსული ენის სწავლება სავალდებულო გახდა ყველა სკოლაში (თუმც ამ გადაწყვეტილებას კონსტიტუციური სასამართლო 2002 წელს ანტიკონსტიტუციურად მიიჩნევს), ხოლო, პრორუმინული განწყობების საპირისპიროდ, სკოლაში „რუმინეთის ისტორიის“ სწავლება ჩანაცვლდა „მოლდოვას ისტორიით.“

2001 წელს მოლდოვა შეუერთდა რუსეთის ფედერაციისა და ბელორუსის ეკონომიკურ კავშირს, ხოლო რუსეთის ფედერაციის მიერ დაფიქსირდა პოზიცია რუსული სამხედრო შენაერთების გამოყვანის ვადების შეუსრულებლობის შესახებ. 2002 წლიდან მოლდოვას ხელისუფლება დეკლარირებულად კურსს იღებს ევროინტეგრაციისაკენ, რაც 2003 წლისათვის რუსული სამხედრო შენაერთების გამოყვანის შემათავსებელ, დამატებით გარემოებად იქცა. მოლდოვას ხელისუფლება იძულებული გახდა სეპარატისტულ რეჟიმთან მიმართებით შეეცვალა კონსტიტუცია. ამ მოვლენების შედეგად და ვითარების გაკონტროლების მიზნით მოლდოვაში გაიზავნა რუსეთის პრეზიდენტის პუტინის წარმომადგენელი. ამ პერიოდში მემუშავებული იქნა დოკუმენტი, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა დასავლეთისათვის, მათ შორის „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისათვის.“

მოვლენის საწინააღმდეგოდ:

-2005 წლის აპრილში დაწესდა ემბარგო მოლდოვას ხორცზე (პროდუქციის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ მოთხოვ-

ნებთან შეუსაბამობის მიზეზით), სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებსა და ღვინოზე;

-2005 წლის საპარლამენტო არჩევნებზე რუსეთმა მხარი ოპოზიციურ პარტიას დაუჭირა, რომელმაც წარმატებას ვერ მიაღწია.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოლდოვა ააქტიურებს „ევროკავშირთან დაახლოების პროცესს. ევროკავშირი გვევლინება მოლდოვის ხელისუფლებასა და სეპარატისტულ რეჟიმს შორის მოლაპარაკების შუამავლად. დაიწყო აშშ-თან და 2006 წლიდან „ნატოსთან“ დაახლოების პროცესი. პარალელურად, მოსკოვმა გაზარდა ფასები ბუნებრივ აირზე. მან შეძლო და ხელში ჩაიგდო ბუნებრივი აირის ყველაზე მსხვილი ოპერატორისაგან 50%-ზე მეტი აქციების პაკეტი, ასევე კონტროლს დაუქვემდებარა განაწილების ქსელი და სატრანზიტო მაგისტრალი.

2009 წლისთვის რუსეთმა იკისრა შუამავლის როლი დნესტრისპირეთის სეპარატისტულ რეჟიმსა და მოლდოვას ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებების დასაწყებად. პროცესში გამოირიცხა დასავლეთის მონაწილეობა, ხოლო საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობით კომუნისტურმა პარტიამ გაიმარჯვა. თუმცა პრეზიდენტის არჩევისათვის არასაკმარისი ხმების გამო პარლამენტი დათხოვნილ იქნა და დაინიშნა ვადამდელი არჩევნები. ამ შემთხვევაში საჭირო შედეგს ვერ მიაღწია პროდასავლური განწყობის მქონე ოპოზიციურმა კოალიციამ, რომელმაც უმნიშვნელო უპირატესობა მოიპოვა. საბოლოოდ, არჩევნებიდან რამდენიმე თვეში თანამდებობიდან გადადგა კომუნისტი პრეზიდენტი და მისი მოვალეობის შესრულება ლიბერალური ფასეულობების მქონე პარლამენტის სპიკერმა დაიკავა. ეს კი რუსეთის ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი იყო. 3 წლის განმავლობაში რუსეთის სადამკვერვო აქტივობის ფონზე ქვეყანაში პრეზიდენტი ვერ აირჩიეს.

მოლდოვის ხელისუფლებაზე გავლენის მოსაპოვებლად 2010 წლის ზაფხულში რუსეთმა კვლავ განაახლა ემბარგო მოლდავურ ღვინოსა და ხილ-ბოსტნეულზე. გატარებულმა ზომებმა ახალ არჩევნებზე გადამწყვეტი როლი ვერ ითამაშა.

მოლდოვას წინააღმდეგ გატარებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სანქციებმა რუსეთისთვის გარკვეული შედეგი მოიტანა, თუმცა 2010 წლისთვის დომინირებისათვის მნიშვნელოვანი პოზიციები დაიკარგა. 2010-2016 წლებში მოლდოვას „პროევროპელი“ ლიდერები მართავდნენ. ესკალაციის გაღრმავებისათვის რუსეთმა უარი განაცხადა დნესტრისპირეთის სეპარატისტულ რეჟიმსა და მოლდოვას ხელისუფლებას შორის მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობაზე, თუმცა 2011 წლის დასაწყისისათვის მოლდოვას შესთავაზა გაზზე ფასების გადახედვა სეპარატისტულ ტერიტორიაზე დარჩენის სანაცვლოდ.

2012 წლის შემოდგომაზე რუსეთმა მოლდოვას მოს-თხოვა ევროკავშირის შეთანხმებიდან გამოსვლა, რაც ითვალისწინებდა თანამშრომლობას ენერგეტიკულ სექტორში. კვლავ შეთავაზებული იქნა გაზზე ფასების ზრდის გადახედვა და გალების ჩამოწერის შესაძლებლობა. ამ პერიოდისათვის მოლდოვას ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები (700-800 ათასი)⁴⁷ შრომითი მიგრანტის ფულადი გზავნილები. შესაბამისად, რუსეთს მიგრანტების გამოყენება (მოლდოვაში მათი გაძევებით) შეეძლო, როგორც ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაციისათვის.

2013 წლის „მსოფლიო ბანკის“⁴⁸ რეკომენდაციების მიხედვით, მოლდოვასთვის პრობლემად რჩებოდა:

47 Catus Kamil „Russia announces new sanctions against Moldova,“ 2013-10-02, [HTTPS://WWW.OSW.WAW.PL/EN/PUBLIKACJE/ANALYSES/2013-10-02/RUSSIA-ANNOUNCES-NEW-SANCTIONS-AGAINST-MOLDOVA](https://www.osw.waw.pl/en/publikacje/analyses/2013-10-02/russia-announces-new-sanctions-against-moldova)

48 „Moldova Economic Update - October 2013,“ October 7, 2013, <https://www.worldbank.org/en/news/feature/2013/10/07/moldova-economic-update>

ბიზნესგარემოსათვის კონკურენციის პირობების შექმნა; ფინანსურ სექტორში გამჭირვალობის უზრუნველყოფა; სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტურობა, თანასწორობა და სხვ. ამავე პერიოდში ევროსაბჭოს გაღიზიანებას იწვევდა მოლდოვას პარლამენტის მიერ კანონებში („საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ,“ „საარჩევნო კომპანიის შესახებ,“) ცვლილების შეტანა, რომლებიც „ძირითადად ეხებოდა სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემას.“⁴⁹ მიუღებლად მიიჩნიეს სათანადო კონსულტაციების გარეშე ცვლილებები ხელისუფლებასა და სამართალდამცავ სტრუქტურებში. ყოველივე სახელმწიფოს დამოუკიდებელი მართვის პროცესზე საღამვერვო გავლენის ნიშნებს შეიცვდა. 2014 წელს მოლდოვას ერთ-ერთი ქალაქის მერმა ეკონომიკური დივერსიის ნიშნების შემცველი ქმედება ჩაიდინა. მან მოლდოვას სამი ბანკიდან („Banca de Economii,“ „Unibank,“ „Banca Socială“)⁵⁰ თაღლითობით 1 მილიარდ აშშ-ის დოლარამდე თანხა გააქრო. ამ ფაქტმა დამაზიანებლად იმოქმედა ქვეყნის იმიჯსა და მის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

2014 წელს შენგენის ზონაში უვიზო რეჟიმმა და სავაჭრო ურთიერთობების მასშტაბების გაზრდამ მოლდოვას მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მოუტანა. ამავე წელს ევროკავშირსა და მოლდოვას შორის ხელი მოეწერა „ევროკავშირი-მოლდოვას შორის შეთანხმების ასოცირების შესახებ“⁵¹ შეთანხმებას. აღნიშნული გადანწყვეტილებები არ

49 „Secretary General concerned over political situation in Moldova,“ 06/05/2013, <https://www.coe.int/ca/web/portal/-/secretary-general-concerned-over-political-situation-in-moldova>

50 Рихтун Татьяна, „Фальшивые акционеры и настоящий миллиард: как, где и кем принималось решение о выводе \$1 млрд из Молдовы,“ 10 марта 2016, <https://newsmaker.md/rus/novosti/falshivye-aktsionery-i-nastoyashchiy-milliard-kak-gde-i-kem-prinimalos-reshenie-o-23087/>

51 „The European Union and the Republic of Moldova,“ Delegation of the European Union to the Republic of Moldova, Press and information team of the Delegation to MOLDOVA, 14.02.2023, https://www.eeas.europa.eu/moldova/european-union-and-republic-moldova_en?s=223

წარმოადგენდა მოლდოვას მოსახლეობის უმრავლესობის განწყობას. ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის თანახმად: „2015 წლის ნოემბრის მდგომარეობით, მოლდაველთა მხოლოდ 40% უჭერდა მხარს ევროპულ, ხოლო 44% ევრაზიულ ინტეგრაციას.“⁵²

მოლდოვას დედაქალაქ კიშინიოვში 2015 წლის სექტემბრიდან 2016 წლის იანვრამდე მიმდინარეობდა სისტემატიური ხასიათის პროტესტი. 2016 წლის იანვარში,⁵³ ე.წ. კორუფციული კრიზისის გამო პრორუსული პარტიების მასშტაბური პროტესტის დროს შეიქმნა პოლიტიკური დესტაბილიზაციის, პარლამენტის შენობის შტურმით ალების საფრთხე.

რუსეთის სადაზვერვო ინტერესების გამოწვევამე მიანიშნებს 2016-2020 წლებში მოლდოვას საპრეზიდენტო არჩევნებში „პრორუსი“ ლიდერის გამარჯვება.

2015-2017 წლებში მოლდოვას ხელისუფლების საქმიანობა არ გამოირჩეოდა გამჭვირვალობით, სახელმწიფო მოხელეები, მათ შორის პროკურორები და მოსამართლეები აქტიურად მონაწილეობდნენ კორუფციულ პროცესებში. კვლევით⁵⁴ დადგენილია, რომ სისტემატური ხასიათი ჰქონდა პოლიტიკური ხასიათის სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებას. ამ სისტემაში ანტიკორუფციულ რეფორმებს შედეგი არ მოუტანია, რის გამოც სასამართლო ხელისუფლებას საზოგადოება არ ენდობოდა.

2021 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე „პროდასავლურმა“

52 Kostanyan Hrant, „Why Moldova’s European integration is failing,“ 03 MAR 2016, <https://www.ceps.eu/ceps-publications/why-moldovas-european-integration-failing/>

53 Schearf Daniel, „Political Crisis Boosts Moldova’s Pro-Russians but Corruption Real Threat,“ February 04, 2016, <https://www.voanews.com/a/political-crisis-boosts-moldova-pro-russians-but-corruption-real-threat/3176566.html>

54 „Moldova risk report,“ EUROPE & CENTRAL ASIA, November 5, 2020, <https://www.ganintegrity.com/country-profiles/moldova/>

ლიდერმა მაია სანდუმ გაიმარჯვა და მოლდოვამ ევროკავშირისაკენ სწრაფვა მაღალი ტემპებით გააგრძელა.

ევროკავშირთან დაახლოებამ თავისი შედეგები გამოიღო. უპირველეს ყოვლისა, 2021 წლისათვის ევროკავშირზე მოდიოდა: „მოლდოვის ექსპორტის 61%, ხოლო იმპორტის 44%“,⁵⁵ ამასთან ერთად, „მოლდოვა კვლავ რჩება ევროპის უღარიბეს ქვეყნად“,⁵⁶ რომელიც ებრძვის კორუფციას, ემიგრაციას და მისი ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უცხო სახელმწიფოებიდან გამოგზავნილ ფულად გზავნილებზე. ამავე პერიოდისთვის მოლდოვაში მძვინარებს ენერგეტიკული კრიზისი, რომლის შესასუსტებლად ევროკავშირმა „60 მილიონი ევრო გამოყო“⁵⁷.

საყურადღებო მოვლენები განვითარდა მოლდოვაში 2022 წელს. ეს იყო წელი, როდესაც ევროკავშირმა სცნო მოლდოვას ევროპული პერსპექტივა. ამავე წლის ოქტომბერში „გაბპრომის“ მხრიდან მოლდოვასთვის ბუნებრივი აირის მიწოდება 30%-ით შემცირდა, ღირებულება კი 27%-ით გაიზარდა. „დეკემბრისათვის ბუნებრივი აირის მიწოდება აღდგა მხოლოდ პრედნისტროვიესათვის, ხოლო მარტისათვის მოლდოვას დანარჩენ ტერიტორიაზე“.

2023 წელს მოლდოვა გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი.

55 „Food Resiliency in Moldova, Assessment and Lessons from Ukraine,“ Maj. Jamie Critelli, U.S. Army Reserve *Capt. Gustavo Ferreira, PhD, U.S. Army Reserve, January 2023 Online Exclusive Article, <https://www.armyupress.army.mil/Journals/Military-Review/Online-Exclusive/2023-OLE/Ferreira-Critelli/>

56 „Food Resiliency in Moldova, Assessment and Lessons from Ukraine,“ Maj. Jamie Critelli, U.S. Army Reserve *Capt. Gustavo Ferreira, PhD, U.S. Army Reserve, January 2023 Online Exclusive Article, <https://www.armyupress.army.mil/Journals/Military-Review/Online-Exclusive/2023-OLE/Ferreira-Critelli/>

57 „EU helps the Republic of Moldova to face the gas crisis,“ 15 December 2021, https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/news/eu-helps-republic-moldova-face-gas-crisis-2021-12-15_en

თავი IX

ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო მოწყვლადობა

ქვეყნის მართვაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფოს პოლიტიკის კვალიფიციურ დაგეგმვას. შესაბამისად, მასზეა დამოკიდებული ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკური და შესაბამისად ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საერთო ეროვნული თანხმობის, მდგრადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების, უსაფრთხო საერთაშორისო ურთიერთობების ორგანიზებისათვის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მეცნიერული გზით, წინასწარ დამუშავებული მეთოდების გამოყენებით, სახელმწიფოს უსაფრთხო მართვა.

ამავდროულად გასათვალისწინებელია „სახელმწიფოს მართვის სისტემის მთელი რიგი სპეციფიური თავისებურებები. ეს არის გადაწყვეტილებების მიღების და რეალიზების საკანონმდებლო შეზღუდვები, რაც სახელმწიფო მართვის პროცესს ნაკლებად ოპერატიულს ხდის.“⁵⁸

მსოფლიოში სახელმწიფო ხელისუფლებები უკვე არსებული ბიუროკრატიული მოწყობის მოდელების გათვალისწინებით ხშირად ექვემდებარებიან რეფორმებს, ცდილობენ ჩამოაყალიბონ ეფექტიანი მმართველობითი აპარატი, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და

58 ბადათურია გიორგი, ბადათურია ოთარ, „სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფოს მართვისა და ბიზნესის ამოცანებში,“ ევროპის უნივერსიტეტი, 2015, გვ. 123

საზოგადოებას შორის ინტერესების ბალანსის დაცვა.

ბიუროკრატიული პოლიტიკის აღქმით, არსებობს შესაძლებლობა გავიგოთ „სახელმწიფო პოლიტიკა, როგორც გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ქვეყნის შიგნით და სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის, რომელიც ხასიათდება კონფლიქტებით, ვაჭრობით და კომპრომისებით.“⁵⁹

სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისთვის აუცილებელი ანალიტიკური პროცესის დროს ანალიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეყრდნობა სხვადასხვა კონცეპტუალურ მოდელს.

თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის თვალსაზრისით ერთ-ერთი პოპულარულია და ხშირად გამოყენებულია „ბიუროკრატიული პოლიტიკის“ მოდელი.

„ბიუროკრატია წარმოადგენს მმართველი აპარატის ან სისტემას, რომელიც არ მოდის არჩევნების გზით. იგი აღნიშნავს ადმინისტრაციულ სისტემას, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტს მართავს.

სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისას გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფში არიან კონკრეტულ ადამიანები, რომელთა ფსიქოლოგიური პორტრეტები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. შესაბამისად, ისინი სხვადასხვა ნიშან-თვისებით გამოირჩევიან. ჯგუფური მუშაობისათვის კი აუცილებელია ერთსულოვნება და ერთიანობა. რაც შეეხება ბიუროკრატიულ პოლიტიკას, იგი წარმოადგენს ვაჭრობის პროცესს, რომელშიც მონაწილეობენ სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების მქონე მოთამაშეები, „რომლებიც იმყოფებიან სახელისუფლებო აპარატის იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე.“⁶⁰ მათი ჩართვით სახელმწიფოს მიერ

59 Bureaucratic Politics Tobias Bach, “ARENA Working Paper 8/2021, <https://www.sv.uio.no/arena/english/research/publications/arena-working-papers/2021/wp-8-21-bach-final.pdf>

60 ბალარჯიშვილი ინგა, „ახალი პოლიტიკური ეკონომია (ლექციების კურსი),“ თბილისი, 2017, 221 გვ. <https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/balarj.pdf>

განხორციელებული ქცევა მოვაჭრეებს შორის თამაშის შედეგია, რომლის დროსაც რაციონალური გზით გადაწყვეტილების მიღებას ანაცვლებს მისი ე.წ. გატანის „ძალოვანი“ მეთოდი.

სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვაში პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად, წინასწარ განსაზღვრული, სხვადასხვა სტრუქტურის ხელმძღვანელი პირები „მოვაჭრე/ მოთამაშეთა“ ერთობას წარმოადგენენ. ისინი პოლიტიკის „შექმნისას“ შედეგს იღებენ „თამაშით ვაჭრობაში, რომელიც მიმდინარეობს მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა მცირე ჯგუფს შორის.“⁶¹

ჩამოყალიბებულ ჯგუფში განწევრიანება მონაწილეთა დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი პირობაა. მართვის თვალსაზრისით ხელისუფლების გადანაწილება გადაწყვეტილების მიღებისას პასუხისმგებლობის მასშტაბებს ზრდის.

გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის, აზრთა სხვადასხვაობის პირობებში, თანხმობის მიღწევა პრობლემურია კონკრეტულ ქმედებების შესახებ და სახელმწიფო დონეზე მიღებული გადაწყვეტილება უმეტეს შემთხვევაში ერთი კონკრეტული ჯგუფის სხვა ჯგუფებზე გამარჯვებას უკავშირდება. შესაბამისად, არსებობს ჯგუფებს შორის დაპირისპირების შესაძლებლობა. აღნიშნულ ჯგუფებს შორის გამარჯვება დამოკიდებულია მათ შესაძლებლობებსა და გავლენაზე.

კონკრეტულ იერარქიაზე მდგომი ცალკეული მოთამაშე წარმოადგენს ბიუროკრატიული პოლიტიკის გამტარებელს. ქმედებებში წარმატების თუ წარუმატებლობის მნიშვნელოვან პირობას „მოთამაშე პირის“ ამტანიანობის, წინააღმდეგობის, პროცესთან შესაბამისობის უნარი განსაზღვრავს, რაც პირდაპირ აისახება სახელმწიფო პოლიტიკაზე.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ყველას

61 Durbin Brent, „Bureaucratic Politics Approach Government,“ <https://www.britannica.com/topic/policy-analysis/Complexities-of-policy-analysis>

გააჩნია პირადი დაინტერესება, სამსახურებრივი მოვალეობები, პასუხისმგებლობები სამიზნე ობიექტების (პირების, პირთა ჯგუფების) მიმართ, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქცევის ხასიათს და აისახება განხორციელებული თამაშის შედეგზე.

თამაშში ჩართული მთავარი აქტორის - ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, გამოყენებული იერარქიული პოზიციები, მეკავშირეები, გამოთქმული მოსაზრებები, გარკვეული ინფორმაციების ფლობა, ყველაფერი ერთად იძლევა მისი მომავალი ქმედების განჭვრეტის შესაძლებლობას.

თამაშის მიზანი შედეგის მიღწევაა და ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ სახელმწიფოს ინტერესების გატარებაზე ან ხელშეშლაზე. ამ პროცესში ყველა მოთამაშე სახელმწიფო ინტერესს შესაძლოა განსხვავებულად აღიქვამს, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასწორის ერთ მხარეს დგას, ხოლო მეორე მხარეს პირადი ინტერესებია. ხშირ შემთხვევაში ინტერესთა ეს გადაკვეთა სახელმწიფოს ინტერესის დაზიანებით სრულდება და კონკრეტული პირის/პირებისთვის სარგებლის მიღებას უკავშირდება.

პოლიტიკის შედეგებზე გავლენის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შესაბამისი სტატუსის მქონე პირს ჰქონდეს მხარდაჭერა, რომელიც მის უპირატესობას უზრუნველყოფს როგორც ამომრჩევლების, ისე სხვადასხვა ინსტიტუტის მხრიდან.

„სავაჭრო თამაშებისას“ წინასწარ შეირჩევა ძირითადი მოთამაშეები, პროცესში ჩართვის დრო, კონკრეტული ქმედების ჩარჩოები, აქტივობა და სხვ. არსებობს პასუხისმგებლობა - „მოთამაშე“ იძულებულია გააცნობიეროს მოსალოდნელი საფრთხე, რომელიც მისი აქტიურობის განმსაზღვრელია.

თეორიულიმასალისფონზეგანვიხილოთბიუროკრატიული

პოლიტიკის მოდელის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო მოწყვლადობა.

სამიზნე სახელმწიფოს მმართველობითი სისტემის დაშლა და ამ მიზნით პოლიტიკური, შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების დაცვაზე სათანადო ზემოქმედება მზვერავი სახელმწიფოს ინტერესებს წარმოადგენს. ამ სისტემის განადგურება შესაძლებელია სადაზვერვო აგენტურულ-ოპერატიული აქტივობებით, რომლის დროსაც სამიზნე სეგმენტები და მისაღწევი შედეგები ასახულია ცხრილში:

N	შესწავლის მიმართულება	მისაღწევი შედეგი
1	ეროვნული თანხმობის დონე	ეროვნული თანხმობის დასუსტება/ მოშლა
2	ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო უსაფრთხოება	ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო უსაფრთხოების სისტემის დასუსტება/ჩამოშლა, ახლის შექმნაზე ხელშეშლა
3	უსაფრთხო საერთშორისო ურთიერთობები	უსაფრთხო საერთშორისო ურთიერთობების შესუსტება/ მოშლა, ახლის შექმნაზე ხელშეშლა
4	სახელმწიფოს მართვის მიმართულებით სამეცნიერო უსაფრთხოება	სახელმწიფოს მართვის მიმართულებით სამეცნიერო სექტორის ჩამოშლა/ ნეიტრალიზაცია, ახლის შექმნაზე ხელშეშლა

უნდა აღინიშნოს, რომ დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს მართვის პროცესში მზვერავი სახელმწიფოს შესწავლის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების, ისე მათი რეალიზაციის პროცესები. შესაბამისად მათში ყველა იერარქიაზე მომუშავე პირები და მათთან დაახლოებული ადამიანები, სადაზვერვო სამსახურები საკუთარი მიზნების აღსასრულებლად იყენებენ სხვადასხვა მეთოდს, მათ შორის:^{62,63}

ა) ოპერატიული თამაში („მონინააღმდეგის სპეც-სამსახურებზე აქტიური ზემოქმედება, რომელიც ხორციელდება აგენტურული შეღწევის ან კავშირის მათი არსების აღმოჩენისა და გამოყენების გზით და რომლის მიზანია მონინააღმდეგის დებინფორმირება, მისი ისეთი ქმედებების გამოწვევა, რომლებიც მომგებიანია ოპერაციის ჩამტარებელი მხარისათვის“);

ბ) ოპერატიული შეღწევა („ოპერატიული საქმიანობის მეთოდი, რომლის მიზანია მონინააღმდეგის სპეცსამსახურებში, მათ აგენტურულ აპარატში, სადაზვერვო დაინტერესების სხვა ობიექტებზე ოპერატიული პოზიციების შექმნა სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების, დაინტერესების ობიექტებზე ზეგავლენის, მონინააღმდეგის დებინფორმირების ან სხვა აქტიური ღონისძიებების (სადაზვერვო ოპერაციების) ჩატარების მიზნით. იგივეა, რაც აგენტურული შეღწევა. ოპერატიული შეღწევა ხორციელდება აგენტის ჩანერგვის ან აგენტის გადმოზიდვის გზით.“)

ცხრილის მიხედვით, აღნიშნულ სეგმენტებზე უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურის შეღწევადობა ფიქსირებული

62 სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, მეორე გამოცემა ცვლილებებით და დამატებებით, “საქართველოს დაზვერვის სამსახური სპეციალური მომზადებისა და გადამზადების ცენტრი, თბილისი 2013, გვ.48, <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9822/3/SadazgvevoTerminebisGanmartebiti%20leksikoni.pdf>

63 იქვე;

დამაზიანებელი შედეგების დადგომის ალბათობას ზრდის.

მზვერავი ქვეყანა ოპერატიულ თამაშს სახელმწიფოს პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში აქტიურად იყენებს. დაზვერვის ობიექტი ქვეყნის ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელში შემავალ პირებს/მოთამაშებს, საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების სანინააღმდეგოდ „გადამწყობი“ მოთამაშის/მოვაჭრის ფუნქცია გააჩნიათ. შესაბამისად, გადაბირება ხდება ვაჭრობის შედეგად.

სამიზნე სახელმწიფოში არაჯანსაღი კონკურენცია, კონფრონტაცია ბიუროკრატიული მმართველობის მოდელზე დამაზიანებელი შედეგის მომტანია. მისი შექმნა კი გამარტივებულია სამთავრობო აპარატის იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე მდგომი, უცხო ქვეყნების თანამგრძნობი/გადაბირებული მოთამაშეების/მოვაჭრეების ქმედებებით.

ამ შემთხვევაში სამიზნე სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო უწყებისათვის შესასწავლ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს ზემოაღნიშნული ჯგუფის ქცევა, რადგან იგი უცხო ქვეყნების სადაზვერვო შესწავლის ობიექტების, მოვაჭრეებს შორის თამაშის შედეგით განისაზღვრება.

ბიუროკრატიული პოლიტიკის ბირთვის შემადგენელი, კონკრეტულ იერარქიაზე მდგომი პირის/მოთამაშის პოზიციის გამარჯვება მზვერავი სახელმწიფოს სადაზვერვო აქტივობებით არის შესაძლებელი. ამ მიზნით გამოყენებულ მეთოდოლოგიას სადაზვერვო პროპაგანდა წარმოადგენს, რომლის მიზანი საზოგადოებრივი/ ამომრჩეველების სათანადო აზრის მობილიზებით, სხვადასხვა საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციის ჩართვით არის შესაძლებელი.

თეორიული მასალის მიმოხილვის შემდეგ მნიშვნელოვანია პრაქტიკული მაგალითების განხილვა.

შემთხვევა N 1. ღია წყაროებში არსებული ინფორმაციის

თანახმად, პოსტსაბჭოთა სივრცეში, **ლატვიის** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ლიტვის პრემიერ-მინისტრი საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს (კგბ) აგენტები იყვნენ.

შემთხვევის განხილვა და შედეგი:

მაღალი რანგის თანამდებობის პირები გადაბირებული იყვნენ საბჭოთა კავშირის პერიოდში და საბჭოთა ლიტვის და საბჭოთა ლატვიის კონტრსადაზვერვო აგენტურული აპარატის წევრებს წარმოადგენდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ისინი რუსეთის სადაზვერვო აგენტურული აპარატის წევრები გახდნენ და მუშაობდნენ რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ, ე.ი. საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო სამსახურს ჰქონდა შესაძლებლობა წინასწარ სცოდნოდა სახელმწიფოს პოლიტიკის დაგეგმვის სტრატეგიები, მასში მონაწილე პირები, აგრეთვე პოლიტიკის საიდუმლო დოკუმენტებში ასახული მონაცემები. სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაციაში მონაწილე მნიშვნელოვანი პირების („მოთამაშე-ვაჭრები“) სახელმწიფოს მართვის იერარქიის მაღალ საფეხურზე ყოფნა მათ „სადაზვერვო ღირებულებას“ განსაზღვრავდა, მათი ქმედება კი სხვა მნიშვნელოვანი მაინსპირირებელი გარემოებების გარდა, უცხო ქვეყნების ინტერესების აღსრულებასთან იყო დაკავშირებული.

შემთხვევა N 2. 2019 წლის ივლისში რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების სამსახურის მიერ სახელმწიფოს ლაღატი სათვით დააკავეს ამავე ქვეყნის მოქალაქე ვინმე ა.ვ. რომელიც წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანაშემწეს, ურალის ფედერალურ ოლქში. მას ბრალად ედებოდა ნატოში შემავალ ერთ-ერთ სახელმწიფოსთან მჭიდრო თანამშრომლობა.

შემთხვევის განხილვა და შედეგი: საღაზერვო გაღაბირებით უცხო სახელმწიფოს მიეცა შესაძლებლობა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაციაში მონაწილე მნიშვნელოვანი პირების („მოთამაშე-ვაჭარები“) გარემოცვაში „ჩაენერგა“ უცხო ქვეყნის ინტერესების აღმსრულებელი პირი, საღაზერვო ხასიათის აგენტურული საქმიანობისათვის მომზადებული „მოთამაშე-ვაჭარი“. მის მოვალეობას, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, სახელმწიფოს პოლიტიკის მსაზღვრელ ჯგუფში არსებული განწყობების, მოვლენათა პერსპექტიული განვითარების შესახებ ინფორმაციების მოპოვება განსაზღვრავდა.

შემთხვევა N 3. 2014 წლის ნოემბერში **ყირგიზეთში** ჯაშუშობისათვის დააკავეს მთავრობის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელი ა.მ. უნდა აღინიშნოს, რომ მისი მამა ამავე ქვეყნის ექს-პრემიერ-მინისტრი იყო.

შემთხვევის განხილვა და შედეგი: საღაზერვო გაღაბირებით უცხო სახელმწიფომ შეიძინა საღაზერვო ხასიათის აგენტურული საქმიანობისათვის მომზადებული „მოთამაშე-ვაჭარი“. აღნიშნულ პირს, იერარქიაზე დაკავებული პოზიციიდან გამომდინარე, საიდუმლო ინფორმაციების მოპოვებასთან ერთად, სახელმწიფოს (განსაკუთრებით საგარეო) პოლიტიკის მსაზღვრელ ჯგუფში შეღწევალობით, მოვლენათა განვითარებაზე წინმსწრები და მიმდინარე მოვლენების შესახებ მონაცემთა შეკრების შესაძლებლობა ჰქონდა.

თავი X

რუსეთის ფედერაციის სამხედრო რეფორმების გეოპოლიტიკური საფუძვლები 1992-2008 წლებში

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია სწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და რეალიზაცია. სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოების სექტორზე ვითარების ფლობა ნებისმიერი სახელმწიფოს მმართველობის უპირველესი მოვალეობაა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მდგრადი თავდაცვისუნარიანობა. ამ მისიის შესრულებაში ქვეყნის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების როლი განსაკუთრებულია.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მზვერავი სახელმწიფოები სამიზნე სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების, საერთაშორისო პოზიციებისათვის დამაზიანებელი შედეგებს სისტემატური რეჟიმით ახორციელებენ, რომლის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- სამხედრო ძლიერების შესუსტება/ დაშლა;
- სამხედრო-პოლიტიკური კავშირებისა და ურთიერთობების დასუსტება/რღვევა.

შესაბამისად, სადაზვერვო საქმიანობის შესწავლის მნიშვნელოვან ობიექტს სამიზნე ქვეყნის სამხედრო მიმართულების სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, ხოლო აქტიურ ოპერაციულ ქმედებას ამ პოტენციალზე დამაზიანებელი ზეგავლენა წარმოადგენს.

შესაბამისად, სამიზნე ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების სეგმენტი მზვერავი სახელმწიფოების დაინტერესების, შესწავლის, დაზიანების ობიექტს წარმოადგენს, ხოლო სადაზვერვო

შელწევადობის სეგმენტებია: თავდაცვის სამინისტროს ყველა სტრუქტურული ერთეული, მათთან დაკავშირებული სახელმწიფო და კერძო კომპანიები და ა.შ.

სამხედრო დაზვერვის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს: „რიგი სახელმწიფოების მისწრაფება, მაქსიმალურად თავის სასარგებლოდ გამოიყენონ შექმნილი და ახალი რეალიები და სამხედრო-სტრატეგიული გავლენის ქვეშ მოაქციონ ახალ-ახალი ქვეყნები“.⁶⁴

განხილული თეორიული მსჯელობის ფონზე საინტერესო იქნება მიმოვიხილოთ რუსეთის ფედერაციის სამხედრო რეფორმების გეოპოლიტიკა 1992-2008 წლებში.

რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის მმართველობა

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მისი სამართალმემკვიდრის რუსეთის ფედერაციის როლი საერთაშორისო ასპარეზზე ძალიან სუსტი იყო, რასაც თან დაერთო ქვეყანაში პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი, სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის, შეიარაღებული ძალების დემორალიზაცია, რომლებიც მათი შემდგომი წარმატებული გამოყენების შესაძლებლობას ამცირებდა.

სახელმწიფოს მხრიდან შესასრულებელ მნიშვნელოვან ამოცანებს წარმოადგენდა: ქვეყანაში სტაბილური ვითარების შენარჩუნება, კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი რღვევისაგან ქვეყნის დაცვა. ფაქტობრივად, რუსეთის ფედერაცია მოწყვლადი იყო იმ უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებისათვის, რომლებმაც სადაზვერვო ორგანიზების მეშვეობით წარმატებით გადაჭრეს საბჭოთა კავშირის

64 ენდელაძე თენგიზ, „საგარეო დაზვერვის სამსახურები“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2007, გვ.15.

პოლიტიკური რუკიდან გაქრობის ამოცანა.

საბჭოთა კავშირის დაშლის, შესაბამისად, „ვარშავის პაქტის“ გაუქმების შედეგად რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება დადგა ისეთი პრობლემის წინაშე, როგორიცაა: საბჭოთა კონტროლს დაქვემდებარებული და უკვე დამოუკიდებელი ევროპული სახელმწიფოებიდან შეიარაღებული ძალების დანაყოფების, შეიარაღების, ტექნიკის რუსეთში დაბრუნება; ოფიცრების, ჯარისკაცების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შეუძლებლობა; შეიარაღებული ძალების შემადგენლობის შემცირება.

შექმნილი იყო ნოყიერი ნიადაგი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაციისათვის, რაც რუსეთის ფედერაციაში უცხო ქვეყნების სადაზვერვო ინტერესების გატარებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

საკადრო შემცირების პროცესს დაექვემდებარა ასიათასობით სამხედრო პირი, რომელთა შორის იყვნენ მაღალი დონის პროფესიონალები. შეიქმნა არსებული კონსტიტუციური წყობილებისათვის სახიფათო ფენა, რადგან პროფესიულ გამოცდილებასთან, უნარ-ჩვევებთან ერთად მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოთა პერიოდის იმგვარ საიდუმლო ინფორმაციებს ფლობდა, რომლებიც კვლავაც მნიშვნელოვანი იყო უკვე დამოუკიდებელი რუსეთის ინტერესებისათვის.

შექმნილმა ქაოსურმა მდგომარეობამ რუსეთის ფედერაციის მოსახლეობაში დაადაბლა სამხედრო სამსახურისადმი მიდრეკილება. დაიწყო შეიარაღებული ძალებიდან პროფესიონალი სამხედრო პირების „გადინება“, სამხედრო-სავალდებულო სამსახურისადმი თავის არიდება. მაღალი ალბათობით, არსებობდა რუსეთის ფედერაციაზე უცხო ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო-პოლიტიკური სადაზვერვო ზეგავლენისა და შელწევადობის ნიშნები.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ CFE Flank Document-ის⁶⁵ მიხედვით, რუსეთის ფედერაციას დაწესებული ჰქონდა შეზღუდვები შეიარაღებაზე და, მისი თავიდან აცილების მიზნით, „საბჭოთა ევროპიდან“ ტრანსპორტირებული ბრონირებული ტექნიკისა და მძიმე შეიარაღების გადამალვა განახორციელა, როგორც საკუთარ, ისე პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში უზბეკეთში. ეს ქმედება რუსეთის მხრიდან წარმატებული სადაზვერვო ოპერაციის შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

რუსეთში სტაბილური ვითარების მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა ფინანსური შესაძლებლობის უკმარისობის გამო სამხედრო მოდერნიზაციის, შეიარაღებული ძალების სწავლების პროცესების არარსებობა, რაც უარყოფითად აისახებოდა შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობაზე და დაინტერესებული სახელმწიფოების სადაზვერვო ოპერაციული ხასიათის შედეგზე-დემორალიზაციის ინსპირირებაზე.

არსებითად, უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებისათვის შეიქმნა ხელსაყრელი ფონი საკუთარი ზრახვების განსახორციელებლად და, მაღალი ალბათობით, მათი როლი ამ ვითარების შექმნაშიც უმნიშვნელოვანესი იყო.

დემორალიზაციის პირველი შედეგი დადგა ჩეჩნეთთან წარმოებულ პირველ ომში, როდესაც რუსეთი საბრძოლო მოქმედებებში დამარცხდა. ამ კონფლიქტში ჩეჩნეთის სასარგებლოდ უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურები მაღალი აქტივობებით გამოირჩეოდნენ. ელცინის მმართველობის პერიოდში რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებზე კონტროლის შენარჩუნება წარმოადგენდა. მისი აღსრულებისათვის შეიქმნა

65 „FLANK DOCUMENT AGREEMENT TO THE CFE TREATY, MESSAGE From THE PRESIDENT OF THE UNITED STATES“, November 19, 1990, <https://www.congress.gov/treaty-document/105th-congress/5/document-text>

„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ (დსთ) ორგანიზაცია და 1992 წელს ხელი მოეწერა „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას“ (ამ ხელშეკრულება გაგრძელდა რუსეთის, ყაზახეთის, ბელორუსის, ტაჯიკეთის ლიდერების მხრიდან 1999 წელს), რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო დახმარებას. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ თავდასხმა მოხდებოდა ერთ წევრ სახელმწიფოზე, ეს ნიშნავდა სხვა სახელმწიფოებზე თავდასხმასაც. ამავე წელსვე დსთ-ს ფარგლებში, ერთიანი შეიარაღებული ფორმირების შექმნის შესახებ იდეის კრაზის პირობებში, შეიქმნა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები და თავდაცვის სამინისტრო, რომელიც პრეზიდენტის მიერ არაერთხელ იქნა გამოყენებული „პირადი პოლიტიკური გადარჩენისათვის“⁶⁶. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისათვის რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი მნიშვნელოვან ამოცანას ქვეყნის შიგნით სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენდა.

სამხედრო რეფორმები ბორის ელცინის მმართველობის პერიოდში რუსეთის ფედერაციაში 1992 წელს ჩამოყალიბებული თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების შემადგენლობა შედგებოდა: სახმელეთო, საჰაერო თავდაცვის, საზღვაო და სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების სახეობებისაგან. 1993-2001 წლებში სისტემატური ხასიათი მიიღო შეიარაღებული ძალების რეფორმირების პროცესმა. საყურადღებოა პრეზიდენტ ბორის ელცინის 1993 წლის 2 ნოემბრის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც რუსეთის ფედერაცია „არ მიიჩნევს არც ერთ სხვა სახელმწიფოს თავის

66 Marcel de Haas, „Russia’s Military Reforms Victory after Twenty Years of Failure?“, Clingendael Paper No. 5, November 2011 NETHERLANDS INSTITUTE OF INTERNATIONAL RELATIONS „CLINGENDAEL“, pg.11, https://www.clingendael.org/sites/default/files/pdfs/20111129_clingendaelpaper_mdehaas.pdf

მტრად⁶⁷, რადგან ძალიან შემცირდა გლობალური ომები და ძირითად საფრთხეს ლოკალური სამხედრო კონფლიქტები წარმოადგენენ. ამ პერიოდში სამხედრო რეფორმა სამ ეტაპად უნდა განხორციელებულიყო. პირველ ეტაპზე ცვლილებებს რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბი უნდა დაქვემდებარებოდა 50%-იანი საშტატო შემცირებით. ამ ეტაპს უნდა მოჰყოლოდა შეიარაღებული ძალების ტრადიციული სახეების შენარჩუნების ფონზე ახალი, სწრაფი განლაგების ოპერატიული სარდლობის შექმნის ეტაპი, ხოლო 1995-1998 წლებში 2.1 მილიონი ჯარისკაციდან შემცირებას 1,5 მილიონამდე სამხედრო პირი უნდა დაქვემდებარებოდა. დარჩენილი სამხედრო პირების 50% კი საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებად უნდა გადაქცეულიყვნენ. თითქმის ოთხი წლის განმავლობაში რეფორმის წარმატებული მიმდინარეობის შესახებ პრეზიდენტისადმი ოფიციალური მიმოწერის ფონზე ჩეჩნეთში საომარმა მოქმედებმა აჩვენა, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა ვერ შეძლეს მსუბუქად შეიარაღებული ჩეჩნური სამხედრო ფორმირებების დამარცხება. უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმის წარუმატებლობაში საბოტაჟური ქმედებებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ე.წ. ოპოზიციური ფლანგის გენერალიტეტმა. უფრო მეტიც, ამ ფლანგმა 1995 წლისათვის კონკრეტული ჯგუფის მიერ შექმნილი ახალი სამხედრო რეფორმაც ჩააგდო. თავდაცვის მინისტრის გრაჩოვის მმართველობის პერიოდში, სამხედრო რეფორმების მიმდინარეობისას, განსაკუთრებული მხარდაჭერა საჰაერო-სადესანტო ძალებს ჰქონდათ, რაც შეიარაღებული ძალების

67 „RUSSIAN MILITARY REFORM: TEN YEARS OF FAILURE“, by Pavel Felgenhauer Defense and national security editor, Sevodnya newspaper, Moscow. RUSSIAN DEFENSE POLICY TOWARDS THE YEAR 2000. Proceedings of a conference held at the Naval Postgraduate School on March 26 and 27, 1997. Ed. by Elizabeth Skinner and Mikhail Tsypkin, <https://nuke.fas.org/guide/russia/agency/Felg.htm>

სხვა სახეობების ხარჯზე მიმდინარეობდა და რამაც სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში გარკვეულ უკმაყოფილებას ჩაუყარა საფუძველი.

1996 წლისათვის სამხედრო პირები პრაქტიკულად მიმშილობდნენ, ფინანსური შესაძლებლობების სიმწირე, კორუფცია თანდათან ამცირებდა სამხედრო ულუფას და აძვირებდა მის ფასს. სისტემატური ხასიათი ჰქონდა სახელფასო თანხების გაუცემლობას. ხელისუფლებამ იცოდა შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რასაც ადასტურებს პრეზიდენტ ბორის ელცინის საკანონმდებლო ორგანოში 1995 წლის გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ შეიარაღებული ძალების რეფორმა მიმდინარეობს არადაამაკმაყოფილებლად. 1996 წლის თებერვალში მთავრობას კვლავ დაევალა სამხედრო რეფორმის გეგმის შედგენა, რაც სამხედრო წრეებში სერიოზულად არც აღიქვეს. სამხედროები არ შეცდნენ. მოახლოებულმა არჩევნებმა სამხედრო რეფორმის განხორციელება გადაავადა, რადგან ხელისუფლებას არ სურდა შემცირებული სამხედრო პირების მხრიდან ანტისახელმწიფოებრივი განწყობების გააქტიურება. ამ ფონზე პრეზიდენტმა თავდაცვის მინისტრის გრაჩოვის, აგრეთვე მაღალი თანამდებობის მქონე გენერლების გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო, რამაც საზოგადოებრივი აზრი ბორის ელცინის სასარგებლოდ განაწყო. ამასთან ერთად, სამხედრო რეფორმის ფარგლებში 1996 წელსვე გამოიცა პრეზიდენტის განკარგულება სამხედრო განწვევის გაუქმებისა და 2000 წლიდან ნებაყოფლობითი საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის ჩამოყალიბების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება შეიცავდა საფრთხეს სოციალური უკმაყოფილების, სამხედრო გადატრიალების თვალსაზრისით. ამ გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფში თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი არ იყო ჩართული. პროფესიონალთა მონაწილეობის გამორიცხვა ქვეყნის სამხედრო

უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში, მაღალი ალბათობით, სამხედრო უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი შედეგის მაინსპირირებელი ქმედება და უცხო ქვეყნების სადაზვერვო აქტივობების დამადასტურებელი ერთ-ერთი ნიშანი იყო.

შედეგმაც არ დააყოვნა: ამ გადაწყვეტილებამ გენერალიტეტის და ოპოზიციური პარტიების უარყოფითი განწყობები გამოიწვია, მაგრამ იმ სტუდენტთა და უფროსკლასელთა განწყობები, რომლებსაც არ სურდათ სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გავლა, დადებითი იყო. ამ გადაწყვეტილებამ ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1996 წლის არჩევნებში ბორის ელცინის გამარჯვებაში. შესაბამისად, მას, მაღალი ალბათობით, პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და შორს იდგა სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოების ინტერესებისაგან.

სამხედრო რეფორმის ფარგლებში, 1996 წლის ზაფხულში, პრეზიდენტ ელცინის ინიცირებით, თავდაცვის პოლიტიკისა და პროგრამების კოორდინაციის მიზნით, ჩამოყალიბდა თავდაცვის უმაღლესი საბჭო, რომელმაც თავდაცვის ახალ მინისტრსა და თავდაცვის ახალი საბჭოს მდივანს შორის, კონფლიქტის ინსპირირებით, საჯარო დაპირისპირებას ჩაუყარა საფუძველი. პირველი კონფლიქტის მიზეზი რუსეთის მომავალ სამხედრო დოქტრინას უკავშირდებოდა. ფაქტობრივად, შეიქმნა ვითარება, რომელიც ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოებაზე დამაზიანებლად მოქმედებდა, ხოლო უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებისთვის ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა აგენტურული შეღწევადობისათვის, შესაბამისად, კონფლიქტის მართვის, რუსეთის ფედერაციის ინტერესების დამაზიანებელი შედეგის მომტანი დოქტრინების, რეფორმების ორგანიზებისათვის და სხვ.

თავდაცვის მინისტრი 1993 წლის სამხედრო დოქტრინის ძალაში დატოვების პოზიციას ემხრობოდა, ხოლო თავდაცვის

საბჭოს მდივნის აზრით, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციითა და გეოპოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად, ახალი სამხედრო დოქტრინა იყო მისაღები. თავდაცვის ახალ მინისტრსა და სამხედრო გენერლებს მიაჩნდათ, რომ თავდაცვის სამინისტროს უნდა შეენარჩუნებინა გრაჩოვის მინისტრობის დროს მიღებული დამოუკიდებლობა, ხოლო მეორე მხარე ფიქრობდა, რომ ახალი სამხედრო დოქტრინის მიღებაში სამოქალაქო სპეციალისტებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა და შესაძლებელი გამხდარიყო თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო კონტროლი. თავდაცვის საბჭოს გავლენიანი შუამავლის მეშვეობით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა 1996 წელს გამოსცა განკარგულება „სამხედრო მშენებლობის“ შესახებ, რომლის ფონზე პრესაში გავრცელდა ინფორმაცია საბჭოს მიერ თავდაცვის სამინისტროში დაგეგმილი რადიკალური რეფორმის გეგმის შესახებ, რამაც დაპირისპირების მასშტაბები გაზარდა. უფრო მეტიც, თავდაცვის სამინისტრომ ოფიციალურად მოითხოვა სათანადო დაფინანსება და თავდაცვითი შესყიდვები, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაგეგმილი რეფორმა არ განხორციელდებოდა. ამასთან ერთად, 1996 წლის ბოლოს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ ნატოს მიერ აღმოსავლეთით გაფართოების გადაწყვეტილება წარმოადგენდა პოტენციურ საფრთხეს, რომელსაც სამხედრო საფრთხეში გადაზრდის პერსპექტივა ჰქონდა. მანვე აღნიშნა სახელმწიფოები (თურქეთი, ირანი, პაკისტანი, იაპონია, ჩინეთი და სხვ.), რომლებიც დსთ-ს სახელმწიფოებისათვის წარმოადგენდნენ საფრთხეს. ამ პოზიციით ის გენერალიტეტის და სამინისტროს ინტერესებს იცავდა. ამ განცხადების ფონზე საბჭომ 1997 წელს დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ მოთხოვნილი თანხების მიღების შემთხვევაში რეფორმის საჭიროება დღის წესრიგში არ შეიძლება დამდგარიყო, რადგან რუსეთი ამ შემთხვევაში 1991 წლამდე დამკვიდრებულ საბჭოურ

სტილს მიჰყვებოდა.

რუსეთის პრეზიდენტმა შეძლო კონფლიქტის დროებით განმუხტვა: მან დაამტკიცა თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული დოკუმენტი 1997 წელს შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ. ამ მოვლენის პარალელურად პრეზიდენტმა განუცხადა საზოგადოებას, რომ 1997 წლის მარტისათვის დაიგეგმა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა სამხედრო რეფორმების კუთხით.

კონფლიქტმა პრესაში გადაინაცვლა, რაც სახელმწიფოს პოლიტიკურ და სამხედრო უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი გავლენის ფაქტორი გახდა. სამხედრო რეფორმების ჩავარდნების, მძიმე სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ვითარების ფონზე პრეზიდენტმა ბორის ელცინმა დაკავებული თანამდებობა გადაზე ადრე, 1999 წლის 31 დეკემბერში დატოვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბორის ელცინის მმართველობა ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო კონტროლს მნიშვნელოვნად ექვემდებარებოდა, მათ შორის სამხედრო დაზვერვის მიმართულებითაც. გამოთქმული მოსაზრებების დასადასტურებლად შეგვიძლია გავაანალიზოთ ღია წყაროებში გამოქვეყნებული, გასაიდუმლოებული, სატელეფონო ჩანაწერების სტენოგრამები⁶⁸⁻⁶⁹ აშშ-ის პრეზიდენტ ბილ კლინტონსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინს შორის.

1

1996 წლის 7 მაისს განხილვას დაექვემდებარა ჩეჩნეთში მიმდინარე საომარი კამპანია, რუსეთსა და ჩეჩნეთს

68 „Declassified Documents Concerning Russian President Boris Yeltsin“, Clinton Digital Library <https://clinton.presidentiallibraries.us/items/show/57569> («Наши молитвы с тобой»: главное из стенограмм бесед Клинтона и Ельцина, 31 авг 2018, <https://www.rbc.ru/politics/31/08/2018/5b88f0259a79472136222155>)

69 „Ельцин предлагал Клинтону провести тайные переговоры на подводной лодке“, 31 авг 2018, <https://www.rbc.ru/politics/08/12/2022/639182f49a794782c db21ba3>

შორის მოლაპარაკებები, მსოფლიო სავალუტო ფონდიდან რუსეთისათვის კრედიტის გაცემის საკითხი. აშშ-ის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ესაუბრა მაროკოს მეფეს, იგი დაუკავშირდება ელცინს და დაეხმარება პრობლემის მოგვარებაში. პრეზიდენტი ბორის ელცინი აცნობს აშშ-ის პრეზიდენტს ჩეჩნეთში ვიზიტის და მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს და იმედოვნებს, რომ პასანს აქვს შესაძლებლობა მას დაეხმაროს. ბორის ელცინი ითხოვს ბილ კლინტონის დახმარებას საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად, რომ რუსეთის ფედერაციას საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გამოეყოს 2,5 მილიარდი აშშ-ის დოლარი. ბორის ელცინი მიიჩნევს, თუ იგი ვერ შეძლებს პენსიებისა და ხელფასების გაცემას, საარჩევნო კამპანიის გაგრძელება გართულებს. ბილ კლინტონი მას ჰპირდება, რომ დაუკავშირდება ზოგიერთ ჩვენს მეგობარს პრობლემის მოსაგვარებლად.

2

1998 წლის 17 მაისს საუბარი შეეხებოდა რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ჩერნომირდინის თანამდებობიდან გადაყენების მიზეზებს. ელცინი ატყობინებს კლინტონს, რომ მას ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვს ჩერნომირდინთან, რომელსაც როგორც პენსიონერს დაუტოვა ხელფასი, აგარაკი, ავტომობილი, მცველი ანუ ყველაფერი, რაც მას პრემიერ-მინისტრობის დროს ჰქონდა. ელცინი მას ახასიათებს სუფთა ადამიანად, რომელიც ყოველთვის უსმენდა მას, მაგრამ მიაჩნია, რომ ზოგჯერ ადამიანები იღლებიან ამა თუ იმ ჩინოვნიკისაგან და ამიტომ იძულებული იყო ყველაფერი შეიცვალოს, დაიწყო ნულიდან, იპოვოს ახალი იმპულსი.

3

1999 წლის 13 ივნისს საუბარი ეხება კოსოვოში ვითარების დარეგულირებას. ელცინს მიაჩნია, რომ მილოშევიჩთან

კონფლიქტის დარეგულირება შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნატო შეწყვეტს დაბომბვას. ჯერ კიდევ 11-12 ივნისს რუსეთის ფედერაციის სადესანტო-მოიერიშეებს კოსოვოს დედაქალაქის აეროპორტი აქვთ დაკავებული. კლინტონი ესაუბრება ელცინს თანამშრომლობის და ვითარების კონტროლის აუცილებლობაზე ისე, რომ ეს თანამშრომლობა მსოფლიომ აუცილებლად უნდა დაინახოს. ელცინი სთავაზობს კლინტონს საიდუმლო შეხვედრისთვის შესაბამისი ადგილის შერჩევას. კლინტონი სთავაზობს ელცინს, რომ რუსმა და ამერიკელმა გენერლებმა შეიმუშაონ მოკლევადიანი გეგმა და მოაგვარონ აეროპორტის საკითხი.

რუსეთის პრეზიდენტის გლადიმერ პუტინის მმართველობა 2008 წლამდე

გლადიმერ პუტინის ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა, სამხედრო რეფორმების გასატარებლად და შეიარაღებული ძალების საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ფედერაციის ინტერესების შესაბამისად, სათანადო პროპაგანდა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე. ამ მიზნისათვის „სახელმწიფო გადავიდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონტროლზე, ხოლო ბევრი ცნობილი ჟურნალისტი დაექვემდებარა დევნას ან მოკლული იქნა ხელისუფლების საქმიანობის შეუფერებელი გაშუქების გამო“,⁷⁰ რის შედეგადაც შეიქმნა სადაზვერვო მიზნებისათვის ხელსაყრელი პროპაგანდის მნიშვნელოვანი საფუძვლები. მეორე მნიშვნელოვანი ამოცანა სამხედრო-სტრატეგიული კურსის გატარებისათვის ოლიგარქების „სახელმწიფოს ინტერესებისადმი დაქვემდებარება“ იყო, რაც „დაუმორჩილებელი“ ოლიგარქების დევნითა (ხადარკოვსკი) და ზოგიერთ შემთხვევაში

70 „Russia in the 21st Century DOMESTIC DEVELOPMENT SINCE 2000“, CLASS-ROOM COUNTRY PROFILES https://jsis.washington.edu/wordpress/wp-content/uploads/2018/02/Russia_2000s_Putin.pdf

პოლიტიკოსებისა და ოლიგარქების მკვლევლობებით (ნემცოვი, ბერეზოვსკი) დასრულდა. მესამე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდაჭერა (რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესების შესაბამისად, პირველ ეტაპზე აიკრძალა „გეი-პროპაგანდა“ არასრულწლოვანთა შორის, შემდგომ სქესის შეცვლისა და პედოფილიის პროპაგანდა. ამ პროცესში „ძირითადი აკრძალვები გავრცელდა წიგნისა და კინო ინდუსტრიაზე, მასმედიაზე და ინტერნეტ-საიტებზე“.⁷¹), რაც წარმატებით განხორციელდა და იგი ვლადიმერ პუტინის ხელისუფლების მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდაჭერით დასრულდა.

სამხედრო სტრატეგიული მიზნების აღსრულებისათვის აუცილებელი გახდა ქმედითი ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, რამაც რუსეთის ფედერაცია მნიშვნელოვანწილად ბიზნესის ცენტრად, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მწარმოებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოდ აქცია. შესაბამისად, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები სტაბილური ეკონომიკური ვითარების დაგეგმვისათვის.

ფაქტობრივად, ვლადიმერ პუტინის მმართველობისას, ზემოაღნიშნული და სხვა მნიშვნელოვანი ქმედებების შესაბამისად, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის, სამხედრო-სამეცნიერო სექტორის აღდგენა-გააქტიურების პროცესი დაიწყო. ვლადიმერ პუტინის მმართველობა ემყარებოდა „დაყავი და იბატონეს“ პრინციპს, რომელიც რუსული საზოგადოებისათვის და სამხედრო მმართველობისათვის მისაღები აღმოჩნდა. მის მიერ თავდაცვითი და სამხედრო პოლიტიკის დაგეგმვა-მართვა ცენტრალიზებული მონოპოლიის

71 Голубева Анастасия, Зотова Наталия, „Госдума приняла закон о запрете \"гей-пропаганды\". Чем он грозит и что запрещает?“, Би-би-си, 23 ноября 2022, <https://www.bbc.com/russian/news-63714632>

შექმნას ემსახურებოდა, რითაც მმართველს სახელმწიფო და პოლიტიკურ იერარქიაზე არსებული კონფლიქტების მართვის/მყარი კონტროლის-მედამხედველობის შესაძლებლობა ეძლეოდა და მიეცა კიდევ. ამ ვითარებისთვის ვლადიმერ პუტინის მმართველობის პერიოდში გაიზარდა სპეციალური სამსახურების როლი, მოქმედების ჩარჩოები.

სამხედროთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრის რანგში ყოფნისას, ვლადიმერ პუტინი ჩეჩნეთში მეორე საბრძოლო მოქმედებების წინ სისტემატურად სტუმრობდა შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილებს. ამ ფონზე მან შეიარაღებულ ძალებს სახელმწიფოს უსაფრთხოებაში უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის სტატუსი მიანიჭა. დღის წესრიგში შეიარაღებული ძალების გადაიარაღება გახდა, თუმც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის, სახელმწიფოში მძიმე ფინანსური მდგომარეობა ამ პროცესის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი გახდა.

ვითარების სიმძიმეზე მეტყველებს შემდეგი გარემოებები:

2001-2007 წლებში სამხედრო პირებზე ხელფასებისა და პენსიების განსაკუთრებული სიმცირის გამო გაიზარდა თვითმკვლელობის, დეზერტირობის, პროფესიონალების სისტემიდან მასშტაბურად წასვლის, კორუფციის მასშტაბები;

დაახლოებით 2006 წლისათვის თანამედროვე სამხედრო ტექნიკის ბალანსის შეფარდება რუსეთის ფედერაციაში 20%-ზე ნაკლებს, ხოლო ნატოში 70%-ზე მეტს შეადგენდა.

თანამედროვე ომის პრინციპებიდან გამომდინარე პრეზიდენტის საქმიანობის კურსი მიმართულ იქნა შეიარაღებული ძალების მაღალტექნოლოგიურ აღჭურვაზე და პერსონალის რაოდენობრივ მცირერიცხოვნობაზე. შესაბამისად, 2004-2005 წლებში 100000 სამხედრო პირის შემცირება, 2008 წლისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურში განწვევის ვადის ერთი

წლით შემცირება, ამავე პერიოდისათვის საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო პირთა რაოდენობის 70%-ით გაზრდა, ხოლო 2006-2010 წლებში სამხედრო ოლქების ორგანიზაციული სტრუქტურის რეორგანიზაცია დაიგეგმა. მაღალი საიდუმლოების გრიფის ქვეშ შემუშავებული იქნა სახელმწიფოს შეიარაღების პროგრამა, რომელიც მოძველებული ტექნიკის ჩანაცვლებას ითვალისწინებდა. შესრულების პერიოდის და პასუხისმგებელი პირების მითითებით შედგენილი პროგრამული დოკუმენტის ზოგადი სტრუქტურა ასე გამოიყურება:

ა) შეიარაღების შიდა შესყიდვები;

ბ) სამხედრო კვლევები;

გ) სამხედრო შეიარაღებისა და მოწყობილობების მოდერნიზაცია. ამ სახის 2015 წელს დამტკიცებული დოკუმენტის ანალიზი აჩვენებს, რომ:⁷² 2025 წლისათვის რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები აღჭურვილი უნდა იყოს თანამედროვე შეიარაღების სისტემებით (ბალანსი: 70% თანამედროვე, 30% ძველი იარაღი).

გლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის პირველ პერიოდში შეიარაღებულ ძალებში რადიკალური ცვლილებების გატარების გამორიცხვის ფონზე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა:

- სამხედრო სწავლებებზე (მაგალითად, რუსეთ-ჩინეთის მანევრები 2005-2007 წლებში);
- ჩეჩნეთთან საომარი კონფლიქტების საფუძველზე თანამედროვე არმიის მეშვეობით კოორდინირებული ქმედებებით შიდა უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებაზე;
- ბირთვულ შემაკავებელ ფაქტორზე პრიორიტეტის მინიჭებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

72 „Russia in the 21st Century DOMESTIC DEVELOPMENT SINCE 2000“, CLASSROOM COUNTRY PROFILES https://jsis.washington.edu/wordpress/wp-content/uploads/2018/02/Russia_2000s_Putin.pdf

თავი XI

კონსტაბგოთა საქართველოს თავდაცვითი პოლიტიკის ვეჟთორის სვლილება დსთ-დან ნათოჟდე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლი⁷³ ყველა სახელმწიფოს ანიჭებს როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური თავდაცვის უფლებას, როდესაც გაერთიანებული ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმა ხდება. შესაბამისად, ყველა სახელმწიფო საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სპეცსამსახურების, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის და სამეცნიერო სეგმენტის მონაწილეობით ახორციელებს საკუთარი ქვეყნის თავდაცვითი პოლიტიკის დაგეგმვას. ამ პროცესისათვის აუცილებელია ხელისუფლებას გააჩნდეს ინფორმაციები როგორც მეზობელ, ისე სხვა ქვეყნების ხელისუფლებების განზრახვების შესახებ. ასეთი მიდგომა ხელისუფლებას უადვილებს განახორციელოს უსაფრთხო თავდაცვითი პოლიტიკა.

ქვეყნის უსაფრთხო საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისას უმნიშვნელოვანესია მეზობელი სახელმწიფოების დამოკიდებულების გათვალისწინება იმ პროცესების მიმართ,

73 „CHARTER OF THE UNITED NATIONS AND STATUTE OF THE INTERNATIONAL COURT OF JUSTICE“, Article 51, SAN FRANCISCO, 1945, https://popp.undp.org/_layouts/15/WopiFrame.aspx?sourcedoc=/UNDP_POPP_DOCUMENT_LIBRARY/Public/Charter%20of%20the%20United%20Nations.pdf&action=default&utm_source=EN&utm_medium=GSR&utm_content=US_UNDP_PaidSearch_Brand_English&utm_campaign=CENTRAL&c_src=CENTRAL&c_src2=GSR&gclid=CjwKCAIA7vWcBhBUEiwAXieltjiFVmtTo9Pw1tzNT8P_ft0WbVqmOMxE4qij5nBQHsKX6q-JnSN4RoCizAAvD_BwE

რომელსაც სამიზნე სახელმწიფო ახორციელებს. ამ პროცესში აუცილებელია მონაცემები სხვა არამეზობელი სახელმწიფოების შესახებაც. არსებობს ღია (მათ შორის: მასმედია, დიპლომატიური წყაროები, ხელისუფლების წევრთა გამონათქვამები და შეფასებები) და დახურული (საიდუმლოების გრიფის ქვეშ დაცული) ინფორმაციის წყაროები, რომელთა ანალიზსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლებისთვის უსაფრთხო ანალიტიკური ინფორმაციების მიწოდებისთვის, საფრთხეების გამოკვეთის და მათზე დროული რეაგირების თვალსაზრისით.

დიდი სახელმწიფოს აგრესიის ნეიტრალიზაციისთვის/რისკის მინიმუმამდე დასაყვანად თავდაცვითი პოლიტიკის გამხორციელებელი სახელმწიფო მზად უნდა იყოს გარკვეული დათმობებისათვის/კომპრომისებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ სახელმწიფოსთან მიმართებით არსებობს დროულობით, სანდოობით, სრულყოფილებით გამორჩეული სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ინფორმაციები სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის რღვევისაკენ მიმართული აქტიური ქმედებების შესახებ. ამ დროს დათმობა აგრესიის მასშტაბების გაზრდის წინაპირობაა.

მიუხედავად იმისა, რომ სამიზნე სახელმწიფოსადმი აგრესორი სახელმწიფო სადაზვერვო პროპაგანდით ცდილობს საკუთარი ქმედებების გამართლებას, ამ დროს საერთაშორისო ასპარეზზე და აგრესორ სახელმწიფოში იკვეთება ძალები, რომლებიც სულ მცირე სიტყვიერი პოზიციით გამობენ აგრესორის ქმედებებს, რაც სამიზნე სახელმწიფოსთვის აგრესორთან გარკვეული უპირატესობის განმაპირობებელ გარემოებას წარმოადგენს. ამ პროცესშიც (დანაშაულებრივი ქმედებების მათ შორის, დროული გამოვლენის, დოკუმენტირების, გავრცელების თვალსაზრისით) სამიზნე სახელმწიფოს სადაზვერვო და

კონტრსადაზვერვო უწყებების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

მემობელი, დიდი სახელმწიფოს აგრესიის ნეიტრალიზაციისათვის/რისკის მინიმუმამდე დაყვანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამიზნე სახელმწიფოს მიერ მემობელ პატარა სახელმწიფოებთან ისეთ კოორდინაციას, რომელიც მათ თავდაცვისუნარიანობას ამყარებს. ამ მოვლენების ნეიტრალიზაციისათვის აგრესორი სახელმწიფო სამიზნე მემობელსა სახელმწიფოებში, სხვადასხვახასიათის კონფლიქტების ინსპირირებას ახორციელებს, რაც დესტაბილიზაციის ფონზე კოორდინაციის სიმყარეს ასუსტებს. განხილული თეორიული მასალის ფონზე საყურადღებოა საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებსა და მისი დაშლის შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში განვითარებული მოვლენების მიმოხილვა.

უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე სახელმწიფო საქართველო უცხო ქვეყნების დაზიანების ობიექტად არაერთხელ ქცეულა. 1918-1921 წლებში დამოუკიდებლობის დაკარგვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად თავდაცვითი პოლიტიკის სისუსტე შეგვიძლია მივიჩნიოთ, უცხო ქვეყნების სადაზვერვო აქტივობების ფონზე.

საბჭოთა რუსეთის დაზვერვამ გაიმარჯვა სხვა უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებზე და შედეგად საქართველოზე მყარი კონტროლი უზრუნველყო.

სამწლიანი დამოუკიდებლად არსებობის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში საქართველოსთვის, როგორც პატარა (ამ ტიპის სახელმწიფოს „ოლაგ კნუტსენი ისეთ სახელმწიფოს უწოდებდა, რომლის ძლიერებაც თუნდაც ერთი მემობლის ძლიერებას ჩამორჩებოდა. ქვეყანას, რომელიც არც რეგიონული და, მით უფრო, არც მსოფლიო მასშტაბით არ შეუძლია თავისი პოლიტიკური ნების რეალობაში გატარება,

ძალის პოლიტიკის მეშვეობით საკუთარი ინტერესების დაცვა პატარა და სუსტია)⁷⁴ სახელმწიფოსათვის, უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა უსაფრთხო თავდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბება. შესაბამისად, პოსტსაბჭოთა საქართველოს თავდაცვითი პოლიტიკის სახეცვლილება, კონკრეტული ისტორიული პერიოდის განხილვის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

სახელმწიფოს უსაფრთხო საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველო მნიშვნელოვანი სახელმწიფოა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. მას აქვს სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა, რაც დეკლარირებულია როგორც ემბოზელი, ისე დიდი სახელმწიფოების მიერ.

1. საქართველოს თავდაცვითი პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანებს წარმოადგენს:
2. საკუთარი თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისათვის სტრატეგიული/ მფარველი სახელმწიფოს ძიება;
3. საერთაშორისო ასპარეზზე ლობისტური ჯგუფების/ კომპანიების ძიება;
4. კონკურენტული შეიარაღების პროცესის უწყვეტობა;
5. სამეცნიერო სექტორის გაძლიერება და კვლევების წარმოება;
6. შეიარაღებული ძალების რეფორმირება;
7. სპეცსამსახურების განმტკიცება;
8. უსაფრთხო საკადრო პოლიტიკის ჩამოყალიბება (მათ შორის პროფესიონალი პოლიტიკოსები) და სხვ.

74 „კნუტსენი, ო. (1991). პატარა ქვეყნები . პოლიტიკა“ (კასრადე ნანა, „რუსეთი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში“, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2019), გვ.12, <https://openscience.ge/bitstream/1/1238/1/ma-thesis.kasradze%20politmec2019.pdf>

აღნიშნული ამოცანების გადაუწყვეტლობა ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაკარგვის ერთ-ერთ ძირითადი მიზეზი გახდა, რასაც ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს თავდაცვისათვის არსებული ძალების გამოუყენებლობაც დაემატება. საქართველოს ყველა ხელისუფლებამ ისტორიული გამოცდილება უნდა გაითვალისწინოს.

შესაბამისად, საყურადღებოა საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ პერიოდში განვითარებული მოვლენების ანალიზი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ 1990 წლის 28 ოქტომბერისათვის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების დანიშვნა მაღალი ალბათობით, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან (კგბ) შეთანხმების პროდუქტი იყო. საბჭოთა სისტემისათვის მიუღებელი მრავალპარტიული არჩევნები სახელმწიფოში შექმნილი ოპერატიული ვითარების შედეგი და პოსტსაბჭოთა სივრცის აქტიური კონტროლისთვის გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. რეალურად ასეთი არჩევნების დანიშვნა, სახელმწიფოს ხელისუფლების არაკომუნისტური პოლიტიკური ძალებისათვის შეუფერხებელ გადაცემას ნიშნავდა.

გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც: „ჩნდება მოსაზრება, რომ ზვიად გამსახურდიას, საქართველოს მაშინდელი კომუნისტური მმართველობის, ან შინა თუ გარე სპეცსამსახურების ნებით, მწვანე შუქი ჰქონდა ხელისუფლებისაგან“.⁷⁵ შესაბამისად, ზვიად გამსახურდიასათვის ხელისუფლების გადაცემა საბჭოთა სპეცსამსახურების გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ქვეყანას,

⁷⁵ ცინცაძე ალიკო, გიორგი ბაღათურიძე, „არჩევანი“ დემოკრატიის მშენებლობა ტოტალიტარიზმის ეპოქაში-ედუარდ შევარდნაძის გამოცდილება, „ბონდო მაცაბერიძის გამოცემლობა ბაკმი“, თბილისი, გვ. 217

რომელსაც მმართველობითი აპარატის მაღალ და დაბალ იერარქიაზე მყოფი საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტურული აპარატის წევრები (რა თქმა უნდა, არა ხელისუფლების ყველა წევრი) მართავდნენ, ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ სხვადასხვა ხასიათის დესტაბილიზაციისათვის.

საქართველოში ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა, სწორედ სპეცსამსახურების ქმედებათა ნიშნებს შეიცავდა. ამდენად, საყურადღებოა პოლიტიკური მოღვაწის ჯუმბერ პატიაშვილის პოზიცია, რომელიც აღნიშნავს, რომ ზვიად გამსახურდიას პატრიოტიზმში ეჭვი არავის არ ეპარებოდა, თუმცა „პატრიოტიზმი აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ქვეყანა მართო“.⁷⁶ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ხელისუფლებას თავდაცვითი პოლიტიკის შემუშავება არ დასცალდა. იგი მეზობელი სახელმწიფოს აგრესიული მოქმედების შესაჩერებლად მზად არ აღმოჩნდა. უცხო ქვეყნების სადაზვერვო აქტივობებით, საქართველოში მათი ინტერესების გამტარებელი აგენტურული აპარატის გამოყენებით საქართველოში ხელისუფლება დაემხო. ამ პროცესების პარალელურად რუსეთის მხრიდან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მზადდებოდა ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები.

ახალი ხელისუფლების პირობებში დაიწყო საქართველოს თავდაცვითი პოლიტიკის შემუშავება. 1992 წელს საქართველო შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (შემდგომ ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო).

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ომში დამარცხებული საქართველო, ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური მიმართვის

76 პატიაშვილი ჯუმბერ, „ოცდასამი წლის შემდეგ“, თანაავტორი ელბა ფოლადაშვილი, გამომცემლობა პალიტრა L, 2013, გვ.261

საფუძველზე⁷⁷ „საკუთარი სურვილით“ 1993 წლის დეკემბერში გაერთიანდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ).

მიუხედავად ამისა, ბრძოლა დსთ-დან „თავის დასაღწევად“ და თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად გაგრძელდა.

1994 წელს საქართველოს ჩართულიყო ნატოს-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“⁷⁸ პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა.

1995 წლისათვის რუსეთისთვის სტრატეგიულ ამოცანა საქართველოსთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება და ბათუმში, გუდაუთაში, ახალქალაქსა და ვაზიანში დისლოცირებული სამხედრო ბაზების 25 წლით განთავსების ვადის დაკანონება იყო. მტრულად განწყობილი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიაზე განთავსება მნიშვნელოვან რისკებს შეიცავდა. თავდაცვითი ხასიათის ღონისძიებების გატარება აუცილებელი გახდა. საქართველოს ხელისუფლებამ დასავლეთთან ურთიერთობები გააქტიურა.

1999 წელს ევროსაბჭოში გაერთიანებას ნატოსთან ურთიერთობების გაღრმავება მოჰყვა. იმავე წლის ნოემბერში ეუთოს სამიტზე მიღწეული „სტამბულის შეთანხმების“⁷⁹ თანახმად, რუსეთის ფედერაციას გუდაუთის და ვაზიანის ბაზების

77 „РЕШЕНИЕ ГЛАВЫ ГОСУДАРСТВ-УЧАСТНИКОВ СОДРУЖЕСТВА НЕЗАВИСИМЫХ ГОСУДАРСТВ от 22 октября 1993 года - 3 декабря 1993 года, О вступлении Республики Грузия в Содружество Независимых государств“, https://base.spinform.ru/show_doc.fwx?rgn=3938

78 „საქართველო ნატო-ს ურთიერთობები“, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, <https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E>

79 BENDIANISHVILI ZURAB, „ON THE ROLE OF THE CIVIL SOCIETY AND INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN THE IMPROVEMENT OF HUMAN RIGHTS PROTECTION ISSUES IN THE CONFLICT REGIONS“, HUMAN RIGHTS SITUATION IN THE CONFLICT ZONES OF GEORGIA TBILISI 2006, pg.19, <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/50465.pdf>

უნდა განეთავისუფლებინა (განახორციელა 2001 წელს), ხოლო დანარჩენი ბაზების ირგვლივ მოლაპარაკებები უნდა გაგრძელებულიყო. 2002 წელს პრაღაში ნატო-ს სამიტზე პირველად გაცხადდა ოფიციალური პოზიცია საქართველოს ალიანსში გაწევრიანების შესახებ, რაც ამ ორგანიზაციაში ინტეგრაციის პროცესის დაწყების მყარი საფუძველი გახდა.

„ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული საქართველოს ხელისუფლების პირობებში, 2004 წლის ოქტომბერში, ნატომ პარტნიორი სახელმწიფოს ფარგლებში საქართველოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის⁸⁰ განხორციელება დაიწყო. 2006 წლის მარტში, სოჭში ხელი მოეწერა რუსული სამხედრო ბაზების ახალქალაქიდან და ბათუმიდან გაყვანის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც, დათქმულ ვადაზე ადრე, 2007 წლის შემოდგომაზე განხორციელდა.

საქართველოს ხელისუფლება განაგრძობდა ნატოსთან ინტეგრაციის მცდელობებს. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა დსთ-ს დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. 2006 წლის თებერვალში საქართველომ დატოვა დსთ-ს თავდაცვის მინისტრების ჯგუფი, ხოლო 2006 წლის შემოდგომაზე ნატომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთან დიალოგის საწარმოებლად ალიანსის წევრობის კანდიდატობის ფორმატის შესახებ. 2008 წლის აპრილში ნატოს ბუქარესტის სამიტზე დეკლარირებული იქნა, რომ „საქართველო გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა“.⁸¹

ამ მოვლენას, სავარაუდოდ, პირდაპირი კავშირი ჰქონდა 2008 წლის აგვისტოში საქართველოს მიმართ განხორციელებულ

⁸⁰ Individual Partnership Action Plans, 09 Jun. 2017, https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_49290.htm

⁸¹ „Bucharest Summit Declaration Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Bucharest on 3 April 2008“, 03 Apr. 2008 Press Release (2008) 049, https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm

აგრესიასთან. რუსეთმა განახორციელა „სამხედრო აგრესია, საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილების ოკუპაცია, ეთნიკური წმენდა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მის მიერვე შექმნილი მარიონეტული რეჟიმების მიერ ე.წ. დამოუკიდებლობის გამოცხადება.“⁸² აფხაზეთში, საქართველო დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების საფარქვეშ მოქმედმა რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფებმა მოამზადეს და განახორციელეს საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესია. საპასუხოდ, საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება დსთ-დან გამოსვლის შესახებ. 2009 წლის აგვისტოში საქართველომ დატოვა დსთ.

2009 წლიდან ნატოს პრიორიტეტული მიმართულება გახდა საქართველოს თავდაცვის, სამხედრო განათლების სეგმენტების განვითარება (პროგრამა: DEEP), რომლის ფარგლებში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ნატოს სტანდარტით ქართველი ინსტრუქტორები ფიზიკურად მომზადდა.

ფაქტობრივად, საქართველოს თავდაცვითი პოლიტიკის სახეცვლილება შესაძლებელი გახდა დსთ-ში ყოფნის პერიოდში და ამ ორგანიზაციის დატოვებით საქართველოს თავდაცვითი ორიენტირი ნატოსკენ მყარად იქნა მიმართული.

სადაზვერვო კოორდინაცია აქტიურად ხორციელდებოდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ნატოს შორის, რაზედაც მეტყველებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2015-2020 წლების ანგარიშები.⁸³

სხვადასხვა პროცესში ჩართვის გარდა, სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა 2016 წელს სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების მქონე 468, 2017

⁸² „ინფორმაცია დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შესახებ“, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი, 2009 წლის 18 აგვისტო, <https://mfa.gov.ge/News/%E1%83%E1%83%93>

⁸³ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 2015, 2016, 2017, 2018 წლები, <https://ssg.gov.ge/page/info/reports>

წელს 900-მდე, ხოლო 2018 წელს 600-მდე პირთან დაკავშირებით განსაზღვრა ნატო-ს კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან დაშვების მიზანშეწონილობის საკითხი.

შესაბამისად, საქართველოსადმი მიემართა უცხო ქვეყნების სადაზვერვო აქტივობები. ამ მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება ღია წყაროში განთავსებული ინფორმაციები. 2018 წლის განმავლობაში უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო ინტერესს წარმოადგენდა „საქართველოს თავდაცვის სისტემის ნატოს სტანდარტებთან მიახლოების პროცესში“, ⁸⁴ შექმნილი ვითარება, ორგანიზებული პროცესები და სტრატეგიული გეგმების შესახებ ინფორმაციები.

საქართველოს, როგორც სადაზვერვო აქტივობების ობიექტად ყოფნას, ადასტურებს 2020 წლის აპრილში, ყოფილი ბრიტანელი სამხედრო მაღალჩინოსნის, ყოფილი ევროპარლამენტარის განცხადება, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველო არა მარტო ტერიტორიული აგრესიის საფრთხის ქვეშ იმყოფება, არამედ ის წარმოადგენს კიბერშეტევებისა და დეზინფორმაციების ობიექტ სახელმწიფოს. ამ საფრთხეების წინააღმდეგ საქართველო შეთანხმებულად საქმიანობდა „დიდი ბრიტანეთის კიბერუსაფრთხოების ნაციონალურ ცენტრთან და აშშ-ის სადაზვერვო სამსახურებთან“. ⁸⁵

2021 წლის მდგომარეობით, ⁸⁶ რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული ჯაშუშობა და ძირგამომთხრელი

84 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2018-31.12.2018 გვ.14

85 „Ex-senior British military officer: ‘process of Georgia’s joining NATO is in fact well underway‘“, 10 Apr 2020, <https://agenda.ge/en/news/2020/1119>

86 Galeotti Mark, „The secret battlefield: How the EU can help Georgia, Moldova, and Ukraine protect against Russian subversion“, 15 December 2021, <https://ecfr.eu/publication/the-secret-battlefield-how-the-eu-can-help-georgia-moldova-and-ukraine-protect-against-russian-subversion/>

საქმიანობა წარმოადგენდა საქართველოსათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფრთხეს. ამ მდგომარეობის ნეიტრალიზაციის მიზნით, თანამშრომლობისა და სადაზვერვო კოორდინაციის გაგრძელების დამადასტურებელია დაზვერვისა და უსაფრთხოების საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწის დევიდ კატლერის 2022 წლის 23-24 მარტის ვიზიტი საქართველოში,⁸⁷ მისი შეხვედრები პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან, სადაც განიხილეს ნატოსა და საქართველოს შორის ურთიერთობები (მათ შორის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია), რუსეთის ფედერაციის შეჭრა უკრაინაში, აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების გარემო.

87 „Top NATO Intelligence Official Meets Georgian PM“, 24/03/2022, <https://civil.ge/archives/481181>

თავი XII

მთიანი ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტის კლასიფიკაცია და სადაზვერვო თავისებურებები

საერთაშორისო ურთიერთობებსა თუ ქვეყნის შიდა პროცესებში საომარი მოქმედებების თავიდან აცილება/რისკის მინიმუმამდე დაყვანა უძველესი პერიოდიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს.

არსებობს შეხედულება, რომ ომის ინსპირაცია ადამიანის ქცევისა და ბუნების პროდუქტია. ს. უოლცის აზრით, „ომის პირველი მიზეზი სწორედ ადამიანებში უნდა ვეძებოთ“.⁸⁸ ომის საომრად შეგულიანების მეორე და მნიშვნელოვანი მიზეზია სახელმწიფოს პოლიტიკური ელიტის ქცევა. მესამე მიზეზს კი საერთაშორისო სისტემის ბუნება განაპირობებს. ისეთი კომპონენტები, როგორიცაა: ამბიცია და შურისძიება ომების გამომწვევის ხელშემწყობ პირობებს წარმოადგენენ.

საყურადღებოა ღია წყაროში განთავსებული ინფორმაცია საომარ მოქმედებების შესახებ დენ სმიტის კვლევით:⁸⁹ 1990-1999 წლებში მსოფლიოში განხორციელდა 118 სამხედრო კონფლიქტი, რომელიც 80 სახელმწიფო და 2 არასახელმწიფოებრივ წარმონაქმნს შეეხო. ამ პროცესების შედეგად 6 000 000 ადამიანი დაიღუპა. ამავე კვლევით, ყველა კონფლიქტი „ომები დამოუკიდებლობისათვის“ კატეგორიას განეკუთვნებოდა, მათ შორის 100 -- სახელმწიფოს შიდა

88 Muscato Christopher, „Causation of War: Individual, State & System“, <https://study.com/academy/lesson/causation-of-war-individual-state-system.html>

89 Смит Дэн. „Причины и тенденции вооруженных конфликтов.“ ст. 116-117. http://www.berghof-foundation.org/fileadmin/redaktion/Publications/Handbook/Articles/russian_smith_handbook.pdf

კონფლიქტის ხასიათს ატარებდა. კვლევაში რეგიონების მიხედვით, სამხედრო კონფლიქტების მიმდინარეობა 1990-1990 წლებში ასეა გამოსახული:

რეგიონი	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999
აზია-წყნარი ოკეანე	21	21	25	24	23	21	22	24	19	20
ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა	7	6	5	3	4	5	4	3	3	2
ჩრდ. აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი	7	8	8	9	9	9	8	8	6	4
აფრიკა	17	22	18	18	23	21	18	19	18	16
ევროპა	4	10	12	8	6	4	2	3	3	5
სულ	56	67	68	62	65	60	54	57	49	47

მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ სადაზვერვო საქმიანობის არსი საომარი ქმედებების წაქეზებაში, რადგან ეს სამსახურები სახელმწიფოთა უსაფრთხო საერთაშორისო ურთიერთობების განმაპირობებელ სტრუქტურას წარმოადგენენ. შესაბამისად, საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად სახელმწიფოს სადაზვერვო საქმიანობის ძირითადი მიზანია:

- სახელმწიფოს შიდა და გარე უსაფრთხოების სისტემის მდგრადობის შენარჩუნება-კიდევ უფრო გამყარება;
- საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის დაცვა;
- საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი ინტერესების გატარება;
- სადაზვერვო აქციების მყარი დაშიფრვა, სხვადასხვა ხასიათის კონფლიქტების ინსპირირებაში საკუთარი როლის შესანიღბავად.

სამიზნე სახელმწიფოში ძირითად ამოცანებს შესაძლოა წარმოადგენდეს:

- სადაზვერვო ხასიათის შეღწევალობა;
- ისტორიაში არსებული კონფლიქტების შესახებ ფსიქოლოგიური პორტრეტის შედგენა;
- საერთაშორისო ასპარეზზე, აგრეთვე საკუთარ სახელმწიფოში, მიზნის მისაღწევად სათანადო პროპაგანდა და დემინფორმაციის გავრცელება;
- ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების შესწავლა, მათი ფსიქოლოგიური პორტრეტის შედგენა;
- არსებული რეჟიმის შესახებ ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა;
- პოლიტიკური, ფინანსური, სამხედრო, სამეცნიერო, კრიმინალური ვითარებისა და ელიტის ირგვლივ ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა;

- სპეცსამსახურებში, თავდაცვის სხვა სახელმწიფო უწყებებში არსებული ვითარების შესახებ ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა.

თეორიული მასალის საფუძველზე მიმოვიხილოთ სამხედრო კონფლიქტი მთიან ყარაბაღში.

1988 წელს სომხეთის მიერ აზერბაიჯანთან დაწყებული საომარი მოქმედებები 1994 წელს დასრულდა ზავით. ღია წყაროში არსებული მონაცემებით,⁹⁰ 1988-1993 წლებში აზერბაიჯანიდან 300000-350000-მდე სომეხმა, ხოლო ამავე პერიოდში სომხეთიდან 150000 აზერბაიჯანელმა დატოვა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, მთიან ყარაბაღში 188 000 ადამიანი ცხოვრობდა, მათ შორის 145000 სომეხი და 40000 აზერბაიჯანელი. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ექსპერტთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ შეფასებულია როგორც ორ სახელმწიფოს შორის დაპირისპირება და სახელმწიფოთა შორისი ომი.

აქ განხორციელებული სადაზვერვო საქმიანობა შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც კლასიფიკატორი და გავაანალიზოთ მოვლენები

90 Volcic Demetrio, „Report Political Affairs Committee, Armenia’s application for membership of the Council of Europe“, Doc. 8747, 23 May 2000, <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/X2H-Xref-ViewHTML.asp?FileID=8942&lang=EN>

N	ამოცანა	ამოცანათა რეალიზებისათვის ხელსაყრელი ვითარება	სახელმწიფო, რომელსაც აქვს უპირატესობა ვითარების ფლობის თვალსაზრისით
1	სამიწაზე სახელმწიფოებში (სომხეთი, აზერბაიჯანი) სადაზვერვო ხასიათის მუდმივადობა	საბჭოთა პერიოდში სადაზვერვო და კონტრასადაზვერვო აქტივობებისათვის ეთნიკურად აზერბაიჯანელები და სომხები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ხდებიან რუსეთის ფედერაციის აგენტურ-კოლონიალიზმის წევრები. რაც შეეხება დამოუკიდებელ სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა სპეციალურ სამსახურების ყოფილ და უკვე დამოუკიდებელ ქვეყნის სტრუქტურებში გადანაცვლებულ თანამშრომლებს, ისინი რუსეთის სადაზვერვო სამსახურისთვის მოწყვლად ფენას წარმოადგენდნენ წარსული საქმიანობისას შედეგ-ნოლი დოკუმენტების და განხორციელებული ქმედებების გამო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკომპლექტებული იყო საბჭოთა სომხეთის კვბ-ს თანამშრომლებისაგან, ისინი პრაქტიკულად ხელუხლებელნი დარჩნენ გარდამავალი პერიოდის შემდეგ⁹¹. 2011 წლის ნაშრომის „სუმგაიტი: სსრკ-ს დაშლის დასაწყისი“ მიხედვით, მისი ავტორი ყოფილი პროკურორი - ასლან ისმაილოვი განიხილავს „თუ როგორ მოახდინა საბჭოთა სუკ-მა სუმგაითის და-რბევის პროვოცირება.“⁹²	რუსეთის ფედერაცია

91 Krmoyan Karen, „The Communist KGB Was There to Stay,“ Jun 14, 2020, <https://evnreport.com/politics/the-communist-kgb-was-there-to-stay/>

92 Grigoryan Arpi, Karimov Elchin, Nisan Alici Working Through the Past in the Shadow of the Present: The Cases of Armenia, Azerbaijan, and Turkey“, 15 May 2019, <https://caucasusedition.net/working-through-the-past-in-the-shadow-of-the-present-the-cases-of-armenia-azerbaijan-and-turkey/>

2	სამიზნე სახელმწიფოს ისტორიაში (სომხეთი, აზერბაიჯანი) არსებული კონ- ფლიქტების შესა- ხებ ფსიქოლოგი- ური პორტრეტის შედგენა	დამოუკიდებლად არსებობის (1918-21 წწ) მთიანი ყარაბაღი (შემ- დგომში სადავო ტერიტორია) სომხეთის კონტროლქვეშ იყო; 2.2. 1921 წლის მარტიდან, ოსმალეთსა და რუსეთს შორის სახელშეკრუ- ლებო შეთანხმებით, სადავო ტერიტორია საბჭოთა აზერბაიჯანის კონტროლს დაექვემდებარა	(მოსახლეობაში ეთნიკურად მონა- თესავე ჯგუფები) 2.1.1. სომხეთი 2.1.2. აზერბაიჯანი 2.2.1. საბჭოთა კავშირი, საბჭოთა აზერბაიჯანი; 2.2.2. ოსმალეთი, აზერბაიჯანის ინტერესების გამტარებელი (ორივე შემთხვევაში, პერსპექტი- ვაში: „პრობლემის გადაწყვეტა“, მადლიერების პროპაგანდისტის ხელსაყრელი ვითარება) 3. რუსეთის ფედერაცია, 4. თურქეთი
---	--	---	---

სამიზნე სახელ- მწიფოში (აზერბაიჯანი, სომხეთი), საე- როთაშორისო ასა- რეზუ, აგრეთვე საკუთარ სახელ- მწიფოში მიზნის მისაღწევად სთა- ნადო პროპაგანდა	უკვე 1986 წლისათვის „ანტისახალხო პროპაგანდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, განსაკუთრებით ტელევიზიაში, და- ფინანსებული იყო ახალ მესაკუთრეთა კლასის და დასავლეთის სტრუქტურების მიერ“.⁹³ ერთ-ერთი გამორჩეული საბჭოთა ფიგურა ვინც, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს აღვივებდა იყო დისიდენტ-ა- კადემიკოსი სახაროვი, რომლის საწინააღმდეგოდ აზერბაიჯანის მხრიდანაც საბჭოთა პროპაგანდის ქრილში, გამოყენებული იყვნენ მეცნიერები და სოციალისტური შრომის გმირები. სახაროვის გა- რდაცვალეუბის შემდეგ 1991 წლისათვის ანალოგიური გზა აირჩია მისმა მუდღემ ელენა ბონერ-ალიხანიაშვილმა. კონფლიქტის ზონაში ათეულობით ვიზიტი, მათ შორის საერთაშორისო არენაზე და დიდი ბრიტანეთის საკანონმდებლო ორგანოში სომხეთის ლობისტის დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატის ვიცე-სპიკერის კოზიტი შეღვა ამ პერიოდისთვის საკმაოდ აქტიური იყო აშშ-ის სომხური დიასპორა, რომელიც არა მარტო პროპაგანდას, არამედ აშშ კონ- გრესის დარწმუნებას ცდილობდა „გამოეყო მნიშვნელოვანი თანხე- ბი“⁹⁴ სადაო ტერიტორიის მმართველობის დასაფინანსებლად.	რუსეთის ფედერაცია; დიდი ბრიტანეთი; ამერიკის შეერთებული შტატები
---	--	---

93 СУЛТАНОВ Чапай. „Последний удар Империи Баку, 20 января 1990 г.“, БAKY – 2004, стр. 25, [https://library.virtualkarabakh.az/
uploaded_files/pdf/a23d3457c492-16.pdf](https://library.virtualkarabakh.az/uploaded_files/pdf/a23d3457c492-16.pdf)

94 DE WAAL THOMAS, „BLACK GARDEN Armenia and Azerbaijan through Peace and War“, NEW YORK UNIVERSITY PRESS New York and London © 2003 by New York University All rights reserved Pg.260, <https://library.asue.am/open/1876.pdf>

4	სამიზნე სახელმწიფოს (აზერბაიჯანი, სომხეთი) ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების შესწავლა, ფსიქოლოგიური პორტრეტის შედგენა	საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებს, აგენტურული შეღწევადობით, საილუმო კვლევებით ჩატარებით გააჩნდათ ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების შესწავლის საშუალება, მსგავსად საბჭოთა აზერბაიჯანის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა, რადგან საბჭოთა პერიოდში სადავო ტერიტორია აზერბაიჯანის კონტროლქვეშ იყო. ოპერატიული მონაცემების გარდა, 1987 წლისათვის საბჭოთა ცენტრს ჰქონდა ოფიციალური ინფორმაციები ოლქის სტატუსის შეცვლის, ერევანში სტუდენტური მოძრაობის, მთიან ყარაბაღში თნიკური სომხების უკმაყოფილებების ზრდის შესახებ	რუსეთის ფედერაცია
5	სამიზნე სახელმწიფოში (სომხეთი, აზერბაიჯანი) არსებული რეჟიმის შესახებ ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა	საბჭოთა აზერბაიჯანსა და საბჭოთა სომხეთში არსებული სახელისუფლებო, დისიდენტური მოძრაობების განწყობების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია გააჩნდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს. 1989 წლისათვის კრემლმა იცოდა სომხეთის ხელისუფლების განწყობა და მხარი დაუჭირა მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანის იუსტიციის დეპარტამენტში დაბრუნებას. საბჭოთა სპეცსამსახურების კონტროლს დაქვემდებარებული სომხური პრესა აზერბაიჯანის ხელისუფლების წინააღმდეგ („აზერბაიჯანის სსრ რეგიონის ეკონომიკური ჩამორჩენილობას, სომხური მოსახლეობის შემცირებას უზრუნველყოფს“) პროპაგანდას ეწევა, რაც პრესაქტივებში ტერიტორიული მთლიანობის ძალადობრივი რღვევის ხელშეწყობისთვის სადაზვერვო ქმედებების ნიშნებს შეიცავდა.	რუსეთის ფედერაცია

6	სამიზნე სახელმწიფოში პოლიტიკური, ფინანსური, სამხედრო, სამეცნიერო, კრიმინალური ვითარებისა და ელიტის ირგვლივ ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა	საბჭოთა კავშირის პირობებში კრემლის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო კავშირები კრემლის მიერ ელიტის კონტროლის განხორციელების შესაძლებლობებს იძლეოდა.	რუსეთის ფედერაცია
7	სამიზნე სახელმწიფოთა სპეცსამსახურებში, თავდაცვის სხვა სახელმწიფო უწყებებში არსებული ვითარების შესახებ ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა	საბჭოთა კავშირის კონტრსადაზვერვო აგენტურული შედეგადობა, საბჭოთა კავშირის შვიარადებული ძალებში ნამსახურებოფიცერთა სიმრავლე (გამორჩეული პრორუსული განწყობების სიჭარბით), საბჭოთა კავშირის სამხედრო კონტრდაზვერვის მიერ გადახირებულ ყოფილი და მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების სიჭარბე.	რუსეთის ფედერაცია

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკანონმდებლო გადაწყვეტილებები სადავო ტერიტორიის შესახებ, ქვეყანას საომარი მოქმედებებისაკენ უბიძგებდა. 1989 წლის 1 დეკემბერს საბჭოთა სომხეთის ხელისუფლებამ მიიღო აქტი ყარაბაღის სომხეთთან შეერთების შესახებ. საბჭოთა აზერბაიჯანის ხელისუფლებამ 1990 წლის 27 აგვისტოს გააუქმა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი. სავარაუდოდ, ასეთი გადაწყვეტილებები უკავშირდებოდა საბჭოთა სპეცსამსახურების გეგმის აღსრულებას. ამრიგად, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული კონფლიქტის გაჩაღება განაპირობეს შიდა და საგარეო ფაქტორებმა. დაპირისპირება წახალისებული იქნა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ მას შემდეგ, რაც, საიდუმლო ანალიტიკური მონაცემებით, ნათელი გახდა საბჭოთა კავშირის რღვევის გარდაუვალი პროცესი. პოსტსაბჭოთა სივრცეს ძირითადად რუსული სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ.

კონფლიქტის და საომარი მოქმედებების ინსპირირება გამოიწვია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ავტონომიურ ერთეულში, მემოხელი სახელმწიფოს სომხეთის მონათესავე, ეთნიკურმა სომხურმა მოსახლეობამ, რომელიც კომპაქტურად იყო დასახლებული და სპეცსამსახურებმა მათ დაქვემდებარებაში მყოფი მასმედიის საშუალებით. წარმოიქმნა უსაფრთხოების დილემა. მსგავსი ქმედებები დაფიქსირდა 1918-1921 წლებში, როდესაც სომხეთი და აზერბაიჯანი დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყვნენ. ელიტებმა მართეს ძალადობა. მოცემული დროისათვის კონფლიქტები და საბრძოლო მოქმედებები სადაზვერვო საქმიანობის გააქტიურების პერსპექტივას იმსახურებს.

თავი XIII

ბალტიისპირეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების თავისებურებანი

ეროვნული უსაფრთხოების დაცვის პროცესში უმნიშვნელოვანესია ნებისმიერმა სახელმწიფომ შეიმუშაოს საგარეო პოლიტიკის დოქტრინა და ჩამოაყალიბოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომლის მიხედვითაც იგი იმოქმედებს, როგორც შიდა, ისე საგარეო ასპარეზზე, საკუთარი სტრატეგიული ინტერესების გასატარებლად. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის განსაზღვრა წარმოადგენს.

ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტი ეფუძნება როგორც ღია, ისე დახურულ წყაროებში არსებული მონაცემების სიღრმისეულ ანალიზსა და სამეცნიერო დასკვნებს. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას გააჩნია საიდუმლო ნაწილი, რომელიც ღია წყაროებში არ ქვეყნდება. ამ ნაწილში კონცეფციის შემუშავება ემყარება როგორც ღია, ისე საიდუმლო ხასიათის ანალიტიკურ ინფორმაციებს. შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნული პროცესის დაცვის უზრუნველსაყოფად საიდუმლო რეჟიმის არსებობა.

საიდუმლოების რეჟიმის დანიშნულებაა დაიცვას კონცეფციაზე მომუშავე ჯგუფი უცხო ქვეყნების სადაზვერვო შეღწევადობისგან, რადგან ინფორმაციის გაჟონვამ შეიძლება დააზიანოს ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოება. ამავდროულად, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფის სანდოობასა და პროფესიონალიზმს.

სახელმწიფოთა უმრავლესობა მსგავსი ტიპის დოკუმენტებს ავრცელებს ღია წყაროებში. ისინი ზოგადი ხასიათისაა და საკმაოდ დაბალია მათი გამოყენების ალბათობა უცხო სახელმწიფოს მიერ. აღნიშნული ტიპის დოკუმენტს შესაძლოა სადაზვერვო ხასიათის პროპაგანდის დანიშნულებაც გააჩნდეს.

უცხო ქვეყნების პოლიტიკის შესწავლა, მათი მიზნებისა და ბრახვების სწორი ანალიზითაა შესაძლებელი, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღია და დახურული ხასიათის სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციებს ემყარება. მათ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური დანიშნულებაც გააჩნიათ. ეს და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები განაპირობებენ საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოთა სტრატეგიული ინტერესების წარმატებით განხორციელებას. ამის მიღწევა უცხო ქვეყნებთან სადაზვერვო კოორდინაციის გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელია. მნიშვნელოვანია განვიხილოთ ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, რომლებსაც ურთიერთსასარგებლო და ერთი მიზნის ირგვლივ გაერთიანებულ სახელმწიფოთა სამეული (ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი) შეიძლება ვუწოდოთ.

ბალტიისპირეთის ქვეყნების გეოგრაფიული არეალი, ისტორია, კულტურა, საერთო მიზნები და ამოცანები განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდებიან.

მე-20 საუკუნის მიწურულს საბჭოთა კავშირის დაშლას ლიეტუვას, ლატვიის და ესტონეთის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვა.

1991 წლის შუა პერიოდიდან ბალტიის ქვეყნები უკვე მოქმედებდნენ, როგორც სრულად დამოუკიდებელი სახელმწიფოები. საერთაშორისო ასპარეზზე მათი დამოუკიდებლობის დე იურედ აღიარება ჭიანურდებოდა. ეს მოვლენა დააჩქარა 1991 წლის აგვისტოს მოსკოვის პუტჩმა.

სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფ მნიშვნელოვან კონტრსადაზმვერვო ზომად უნდა ჩაითვალოს ბალტიის ქვეყნებში მოქალაქეობის განმსაზღვრელი ახალი კანონის მიღება, რომლის მიხედვითაც, 1940 წლამდე (საბჭოთა ოკუპაციამდე) ამ რესპუბლიკების მოქალაქეობის მქონე ყველა პირს აღუდგა მოქალაქეობის უფლება.

ბალტიის ქვეყნებმა აირჩიეს დასავლეთთან, უპირველეს ყოვლისა კი, ევროგაერთიანებასთან მაქსიმალური და უსწრაფესი ინტეგრაციის გზა. 1990-იან წლებში მათ შეიტანეს განაცხადები ნატოში და ევროგაერთიანებაში გაწევრიანების თაობაზე. რუსეთის ფედერაციისთვის კი მიუღებელი იყო აღნიშნულ ქვეყნებში განვითარებული მოვლენები, ხელისუფლებათა სტრატეგიები, რომლებმაც ასახვა ამ სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციებში ჰპოვა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ უნდა განესაზღვრათ უსაფრთხოების პოლიტიკა და თავდაცვის შესაძლებლობები. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა განიხილეს უსაფრთხოების პოლიტიკის სამი მიმართულება:

- „ნეიტრალიტეტი ან მიუკერძოებელი სტატუსი;
- სამხრეთი ალიანსი (სკანდინავიის სახელმწიფოებთან მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობით);
- ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ სწრაფვა.“⁹⁵

პირველი ორი ვარიანტი განიხილებოდა როგორც დროებითი ალტერნატივა უსაფრთხოების გარანტიებისა, რადგან იმ დროს ბალტიისპირეთის ქვეყნებში 1994 წლამდე დისლოცირებული იყო რუსული ჯარი, რაც არსებული

95 Miniotaitė G, 'Lithuania's Evolving Security and Defence Policy: Problems and Prospects', in R. Lopata, J. Novagrockienė, G. Vitkus (ed.), Lithuanian Annual Strategic Review 2006, Military Academy of Lithuania 2007, p. 179

კონსტიტუციური წყობის და ხელისუფლების ძალადობრივი დამხობისათვის ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა. გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებდა რუსეთის პოზიცია ნატოს გაფართოების შესახებ, რაც რუსეთის სადაზვერვო სამსახურების გააქტიურების მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, ასევე ნატოსთან მიმართებით. შესაბამისად, ღია წყაროში არსებული ინფორმაციის ანალიზით⁹⁶, ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი რუსეთს თავიანთი სუვერენიტეტისა და ეროვნული იდენტობის საფრთხედ მიიჩნევდნენ. ეს უკანასკნელი კი მაქსიმალურად ცდილობდა ხელი შეეშალა ბალტიის ქვეყნების დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესისთვის (ძალით მუქარის, ძალის გამოყენების ელემენტებს, ამ მიზნით ინსპირირებულ პროვოკაციებს, ეკონომიკურ ბეწოლას და სადაზვერვო პროპაგანდას ბალტიისპირეთში „რუსულენოვანი“ უმცირესობების უფლებების დარღვევის შესახებ საბაბით).⁹⁷ ამ პროცესებში ბალტიისპირეთის სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვანი გახდა ნატოს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ გაწევრიანება და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებების ხელმოწერა. ამ პროცესმა რუსეთთან ურთიერთობები კიდევ უფრო გაამწვავა

აღნიშნულ სახელმწიფოებში კონსტიტუციური წყობისა და კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის აღბათობას ზრდიდა ის გარემოება, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს არ გააჩნდათ საკუთარი შეიარაღებული ძალები, რომელთა შექმნაც დაიწყო 1990-1991 წლებში. ამ წარმატებული ნაბიჯის ფონზე

96 Kozakiewicz J., 'Polityka bezpieczeństwa państw bałtyckich' [Security policy of the Baltic states], Instytut Studiów Strategicznych, Kraków 2003, p. 105-247

97 The Russians sought to have the withdrawal of their troops from the Baltic states linked with the question of respecting the rights of the Russian-speaking minorities in Latvia and Estonia

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესების განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მხრიდან ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციების შედგენა და განხორციელება. განვიხილოთ თითოეული სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შექმნისა და განვითარების პროცესები.

ლიეტუვაში ეროვნული უსაფრთხოების დონეზე გამოიყო სამი ძირითადი მიმართულება, რომელსაც პოტენციურად შეეძლო ყველაზე მეტად დამაზიანებელი ეფექტი ჰქონოდა სახელმწიფოზე. ესენია:

- საფრთხეები, რომლებიც განპირობებული იყო გეოპოლიტიკური მოცემულობიდან;
- პოლიტიკური გავლენა რუსეთის მხრიდან;
- ორგანიზებული დანაშაულის ზრდა.

ამავდროულად ლიტვის პოლიტიკურმა ელიტამ თითქმის ერთხმად დაუჭირა მხარი დასავლურ პოლიტიკურ და სამხედრო სტრუქტურებთან ინტეგრაციას. ეს არჩევანი აისახა 1992 წლის 8 ივნისის საკონსტიტუციო აქტში⁹⁸ „ლიტვის რესპუბლიკის შესახებ, რომელიც უარს ამბობდა პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ სტრუქტურებთან შეთანხმებებზე“.

1990 წლის 11 მარტს ლიტვის სოციალისტური რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაიწყო მომავალი სუვერენული სახელმწიფოს ახალი სტრუქტურების შექმნა. ერთ-ერთი პირველი იყო თავდაცვის სამინისტრო, რომელიც დაარსდა 1990 წლის აპრილში. შემდეგი ნაბიჯი მნიშვნელოვანი დოკუმენტების, დოქტრინების შექმნა გახდა, რაც სახელმწიფო აპარატის სამომავლო საქმიანობის დოქტრინულ საფუძველს წარმოადგენდა. ასეთი დოკუმენტის

98 CONSTITUTION OF THE REPUBLIC OF LITHUANIA – 20 March 2003, No. IX-1379, <https://e-seimas.lrs.lt/portal/legalActPrint/lt?jfwid=rivwzvpng&documentId=TAIS.211295&category=TAD>

კატეგორიაში გადიოდა „ლიტვის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მონახაზი“.⁹⁹ ეს იყო ნახევრად ლეგალური დოკუმენტი, რომელიც განკუთვნილი იყო ლიტვის პოლიტიკური ელიტის მცირე ჯგუფისთვის და, რომელიც უკვე 1990 წლის ოქტომბრისათვის იყო ხელმისაწვდომი. დოკუმენტის ავტორებმა ლიეტუვას უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების საფუძვლად მიიჩნიეს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, რომელიც გეოპოლიტიკური ვითარების და ისტორიული წარსულის კონტექსტში შორსმჭვრეტელ მიდგომას წარმოადგენდა, დღევანდელი გადასახედიდან კი გულუბრყვილობად ჩანს. პოლიტიკური ელიტა სწრაფად მიხვდა, რომ მოსკოვს არ სურდა რეგიონში გავლენის დათმობა, რაც დაადასტურა რუსეთის ფედერაციის სპეცდანიშნულების რაზმების - OMON-ის ნაწილების მხრიდან მოწყობილმა არაერთმა შეტევა-პროვოკაციამ. ერთ-ერთ ასეთ პროვოკაციას წარმოადგენდა 1991 წლის 31 ივლისს შვიდი ლიტველი მესაზღვრის სიკვდილით დასჯა. მოსკოვის მიერ გადადგმული სასტიკი ნაბიჯების საპასუხოდ, ვილნიუსის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ 1992-1993 წლების მიჯნაზე შემუშავებულ იქნა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის კიდევ ერთი პროექტი, რომელშიც ყურადღება მახვილდებოდა გარე საფრთხეებზე, ეროვნული იდენტობის პრობლემებზე. პრაქტიკულად, სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო აქტივობებისთვის ლიეტუვა აქტიურად იყენებდა სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების სეგმენტს. დოკუმენტის ანალიზი აჩვენებს, რომ გარე საფრთხეებიდან შესაძლოა წარმოქმნილიყო:

- პოლიტიკური დაძაბულობა ორმხრივ ურთიერთობებში;

99 Piotrowski Sławomir - Security policy of the Baltic states and its determining factors. 05/2018. გვ. 16. <https://securityanddefence.pl/Security-policy-of-the-Baltic-states-and-its-determining-factors,103315,0,2.html#>

- ლიეტუვის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების განლაგებით წარმოქმნილი დაძაბულობა;
- ლიეტუვის ეკონომიკური და პოლიტიკური დამორჩილების მცდელობები;
- დაძაბულობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან (მათ შორის საერთო თავდაცვითი სივრცის დაწესებაზე უარის თქმის შემთხვევაში);
- პროვოცირებული ეკოლოგიური საფრთხეები;
- სოციალური პათოლოგიების ორგანიზება;
- „ტვინების გადინების“ პროცესი.

პრაქტიკულად, ლიეტუვას სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო უწყებებს გააჩნდათ მნიშველოვანი სამოქმედო მიმართულებები.

1996 წელს ლიეტუვას პარლამენტმა მიიღო ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფცია¹⁰⁰ სახელწოდებით „**ლიტვის** ეროვნული უსაფრთხოების დაშვებების შესახებ აქტი“. მისი მთავარი გზავნილი იყო დემოკრატიის განვითარება და გაძლიერება, ერისა და სახელმწიფოს უსაფრთხო არსებობის უზრუნველყოფა. აღნიშნულ კონცეფციაში ნახსენებ მნიშვნელოვან გარე საფრთხეებს წარმოადგენდა:

- პოლიტიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით: პოლიტიკური ზეწოლა და კარნახი; არასტაბილურობა, რომელიც ხელს უშლის ლიეტუვას საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიების მოპოვებაში; უცხო ქვეყნების მხრიდან, მათი ინტერესების დაცვის საბაბით, ძალის გამოყენების მუქარა; ლიეტუვასთვის დისკრიმინაციული საერთაშორისო შეთანხმებების

100 Piotrowski Sławomir - Security policy of the Baltic states and its determining factors, 5/2018 vol. 22, <https://securityanddefence.pl/Security-policy-of-the-Baltic-states-and-its-determining-factors,103315,0,2.html>

დანესების მცდელობები;

- სამხედრო უსაფრთხოების თვალსაზრისით: შეიარაღებული აგრესია; სამხედრო ტრანზიტი ლიეტუვის გავლით; შეიარაღებული ბანდების შეღწევა ლიეტუვას ტერიტორიაზე;
- უსაფრთხოების სხვა მიმართულებების თვალსაზრისით: არალეგალური იმიგრაცია; სატრანზიტო მიგრაცია; ლტოლვილთა შემოღინება; ლიეტუვაში ორმაგი მოქალაქეობის დანესების მცდელობა;
- ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით: ეკონომიკური ზეწოლა; ბლოკადა ან სხვა მტრული ეკონომიკური საქმიანობა; კაპიტალის ინვესტიცია პოლიტიკური მიზნებით.

ლიეტუვას ევრო და ჩრდილო-ატლანტიკურ ორგანიზაციებში ინტეგრაციის შემდეგ, ეროვნული თავდაცვის საბჭომ 2016 წლის 14 მარტს, ხოლო ლიეტუვას პარლამენტმა 2017 წლის 17 იანვარს მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ასახავდა საფრთხეებს და რისკ-ფაქტორებს. ეს დოკუმენტი მოიცავდა:

- ჩვეულებრივ სამხედრო საფრთხეებს, რუსეთის ფედერაციის მზადყოფნისა და გადანაცვეტილების გამო გამოეყენებინა თავისი ძალები მიზნების მისაღწევად;
- რუსეთის სამხედრო შესაძლებლობების განხორციელებას და განვითარებას ლიეტუვას სამეზობლოში;
- რუსული სამხედრო ძალების დემონსტრირებას ლიეტუვასა და ნატოს სხვა წევრი ქვეყნების საზღვრებზე;
- გლობალური და რეგიონული არასტაბილურობის ორგანიზების საფრთხეებს;
- ტერორიზმის, ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის საფრთხეებს;

- საინფორმაციო საფრთხეებს;
- კიბერ-საფრთხეებს;
- ეკონომიკურ და ენერგეტიკულ რისკებს;
- ეკონომიკური დამოკიდებულების საფრთხეს;
- ლიეტუვას საზღვრებთან სახიფათო ბირთვული ტექნოლოგიების განვითარების საფრთხეს.

ამ დოკუმენტით მკაფიოდ ჩანს მითითება რუსეთზე, როგორც ფაქტორზე, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნიდა ლიეტუვას, რეგიონის უსაფრთხოებას და პოლიტიკურ სტაბილურობას.

2016 წელს შემუშავებული სტრატეგია ამ ტიპის მეოთხე დოკუმენტი იყო სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. ლიეტუვას რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტები და სტრატეგიული გრძელვადიანი ამოცანები ასე გამოიყურებოდა:

- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება;
- ნატოს კოლექტიური თავდაცვის გაძლიერება;
- კრიზისების მართვისა და პარტნიორობის გაძლიერება ნატოსთან ურთიერთობის ფარგლებში;
- ევროკავშირის შიგნით სოლიდარობისა და ერთიანობის პროგრესი.

რაც შეეხება ლატვიას, ხელისუფლების შემდგომი ქმედებების განმსაზღვრელ მთავარ საყრდენ პუნქტად გათვალისწინებული იქნა ეთნიკური ფაქტორი. მოსკოვის მიერ ათწლეულების განმავლობაში ლატვიის ინტენსიური რუსიფიკაციის პოლიტიკის შედეგად, 1989 წელს მკვიდრი ლატვიელები შეადგენდნენ ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 52%-ს, ხოლო რუსები - 33%-ს. ლატვიაში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ უმცირესობებს შორის იყვნენ ბელორუსები (4,5%), უკრაინელები (3,5%), პოლონელები (2,3%) და ლიეტუველები (1,3%).

იმდროინდელი დემოგრაფიული პროგნოზები მიუთითებდნენ, რომ ლატვიელები შესაძლოა უმცირესობად ქცეულიყვნენ საკუთარ ქვეყანაში. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ დამოუკიდებლობის პირველ წლებში ლატვიის ხელისუფლებამ ეს საფრთხე განსაკუთრებულად გამოყო, რის შედეგად ლატვიის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა დაეფუძნა ნაციონალისტურ საფუძვლებს.

1995 წელს პარლამენტმა მიიღო „ლატვიის რესპუბლიკის უსაფრთხოების კონცეფცია.“ მანამდე აღნიშნული ტიპის დოკუმენტი სახელმწიფოს არ მოეპოვებოდა. დოკუმენტის დებულებათა ანალიზით, შეგვიძლია დავასკვნათ რომ, ლიეტუვისგან განსხვავებით, ლატვიაში ნეიტრალიტეტის გზა უგულვებელყოფილ იქნა და საწყის ეტაპზევე თვალსაჩინო იყო ქვეყნის სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირისკენ.

2012 წლის კონცეფციაში კარდინალური ცვლილებები არ ასახულა, თუმცა იგი თანამედროვე ისეთ ტენდენციებსა და გამოწვევებზე იყო ორიენტირებული, როგორიცაა: ბირთვული იარაღის გავრცელება; ტერორიზმი; რადიკალური ექსტრემიზმი და მეკობრეობა ზღვაზე; კიბერტერორიზმი.

2016-2020 წლების ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია დამტკიცდა 2015 წლის ნოემბერში და ლატვიის პარლამენტმა მიიღო იქნა 2016 წლის 16 ივნისს. დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებდა რუსეთის მხრიდან მზარდ საფრთხეზე, ნატოს კოლექტიური თავდაცვისა და მისი ლატვიაში ყოფნის გაძლიერებაზე. მთავარ მოკავშირეებთან სამხედრო თანამშრომლობის შემდგომი სტრატეგია განსაზღვრავს რვა მთავარ საფრთხეს.

- გარე საფრთხეები;
- უცხო ქვეყნების დაზვერვა და სპეცსამსახურები;
- სამხედრო საფრთხეები;

- სოციალური საფრთხეები;
- ინფორმაციული საფრთხეები;
- ეკონომიკური გამოწვევები;
- საერთაშორისო ტერორიზმი;
- კიბერტერორიზმი.

ლატვიის მსგავსად, ესტონეთშიც არახელსაყრელი ეთნიკური მდგომარეობა და ემიგრაციული პროცესები იყო. უსაფრთხოების პირველ კონცეფციას, სხვა გეოპოლიტიკურ გამოწვევებთან ერთად, საფუძვლად დაედო აღნიშნული საკითხიც, რომელიც გულისხმობდა შემდეგ ძირითად პუნქტებს:

- რუსული იმპერიალიზმის აღორძინება;
- რუსული ტოტალიტარული სახელმწიფოს აღდგენის შესაძლებლობა;
- ესტონეთში შიდა კონფლიქტების წამოწყება მოვლენების მიმდინარეობაზე გავლენის მიზნით;
- რუსეთში ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების კოლაფსის შესაძლებლობა;
- დივერსიული საქმიანობა;
- რუსულენოვანი უმცირესობით მანიპულირება.

ესტონეთის 2001 წლის უსაფრთხოების კონცეფციაში ძირითადი მიზნები და ამოცანები არ იცვლება, მაგრამ ემატება ეკონომიკური განზომილებაც, რომელიც გულისხმობდა:

- გლობალურ რეცესიას;
- ენერგორესურსებით ერთ დონორზე (გაზი, ნავთობი) დამოკიდებულებას;
- რუსულ ტრანზიტს;
- დამოკიდებულებას რუსეთის ენერგობაზარზე.

ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში, 2010 წლის მაისში ესტონეთის პარლამენტმა მიიღო კიდევ ერთი „ეროვნული უსაფრთხოების

კონცეფცია“ და მის საფუძველზე მთავრობამ დაამტკიცა ესტონეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია. დოკუმენტის ანალიზით ვასკვნიტ, რომ ესტონეთისთვის პოტენციური რისკები მოდიოდა ჰიბრიდულ გამოწვევებსა და შერეულ რისკებზე, ასევე შიდა და გარე ფაქტორებზე. დოკუმენტის ავტორები მიიჩნევენ, რომ ეროვნული თავდაცვა აღარ შეიძლებოდა შემოფარგლულიყო მხოლოდ სამხედრო თავდაცვით. ისინი აცხადებდნენ, რომ მხოლოდ თავდაცვის მიმართ ყოვლისმომცველ მიდგომას შეუძლია ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2011 წლის ეროვნული თავდაცვის სტრატეგია ითვალისწინებდა, რომ ესტონეთის ყველა ძირითადი სახელმწიფო სტრუქტურა მიიღებდა მონაწილეობას ეროვნული თავდაცვის უზრუნველყოფაში. ესტონეთის თავდაცვის პოლიტიკის მთავარი პრინციპი იყო საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოკავშირეების მხარდაჭერით. დოკუმენტი ასევე მიუთითებდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კრიზისების მართვისა და მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციებში აქტიური ჩართვის აუცილებლობაზე.

2004 წლის მარტში ბალტიის ქვეყნები განეწირიანდნენ ნატოში, ხოლო იმავე წლის 1 მაისს გახდნენ ევროგაერთიანების წევრები - უფრო ადრე, ვიდრე, მაგალითად, ბულგარეთი და რუმინეთი, რომლებიც სოციალისტური ბანაკის დამოუკიდებელ ქვეყნებს წარმოადგენდნენ.

ნატოში მოქმედი დოქტრინის შესაბამისად, ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი ჩაერთვნენ ამ ორგანიზაციის საერთაშორისო მისიებში. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან ისინი მონაწილეობდნენ გაეროს რამდენიმე ოპერაციაშიც ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში, დანიის კონტიგენტის შემადგენლობაში.

ეს კი იმის მაჩვენებელი იყო, რომ ბალტიისპირეთის სახელმწიფოები საერთაშორისო არენაზე საკუთარი პოზიციის გასამყარებლად სადაზვერვო კოორდინაციასაც ახორციელებდნენ.

ესტონეთის საგარეო დაზვერვის სამსახური 1992 წელს ჩამოყალიბდა¹⁰¹, იგი პირდაპირ ექვემდებარებოდა ესტონეთის თავდაცვის სამინისტროს. სამსახური კოორდინაციას უწევდა ესტონეთის შინაგანი უსაფრთხოების სამსახურს, ესტონეთის თავდაცვის ძალებს, უსაფრთხოების პოლიციის საბჭოს, საგარეო უსაფრთხოების სააგენტოებს და ყველა სხვა სამთავრობო უწყებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი (VSD) ჯერ კიდევ 1918 წლის 27 ოქტომბერს ჩამოყალიბდა და საბჭოთა კავშირის მიერ ლიეტუვას ოკუპაციამდე, 1940 წლამდე ფუნქციონირებდა. დეპარტამენტის უფლება-მოვალეობები 1990 წლის 26 მარტს აღდგა. დეპარტამენტი პასუხისმგებელი იყო აგრეთვე კანონის აღსრულების გარკვეულ მიმართულებებზე: სახელმწიფო მოხელეებისა და სტრატეგიული ობიექტების დაცვაზე, სახელმწიფო საკომუნიკაციო ქსელის მთლიანობის უზრუნველყოფასა და პოლიტიკური კორუფციის გამოძიებაზე. შემდგომ სხვა უწყებებმა აიღეს ეს დამატებითი მოვალეობები. 2010 წლიდან VSD-ის დეპარტამენტის მისია განისაზღვრა დაზვერვით და კონტრდაზვერვით. რაც შეეხება VDD-ს, მის ფუნქციებში შედის ლატვიის კონტრდაზვერვის უზრუნველყოფის ფარგლებში სახელმწიფო საიდუმლოების, კონსტიტუციური წესრიგის დაცვა, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კონტრტერორისტული ღონისძიებების კოორდინაცია.

1991 წელს ლატვიის დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დაიწყო სახელმწიფო უსაფრთხოების ახალი სისტემის

101 republic of estonia - ministry of defence. p.1. www.kaitseministeerium.ee/en

ჩამოყალიბება. მისი მთავარი მიზანი იყო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურებში თანამედროვე პრინციპების დანერგვა.

1991 წლის ნოემბერში შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო დეპარტამენტი, რომელიც საგარეო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ამოცანებს ასრულებდა. 1993 წლის თებერვალში საინფორმაციო დეპარტამენტი შეუერთდა მთავრობის დაცვის სამსახურს და შეიქმნა ეროვნული ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვის დეპარტამენტი. მას დაევალა საგარეო დაზვერვა, კონტრდაზვერვა, ტერორიზმისა და სხვა მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა.

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო აქტივობებისა და კოორდინაციის შედეგად, ბალტიისპირეთის არც ერთი სახელმწიფო, დამოუკიდებლობის მიღების დღიდან, არ განეწიანებულა რუსეთის ფედერაციის გავლენის ქვეშ არსებულ რეგიონალურ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში (დსთ, კუხო, შთო, ევრაზიული ეკონომიკური კავშირი და სხვ.) ეროვნული უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი ზეგავლენის აღკვეთის/რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა მიიღეს ლუსტრაციის კანონი.

1990-1991 წლებში საბჭოთა სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტმა დაიწყო ბალტიისპირეთის ქვეყნებში მათი არქივების თანდათანობითი ევაკუაცია და განადგურება. თუმცა, ბალტიისპირეთის დამოუკიდებლობის სწრაფმა საერთაშორისო აღიარებამ, 1991 წლის აგვისტოს წარუმატებელი საბჭოთა გადატრიალების შემდეგ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი ჩიხში შეიყვანა. სანამ სუკ-ის ოფიცრები ვილნიუსსა და ტალინში დარჩენილი დოკუმენტების დაწვას ჩქარობდნენ, ლატვიის ხელისუფლებამ მოახერხა საბჭოთა აგენტურული აპარატის შესახებ დაახლოებით 4500 ბარათის მოპოვება.

მათ ასევე აღმოაჩინეს 53 ერთეული ჟურნალი,¹⁰² რომლებშიც დოკუმენტირებული იყო თითოეული ბარათის შექმნის ისტორია. და ნაწილობრივ განადგურებული ელექტრონულ მონაცემთა ბაზა „დელტა“. როგორც ევა-კლარიტა და ველო პეტაი¹⁰³ აღნიშნავდნენ, ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან მხოლოდ ლატვიას ჰქონდა მასალების რეალური ნაკრები, რომელიც ლუსტრაციის პროცესის ნაწილად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ლატვიის მიერ მიღებული ლუსტრაციის კანონი ეფექტური მექანიზმი იყო საარჩევნო კანდიდატების, მაღალი რანგის საჯარო მოხელეების და სამხედრო პერსონალის შესამოწმებლად მათი სუკ-თან კავშირის თვალსაზრისით. 1990-იანი წლების შუა ხანებში ლატვიამ მიიღო ბევრი კანონი, რომლებიც უკრძალავდა ყოფილ სუკ-ის აგენტებს და საბჭოთა ორგანოებთან დაკავშირებულ პირებს ეროვნულ არჩევნებში მონაწილეობას და სახელმწიფო საიდუმლოებაზე წვდომას.

რაც შეეხება ესტონეთს, ლუსტრაცია განხორციელდა ძირითადად „მოქალაქეობის შესახებ კანონისა და ადგილობრივი საარჩევნო კანონის“¹⁰⁴ მეშვეობით. მოქალაქეობის შესახებ კანონი, რომელიც ამოქმედდა 1992 წლის თებერვალში, 1938 წელს მიღებული ამავე კანონის განახლებული ვარიანტი იყო. აღნიშნული კანონის თანახმად, მოქალაქეს, რომელიც 1940 წლის შემდეგ ან მანამდე დაიბადა, „მემკვიდრეობით“ მიეკუთვნა ესტონეთის მოქალაქეობა. ამასთანავე, არ ჰქონდა მნიშვნელობა ის ეთნიკურად ესტონელი იყო თუ არა. მაცხოვრებლების ნატურალიზაციის მიზნით, კანონი ითვალისწინებდა ესტონური ენის ცოდნას და ორწლიან ბინადრობას, ერთწლიანი ლოდინის

102 Bergmane Una - the fate of former KGB Agents in Latvia. March 19, 2018. p.1. fpri.org/article/2018/03/the-fate-of-former-kgb-agents-in-latvia/

103 Bergmane U. The Fate of Former KGB Agents in Latvia, 19.03.2018, p.1, fpri.org/article/2018/03/the-fate-of-former-kgb-agents-in-latvia/

104 U.S. DEPARTMENT OF STATE, ESTONIAN COUNTRY REPORT ON HUMAN RIGHTS PRACTICES FOR 1996, at 931 (Jan. 30, 1997)

პერიოდს.

1995 წლის იანვარში პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა „მოქალაქეობის შესახებ კანონში“, ¹⁰⁵ რომელიც ითვალისწინებდა, 1990 წლის 1 ივლისამდე ლეგალურად მცხოვრები პირების გათავისუფლებას რეზიდენტობისა და ლოდინის პერიოდის მოთხოვნებისგან. ასევე, ახალი კანონი მთავრობას უფლებას აძლევდა და აძლევს, შერჩევითი პრინციპით უარი ეთქვა იმ პირისთვის მოქალაქეობის მინიჭებაზე, თუ ის ქვეყნის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა ან არღვევდა კონსტიტუციის ჩარჩოებს.

1997 წლის 9 მაისისთვის მთავრობამ ოფიციალურ ჟურნალში Riigi Teataja-ში ¹⁰⁶ გამოაქვეყნა ყოფილი სუკი-ს ინფორმატორების ორი სია, რომელსაც სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო ორგანიზების პროცესისათვის მნიშვნელოვანი პრევენციული ხასიათი ჰქონდა. 1996 წლის 18 ივნისის მდგომარეობით, ორმოცდაერთ პირს უარი ეთქვა ბინადრობასა და მუშაობაზე, რადგან ისინი იყვნენ ნასამართლევი ან იყვნენ სუკ-ის ყოფილი თანამშრომლები.

ლიეტუვაში 2000 წელს ძალაში შევიდა კანონი ლუსტრაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ადამიანებს, რომლებიც სუკ-თან თანამშრომლობდნენ, არ შეეძლოთ 10 წლის განმავლობაში დაეკავებინათ საჯარო თანამდებობა, ემუშავათ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ან ბანკებში. კანონი დღემდე ძალაშია. ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორის, დოქტორ პეტრას რაგაუსკას ცნობით ¹⁰⁷ დგინდება, რომ აღნიშნული კანონის საფუძველზე, 2001 წელს დაიწყო 2 საქმეზე

105 U.S. DEPARTMENT OF STATE, ESTONIAN COUNTRY REPORT ON HUMAN RIGHTS PRACTICES FOR 1996, at 931 (Jan. 30, 1997)

106 U.S. DEPARTMENT OF STATE, ESTONIAN COUNTRY REPORT ON HUMAN RIGHTS PRACTICES FOR 1996, at 931 (Jan. 30, 1997)

107 Dr. Ragauskas Petras - Lustration in Lithuania. p. 3

სასამართლო პროცესი, რომელიც 3 წელიწადს გაგრძელდა.

2005-2008 წლებში დასრულდა 136 ლუსტრაციის საქმე, 54 პირი აღიარებულ იქნა „საიდუმლო კოლაბორანტად,“ ხოლო 2009-2011 წლებში 326 სასამართლო საქმიდან 14-ს დაუდგინდა დანაშაული სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებაში.

თავი XIV

სენდრალური აზიის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და თავისებურებები

ყაზახეთი

გლობალური, რეგიონული და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის პროცესში, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება უსაფრთხო საერთაშორისო კავშირებს, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ორგანიზაციების წევრ სახელმწიფოებზე, როგორც უშუალო წევრობის პროცესში, ასევე მისი დატოვების შემდგომაც.

სადაზვერვო აქტივობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, მზვერავი სახელმწიფოს ინტერესის შესაბამისად, ობიექტი ქვეყნის ოპერატიულ ვითარებაზე დამაზიანებლად მოქმედ კავშირში იძულებით გაერთიანება. შესაბამისად, ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში აუცილებელია საფრთხის ნეიტრალიზაციის/ გემოქმედების რისკის მინიმუმამდე დასაყვანად პრევენციული ზომების მიღება.

პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ფაქტორები იმდენად მყარად იდგამს ფესვებს საზოგადოებათა ბუნებაში, რომ ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენა-შენარჩუნების პროცესში მნიშვნელოვანია სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის წარმართვა. მზვერავი სახელმწიფოს ძირითად მოვალეობებს წარმოადგენს საერთაშორისო ასპარეზზე:

1) საკუთარი ქვეყნის მიმართ დამაზიანებელი ორგანიზებული პროცესების შესახებ მოიპოვოს მნიშვნელოვანი ინფორმაციები და სათანადო ანალიზის შემდეგ მიაწოდოს ისინი საკუთარ ხელისუფლებას სათანადო რეაგირებისათვის;

2) მოიპოვოს ინფორმაციები საერთაშორისო არენაზე მიმდინარე პროცესების შესახებ, სათანადო ანალიზის შემდგომ მიაწოდოს ინფორმაციები საკუთარ ხელისუფლებას რეაგირებისთვის.

დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების მოვალეობას კი მზვერავი სახელმწიფოდან მომდინარე საფრთხეების დროული გამოვლენა, თავიდან აცილება და აღკვეთა წარმოადგენს.

სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების სეგმენტებზე მოპოვებული ინფორმაციები საშინაო და საგარეო ასპარეზზე პოლიტიკაში უსაფრთხო გადაწყვეტილებების საწინდარია.

უსაფრთხო სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ანალიზისათვის მნიშვნელოვან კვლევით მიმართულებას წარმოადგენს როგორც ღია წყაროებში გამოქვეყნებული უსაფრთხოების კონცეფციები, ისე შემლუდული სარგებლობის გრიფით დაცული ინფორმაციები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გასული საუკუნის მიწურულს საბჭოთა კავშირის დაშლისა და ახალი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისთვის განხორციელებული ქმედებები. მათ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს უსაფრთხოების კონცეფციები და პარამეტრები, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო აქტივობები.

ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ყაზახეთი, რომელიც ტერიტორიის ფართობით, მე-9, მოსახლეობით - 64-ე და ადამიანური განვითარების ინდექსით 56-ე ადგილზეა. იგი მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ აქტორს წარმოადგენს გლობალურ პოლიტიკაში, ხოლო რეგიონალურ დონეზე განსაკუთრებული ფუნქცია აქვს მეზობელი სახელმწიფოების

უსაფრთხოების თვალსაზრისით - წყალგამყოფი სახელმწიფოს რუსეთის ფედერაციასა და ცენტრალური აზიის ოთხ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს შორის. 1991 წლის 16 დეკემბერს ყაზახეთის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის შესახებ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იყო უკანასკნელი, რომელმაც გამოაცხადა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა.

მნიშვნელოვანია გავანალიზოთ ყაზახეთში რუსული ეთნიკური ჯგუფის ხვედრითი წილი საბჭოთა კავშირის დაშლამდე, რადგან სადაზვერვო სამსახურები მონათესავე ეთნიკური ჯგუფების გამოყენებას ცდილობენ საკუთარი ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ და ობიექტი ქვეყნის დასაზიანებლად.

1953–1965 წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, ნიკიტა ხრუშჩოვის ე.წ. ღვთისმშობლის მიწების¹⁰⁸ კამპანიის დროს ყაზახეთში განხორციელდა ეთნიკური რუსების დასახლება. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, საბჭოთა კავშირის ორგანიზებით, სხვადასხვა რესპუბლიკიდან ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში ნახშირის, გაზის და ნავთობის ფართო მოპოვების მოტივით ეთნიკური რუსების მასშტაბური მიგრაცია განხორციელდა. უკვე 1979 წლისთვის ყაზახეთში რუსები შეადგენდნენ დაახლოებით 5 500 000-ს, რაც მთლიანი მოსახლეობის თითქმის 40% იყო. 1989 წლის საბჭოთა აღწერის მიხედვით¹⁰⁹, ყაზახეთში მცხოვრები რუსების 66% უკვე ამავე სახელმწიფოში იყო დაბადებული, რაც საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო, ანუ

108 Peyrouse, Sébastien (May 2007). "Nationhood and the Minority Question in Central Asia. The Russians in Kazakhstan". *Europe-Asia Studies*. 59 (3): 488–493

109 Peyrouse, Sébastien (May 2007). "Nationhood and the Minority Question in Central Asia. The Russians in Kazakhstan". *Europe-Asia Studies*. 59 (3): 488–493

სხვა სახელმწიფოებში დაბადებული რუსების 37% ყაზახეთში ცხოვრობდა.

პროცესების ანალიზი აჩვენებს, რომ, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის სპეციალური სამსახურების ლაბორატორიებში შემუშავებული გეგმის მიხედვით, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აღნიშნულმა ეთნიკურმა ჯგუფმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ყაზახეთის რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობები. ამავდროულად უნდა აღვნიშნოთ იმ მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ყაზახეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან.

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში პირველი ანტისაბჭოთა საპროტესტო ტალღა 1986 წლის დეკემბერში აგორდა. ალმა-ატა იქცა დიდი დემონსტრაციების ადგილად. ყაზახი სტუდენტები აპროტესტებდნენ კომუნისტურ მმართველობას, მანიფესტაციის გადამწყვეტი ფაქტორი კი ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობიდან დინმუჰამედ კუნაევის ჩამოშორება გახდა. მის მაგივრად გენადი კოლობინი (რომელიც მანამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი იყო და საქართველოში ცენტრის მიერ მოვლენილ „პოლიტიკური ეგზარქოსს“ წარმოადგენდა) ეთნიკურად რუსი დაინიშნა, რომელსაც ყაზახეთთან არაფერი აკავშირებდა.

უნდა აღვნიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკის პირველ პირად არა ადგილობრივი, არამედ რუსი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი დაინიშნა. აღნიშნული ფაქტი საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ საბჭოთა სპეცსამსახურებს არ შეიძლება არ სცოდნოდათ მოსალოდნელი რეაქციების შესახებ. ამიტომ ეს ქმედება მიზანმიმართულ ნიშნებს შეიცავდა

დესტაბილიზაციის ინსპირირებისათვის.

საპროტესტო აქციის საპასუხოდ, მოსკოვმა შეიარაღებული ძალები გაგზავნა ყაზახეთში, რათა ძალადობრივი გზით გაენეიტრალებინა მდგომარეობა. ღია წყაროებში¹¹⁰ არსებული სხვადასხვა ინფორმაციის ანალიზით, მოსახლეობის მსხვერპლი 10-170 ადამიანამდე მერყეობდა, ხოლო დაჭრილი იყო 2000 მოქალაქე. ეს ფაქტი, ისტორიაში „ჟელტოქსანის“ სახელით შევიდა, რაც ყაზახურად დეკემბრის თვეს ნიშნავს. არსებითად ძალის გამოყენებამ ანტისაბჭოთა განწყობების მასშტაბები კიდევ უფრო გაზარდა, რაც უცხო ქვეყნების სადაზვერვო აქტივობებისთვის ხელსაყრელი გარემოება აღმოჩნდა.

1986 წლის საპროტესტო გამოსვლებმა გააძლიერა ნურსულთან ნაზარბაევის ავტორიტეტი, რომელიც ამ პერიოდისთვის ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებდა. ის 1990 წლიდან ყაზახეთის პირველი პრეზიდენტი გახდა. 2019 წლიდან კი მის ადგილი კასიმ-ჟომარტ ტოყაევმა დაიკავა.

ნურსულთან ნაზარბაევის მმართველობის პერიოდში ყაზახეთის დამოუკიდებლობა ეჭვქვეშ არ დამდგარა, არსებული ხელისუფლების დამხობისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის პრეცედენტი არ მომხდარა, რაც საშინაო და საგარო პოლიტიკის სწორ დაგეგმვაზე, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სტრუქტურების წარმატებულ კოორდინირებულ საქმიანობაზე მიუთითებს. ე.ი. იგი რუსეთის ფედერაციისთვის, დასავლეთისთვისაც სასურველი პრეზიდენტი იყო. სწორედ ნურსულთან ნაზარბაევმა წარადგინა ახალი პრეზიდენტი, რაზეც მიუთითებს, რომ ისიც მისაღები იყო რუსეთის ფედერაციისა და დასავლეთისათვის.

110 TYAN ALEXANDRA AND THOMPSON CAITLIN - An anti-Soviet protest in Kazakhstan haunts the country's current unrest. 7 JANUARY, 2022. P.1. <https://www.codastory.com/rewriting-history/protests-kazakhstan-2022-1986/>

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ყაზახეთის ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო ენის განვითარებაზე. ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო სახელმწიფოს ყაზახური ენისა და კულტურის პოპულარიზაცია და ყაზახი ხალხისათვის განმარტება, რომ ქვეყანა იყო ყაზახი ხალხის ერი-სახელმწიფო, რაც 1993 წელს ქვეყნის პირველ კონსტიტუციაში¹¹¹ აისახა. აღნიშნული დაფიქსირდა 1995 წლის მეორე კონსტიტუციაში. პრაქტიკულად არსებობდა ყაზახეთის სადამვერვო პროპაგანდის შედეგი, რომელიც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვან წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

1994 წელს ყაზახეთში ჩატარდა პირველი საპარლამენტო არჩევნები.¹¹² ამ არჩევნებში ყაზახმა კანდიდატებმა რუს კანდიდატებთან შედარებით მოსახლეობის საგრძნობლად მაღალი მხარდაჭერა მიიღეს. მიუხედავად აღნიშნული ცვლილებისა, ყაზახეთსა და რუსეთს შორის სტრატეგიულ-პარტნიორული ურთიერთობები წარმატებით გრძელდებოდა.

როგორც მემოთ აღვნიშნეთ, რუსული საგარეო პოლიტიკის დოქტრინის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, მთავარი მიზანი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის შენარჩუნება. ამ ამოცანას ისინი „რბილი ძალის“ მეშვეობით ახორციელებენ. სავარაუდოდ, ნაზარბაევის ხელისუფლებისა და რუსეთის სტრატეგიული პარტნიორობა პერმანენტულ ხასიათს ატარებდა, რაც საერთო ინტერესებზე უნდა მიაყრდნობდეს. სავარაუდოდ, ამ ურთიერთობაში მაღალი იყო სადამვერვო უწყებების კოორდინაციის დონე.

111 Peyrouse Sébastien - "Nationhood and the Minority Question in Central Asia: The Russians in Kazakhstan," *Europe-Asia Studies* 59 (2007): P. 484-85

112 Jeff Chinn and Robert Kaiser - *Russians as the New Minority: Ethnicity and Nationalism in the Soviet Successor States* (Boulder, Colo.: Westview Press, 1996). P. 202

ყაზახეთის საგარეო ურთიერთობები ეფუძნებოდა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ნაზარბაევის ადმინისტრაცია ცდილობდა დაებალანსებინა ურთიერთობები რუსეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. რუსეთთან ამას ახერხებდა ნავთობსა და ბუნებრივ აირზე შეღავათიან ფასად მიწოდებით, ხოლო აშშ-სთან, ტერორიზმის წინააღმდეგ კოორდინირებული თანამშრომლობით. ამგვარი ურთიერთობების შედეგად ქვეყანამ შეძლო სუვერენიტეტის შენარჩუნება-გამყარება და მოსახლეობის კეთილდღეობა, რომლის უზრუნველყოფა სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ყაზახეთი გახდა გაეროს, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (რომელსაც იგი თავმჯდომარეობდა 2010 წელს), ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციისა და ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამის“ წევრი, რაც წარმატებულ საგარეო პოლიტიკაზე მიანიშნებდა და სადაზვერვო აქტივობების გარეშე არ მოხდებოდა. ყაზახეთმა დაამყარა საბაჟო კავშირი რუსეთთან და ბელორუსთან, რომელმაც 2015 წელს ევრაზიის ეკონომიკური კავშირის სახე მიიღო. პრეზიდენტმა ნაზარბაევმა პრიორიტეტად გამოაცხადა ეკონომიკური დიპლომატია. მისმა ხელისუფლებამ ფარული და ღია ქმედებებით შეძლო უცხო სახელმწიფოებიდან მომავალი საფრთხეების ნეიტრალიზება.

გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება ყაზახეთის „მულტივექტორული“ საგარეო პოლიტიკა, ანუ სამკუთხედი რუსეთს, ჩინეთსა და აშშ-ს შორის.¹¹³ ასევე ცენტრალურ აზიაში რეგიონული და საერთაშორისო ინტეგრაციის

113 centre for security studies – 16.08.22. P.1. <https://css.ethz.ch/en/services.html>

მოთხოვნა.¹¹⁴

როგორც პოლიტიკური რეალიზმი გვასწავლის, არ არსებობენ მუდმივი მოკავშირეები, არსებობს მუდმივი ეროვნული ინტერესები და გარკვეული გეოპოლიტიკური ცვლილებების შედეგად, მოკავშირეთა ინტერესები შესაძლოა დაპირისპირდნენ. ამ პროცესზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოების სადაზვერვო ხასიათის ანალიტიკური ინფორმაციებს. ხშირად სტრატეგიულ პარტნიორებს შორის დაპირისპირება უცხო ქვეყნების სადაზვერვო ძალისხმევით მიიღწევა. ასე მოხდა რუსეთ-ყაზახეთის ურთიერთობებშიც. ასეთი მოსაზრება ეფუძნება 2022 წლის მოვლენების ანალიზს.

2022 წლის 2 იანვარს ყაზახეთში, კერძოდ, მანგისთაუს ოლქში, იფეთქა საპროტესტო ტალღამ, რომლის ოფიციალურ მიზეზად სახელდებოდა ეკონომიკური ფაქტორი-ბუნებრივ აირზე ფასების ზრდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაძაბულობა შეიქმნა პანდემიის პროცესის არასწორი მენეჯმენტის, ყოვლისმომცველი კორუფციის, სიმდიდრის უთანასწორობისა და სოციალური სტრატეგიკაციის ფონზე. ბუნებრივ აირზე ფასების ზრდა მხოლოდ საბაბი აღმოჩნდა სახალხო პროტესტის ინსპირირებისათვის.

ღია წყაროებში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ყაზახეთის ეროვნული გვარდიის რამდენიმე წევრი დემონსტრანტების მხარეზე გადავიდა (რაც სადაზვერვო პროპაგანდით დემორალიზაციის შედეგად შეიძლება აღვიქვათ). ამას მოჰყვა საგანგებო ვითარების გამოცხადება სრულიად ყაზახეთის ტერიტორიაზე და დემონსტრანტების

114 Gulay Mutlu - Kazakh Foreign Policy Concept for 2014 – 2020 and the Ukraine Crisis - 20 March 2014. P.1. <https://web.archive.org/web/20140323203524/http://www.turkishweekly.net/columnist/3861/-strategy-kazakhstan-for-2020-and-the-ukraine-crisis.html>

მიერ ალმათის? აეროპორტის აღება. აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, კასიმ-ჟომარტ ტოყაევმა დახმარება სთხოვა „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას“, რაც მიიღო კიდეც და ყაზახეთისა და რუსეთის მყარ სტრატეგიულ ურთიერთობაზე მიუთითებს.

აღნიშნულმა ფაქტმა დასავლეთის შეშფოთება გამოიწვია: გამოითქვა შიში კუხოს („კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის“) თანამედროვე „ვარშავის ხელშეკრულებად“ ჩამოყალიბების შესახებ. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა საჯაროდ განაცხადა, რომ თუ რუსები რაიმე ადგილს დაიკავენ, მათთვის ლოკაციის დატოვება ძალიან „რთულია“. ამ პოზიციას საფუძველი ჰქონდა, რადგან რუსეთმა ყაზახეთში საჰაერო სადესანტო ძალების ქვედანაყოფი გადასხა. მთლიანად ყაზახეთში 2000-მდე მშვიდობისმყოფელი შევიდა. 10 იანვრისთვის მათ შეძლეს სტაბილური ვითარების დამყარება: დააკავეს 10000 მომიტინგე; მსხვერპლსა და დაშავებულებში აღმოჩნდნენ, როგორც დემონსტრანტები, ისე სამართალდამცავები, მაგრამ დასავლეთის შეშფოთება არ გამართლდა. კუხოს სამშვიდობოებმა დატოვეს ყაზახეთის ტერიტორია მას შემდეგ, რაც საკუთარი მისია შეასრულეს. არეულობის ფონზე სიტუაციის განმუხტვის მცდელობა ჰქონდა კასიმ-ჟომარტ ტოყაევს. მან გადააყენა მთავრობა და დანიშნა ახალი, თუმცა ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

აღნიშნული პროცესების მიმდინარეობისას ყაზახეთის კონტრსადაზვერვო სამსახურმა გამოავლინა და შემდგომ დააკავა ყაზახეთის დაზვერვის ყოფილი უფროსი. ხელისუფლებამ ის ლალატში ეჭვმიტანილად სცნო, რაც ქვეყნის მასშტაბით ანტისამთავრობო საპროტესტო აქციების ხელშეწყობას ითვალისწინებდა. ეს კი უცხო ქვეყნების სადაზვერვო შეღწევალობის ნიშნებზე მიუთითებდა.

როდესაც სადაზვერვო აქტივობაზე ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ, კასიმ-ჟომარტ ტოყაევის მმართველობის პერიოდში, 2022 წლის გაზაფხულზე,¹¹⁵ ყაზახეთში დააკავეს უცხოელი ჯაშუში, რომელსაც უნდა განეხორციელებინა პრეზიდენტის მკვლელობა. აღნიშნული პირი აქტიურად ცდილობდა საზოგადოებაში რუსოფობიური შეხედულებების გავრცელებას, ხოლო სოციალურ ქსელებში ანტირუსულ პროპაგანდას.¹¹⁶ წინასწარი გამოძიებისას ყაზახეთის მოქალაქემ აღიარა კავშირი უცხო სახელმწიფოს სპეცსამსახურთან. ეს შემთხვევა ყაზახეთის კონტრსადაზვერვო უწყების წარმატებული საქმიანობის შედეგია.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებიდან ყაზახეთმა სწორი საგარეო და საშინაო პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელების შედეგად პრაქტიკულად უმტკივნეულოდ შეძლო სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება. ამ გარემოებას ყაზახეთის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების უმნიშვნელოვანესი როლი განაპირობებს.

უსაფრთხო საერთაშორისო და რეგიონალური კავშირების ჩამოყალიბებაში ქვეყნის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების როლი განსაკუთრებულია.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საერთაშორისო ასპარეზზე სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციულ უზრუნველყოფას მნიშვნელოვანი როლი აქვს.

სადაზვერვო საქმიანობის შედეგად დამაზიანებელი ქმედებების განმხორციელებელი პირების/ორგანიზაციების

115 Kazakhstan arrests spy 'planning attack' on president, other officials. April 3, 2022. P.1 <https://english.alarabiya.net/News/world/2022/04/03/Kazakhstan-arrests-spy-planning-attack-on-president-other-officials>

116 AFP - Agence France Presse - Kazakhstan Arrests Spy 'Planning Attack' On President. April 3, 2022. P.1 <https://www.barrons.com/news/kazakhstan-arrests-spy-planning-attack-on-president-01648971306>

შესახებ მოპოვებული ანალიტიკური მონაცემები ხელისუფლებას მიეწოდება, რათა თავიდან იქნას აცილებული იდენტიფიცირებული საფრთხეები.

ნებისმიერი ქვეყნის კონტრსადაზვერვო სამსახურების მოვალეობას მშვერავი სახელმწიფოდან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილება, დროული გამოვლენა და აღკვეთა წარმოადგენს.

ცენტრალური აზიის ქვეყნები: თურქმენეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა აღდგა თურქმენეთში, ყირგიზეთსა, უზბეკეთში. ამ ქვეყნებში დამკვიდრდა ავტოკრატიულ მმართველობა, რომლის პირობებში ფიქსირდებოდა დესპოტიზმის, დიქტატურისა და ზოგადად ერთპიროვნული მმართველობის ნიშნები. მმართველობის ასეთმა ფორმებმა უზრუნველყო ამ ქვეყნებში დამოუკიდებლობის შენარჩუნება. მიუხედავად ხელისუფლებათა დანაშაულებრივი ქმედებებისა, საერთაშორისო ასპარეზზე თურქმენეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის ეკონომიკური ურთიერთობები მყარი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებთანაც ჩამოყალიბდა და მათ სტაბილური ხასიათი მიეცა. მნიშვნელოვანია ამ სახელმწიფოებში განვითარებული მოვლენებისა და მათი მმართველების ფსიქოლოგიური პორტრეტების გამოყენებული მეთოდების, სამიზნე ობიექტების და მიღებული შედეგების შესწავლა.

თურქმენეთი

თურქმენეთის ბუნებრივი აირით მდიდარმა მარაგებმა, რითაც იგი მსოფლიოში მესამე ადგილზე იმყოფება, განაპირობა მისი ეკონომიკური სტაბილურობა და სხვა სახელმწიფოებთან

შედარებით გაუმარტივდა „გადასვლა“ საბჭოური ეკონომიკური სისტემიდან თვითკმარ რეჟიმზე.

კომუნისტური პარტიის ელიტამ, თურქმენეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის საფარმურად ნიაზოვის ხელმძღვანელობით, არა მარტო შეინარჩუნა ხელისუფლება, არამედ თავის ხელში მოაქცია ძალაუფლების ყველა ბერკეტი. მოკლე ხანში ნიაზოვმა „თურქმენბაშის“ სახელი დაირქვა, რაც ყველა თურქმენის მეთაურს ნიშნავს.¹¹⁷ ნიაზოვმა შეძლო რესპუბლიკაში გავლენის მოპოვებისათვის მებრძოლი ყველა კონკურენტის ჩამოშორება - დაწყებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების ლიდერებით (ყველა თურქმენი „კანონიერი ქურდი“ დახვრიტეს და დახვრეტა ტელევიზიით აჩვენეს), დამთავრებული ყოფილი თანამებრძოლებით, რომელთა დიდმა ნაწილმა ემიგრაციაში წასვლა ამჯობინა. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი თურქმენეთის სპეციალურ სამსახურებსა და პოლიციურ უწყებებს პქონდათ.

კონკურენტული და მმართველობის შემადგერხებელი ძალის ნეიტრალიზაციის შემდეგ ნიაზოვმა ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა მისი გაპრეზიდენტებისთვის. 1992 წელს უალტერნატივო საპრეზიდენტო არჩევნებში მან ხმების 98,3% მიიღო და პრეზიდენტი გახდა.

1994 წლის იანვარში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად ნიაზოვის პრეზიდენტობის ვადა 2002 წლამდე გაგრძელდა. 1999 წელს თურქმენეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება მისი უვალდოპრეზიდენტობის შესახებ.¹¹⁸ ამ პროცესების პარალელურად

117 Turkmenistan. Political Conditions in the Post-Soviet Era - United States Bureau of Citizenship and Immigration Services, 1 December 1993. refworld.org/docid/3ae6a6098.html

118 TURKMENISTAN BECOMES INDEPENDENT - April 2016, p.1. factsanddetails.com/central-asia/Turkmenistan/sub8_7a/entry-4803.html

თურქმენბაშის სახელი მიენიჭა რესპუბლიკის ასზე მეტ ობიექტს, მათ შორის ერთ დიდ ქალაქს და კასპიის ზღვის ყურეს. ნიაზოვის დაბადების დღე ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა, ხოლო მისი ავტორობით გამოსული წიგნი „რუხნამა“ სავალდებულო წესით ისწავლებოდა ყველა სასწავლებელსა და შრომით კოლექტივში. ქვეყანაში შემოიღეს ახალი კალენდარი და წლის პირველ თვეს თურქმენბაშის სახელი უწოდეს.

ყოველივე ამან სახელმწიფოს იმიჯზე ნეგატიური გავლენა იქონია. კომპრომეტირებულ იქნა სახელმწიფო და მისი ხელისუფლება. ამავედროულად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა დაინტერესებული სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური დაზვერვისათვის. პარალელურად წარმოებდა ბუნებრივი რესურსების ექსპორტი და მმართველი კლანის გამდიდრება. ნიაზოვის „დემოკრატიული პარტია“ ქვეყანაში ერთადერთ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. თურქმენეთის პარლამენტის (მეჯლისის) ყველა დეპუტატი და მაღალი თანამდებობის პირი ამ პარტიის წევრი იყო. თავის მხრივ, პარლამენტი კონტროლდება რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს „სახალხო საბჭოს“ მიერ, რომელიც 56 წევრს აერთიანებდა. ხელისუფლების და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს დაპატიმრების მუდმივი შიში ჰქონდათ. პოლიტიკური კონტრდაზვერვის ფარგლებში ნიაზოვის ხელისუფლება და სპეციალური სამსახურები პრევენციის მიზნით აქტიურად იყენებდნენ პროპაგანდისტულ საქმიანობას. ამ ფონზე ე. წ. დაუმორჩილებელ, პარტიული ელიტისათვის მიუღებელ თანამდებობის პირებზე სათანადო მტკიცებულებების არარსებობის პირობებში შესაძლებელი იყო ბრალდების წაყენება თანამდებობის ბოროტად გამოყენების, უცხოეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობისა და სამშობლოს ღალატის შესახებ.

პოლიტიკური კონტრდაზვერვის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებად უნდა მივიჩნიოთ 2002 წელს პროპაგანდისტულად გაცხადებული ინფორმაცია ნიაზოვზე წარუმატებელი თავდასხმის შესახებ, რასაც რეპრესიების მასშტაბური ტალღა მოყვა. ბევრ სახელმწიფო მოღვაწეს 20-25 წლით პატიმრობა მიესაჯა. ზოგიერთ მსჯავრდებულის შესახებ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ციხეში ყოფნის დროს მათ „თვითმკვლელობით“ დაასრულეს სიცოცხლე. აღნიშნულმა პროცესმა ქვეყნის შიგნით საზოგადოების დათრგუნვა გამოიწვია.

თურქმენეთში დამყარებული რეჟიმი წარმოადგენდა ხისტ ავტორიტარულ დიქტატურას. თურქმენეთის სახელმწიფო აპარატმა დაიწყო მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ტიპის რეგლამენტაცია.

2006 წლის დეკემბრის ბოლოს თურქმენეთში გამოცხადდა ინფორმაცია თურქმენბაშის გარდაცვალების შესახებ, რაც გულის უეცარმა გაჩერებამ გამოიწვია. ცნობილი გახდა, რომ ნიაზოვის მემკვიდრე გურბანგული ბერდიმუხამედოვი გახდებოდა, რომელიც მანამდე რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის, ჯანდაცვის მინისტრის და სახელმწიფო უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობებზე მუშაობდა. თურქმენეთის კონსტიტუციით დროებით სახელმწიფოს მეთაურის ფუნქცია პარლამენტის თავმჯდომარეს უნდა შეესრულებინა, თუმცა პარლამენტის თავმჯდომარეს ბრალი დასდეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში, გადააყენეს თანამდებობიდან და დააპატიმრეს. კონსტიტუციაში ოპერატიულად შეიტანეს ცვლილებები, რომლებიც, სავარაუდოდ, ქვეყნის კონტრდაზვერვისა და პოლიციური უწყებების „სპეციალური ღონისძიებების“ შედეგი იყო.

საბოლოოდ, დაინიშნა სახელმწიფოს მეთაურის არჩევნები, მაგრამ ბერდიმუხამედოვი და მისი ხუთივე „მეტოქე“

კანდიდატებად სახალხო საბჭოს დეპუტატებმა დანიშნეს. ფაქტობრივად, ბერდიმუხამედოვი აღმოჩნდა ერთადერთი კანდიდატი, რომელსაც სახალხო საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი. ემიგრაციაში მყოფი ოპოზიციონერები საერთოდ არ დაუშვეს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, რაც, სავარაუდოდ, თურქმენეთის სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო სამსახურების ინფორმაციების საფუძველზე განხორციელდა. საპრეზიდენტო არჩევნები შედგა 2007 წლის 11 თებერვალს და ბერდიმუხამედოვმა ხმების თითქმის 90%-ით გაიმარჯვა. ამის შემდეგ თურქმენეთის სახელმწიფო აპარატში ახალი მასშტაბური წმენდა განხორციელდა. თურქმენეთის ახალი პრეზიდენტს კი ისევ ხოტბას ასხამდნენ. აღნიშნული მდგომარეობა სახელმწიფოს პოლიტიკური დამკვერვისა და კონტრდამკვერვის ნიშნების შემცველი ქმედებებია, რომლის მიზანიც დიქტატორული რეჟიმის შენარჩუნება იყო.

უზბეკეთი

უზბეკეთმა დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის ოფიციალურ დაშლამდე, 1991 წლის 31 აგვისტოს გამოაცხადა. 1991 წლის დეკემბერში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგად მოსახლეობის 98,2%-მა მხარი დაუჭირა უზბეკეთის დამოუკიდებლობას.

დამოუკიდებლობის პირველი წლები სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მსგავსად, უზბეკეთშიც ეკონომიკურ-პოლიტიკური სირთულეებით გამოირჩეოდა. გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, სსრკ-თან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა და ოდესღაც წარმატებული საწარმოების უცარი გაჩერება-გაკოტრება საფრთხეს უქმნიდა უზბეკეთის სახელმწიფოებრიობას.

უზბეკებმა წინააღმდეგობა გაუწიეს რუსიფიკაციის

პროცესს და წარმოჩინდნენ უფრო ძლიერი იდენტობისა და ნაციონალიზმის გრძნობით, ვიდრე ცენტრალური აზიის სხვა ხალხები. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამდე უმბეკეთი იყო მოსახლეობის მიხედვით მესამე, ხოლო ტერიტორიით მეოთხე უდიდესი რესპუბლიკა. აღნიშნული განწყობის ჩამოყალიბებას მნიშვნელოვანწილად განპირობებდა მოსახლეობის რაოდენობა და ტერიტორიული სიდიდე,

უმბეკეთს გააჩნია მდიდარი ბუნებრივი რესურსები. ბევრი ექსპერტი¹¹⁹, მიიჩნევდა, რომ უმბეკეთი, სავარაუდოდ, ახალი დომინანტური სახელმწიფო გახდებოდა, რასაც, რა თქმა უნდა, სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ ცენტრალური აზიის ხუთი სახელმწიფოს მთლიანი მოსახლეობის 40 %-ზე მეტს უმბეკეთის მოსახლეობა წარმოადგენდა.

დომინირებისთვის არსებობდა მნიშვნელოვანი ხელშემშლელი წინაპირობები: ღრმად ფესვგადგმული ეთნოსთა შორის დაძაბულობა; სერიოზული ეკონომიკურ- პოლიტიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევები; არამყარი უსაფრთხოების გარემო, რომლებიც წარმატების შესაძლებლობას ამცირებდა.

დამოუკიდებლობის პირველ წლებში სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება დამოკიდებული იყო საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე. 1996 წლისთვის უმბეკეთში განვითარების პირველი ნიშნები გამოჩნდა.

1992 წელს უმბეკეთმა მიიღო ახალი კონსტიტუცია.¹²⁰ თუმცა პარალელურად აიკრძალა მთავარი ოპოზიციური პარტია „ბირლიკი“, იყო მედიის ჩახშობის პრეცედენტებიც.

119 Uzbekistan Market Overview - 2022-07-21, p.1. tradecommissioner.gc.ca/uzbekistan-ouzbekistan/market-facts-faits-sur-le-marche/0003281.aspx?lang=eng

120 Anderson Kym, Ginting Edimon, and Taniguchi Kiyoshi - UZBEKISTAN QUALITY JOB CREATION AS A CORNERSTONE FOR SUSTAINABLE ECONOMIC GROWTH COUNTRY DIAGNOSTIC STUDY, MAY 2020

ყოველივე აღნიშნულმა დაინტერესებულ სახელმწიფოებს მისცა შესაძლებლობა პოლიტიკური დამკვერვის ფარგლებში განეხორციელებინათ სახელმწიფოსა და მისი ხელისუფლების კომპრომეტაცია, რაც უარყოფითად აისახა სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკურ განვითარებაზე.

1995 წელს ეროვნულმა რეფერენდუმმა უზბეკეთის პრეზიდენტის, ქარიმოვის უფლებამოსილების ვადა 2000 წლამდე გაახანგრძლივა, რითაც მოქალაქეებს შეეზღუდათ ხელისუფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით შეცვლის შესაძლებლობა. ეს კი ხელსდაყრელ პირობას წარმოადგენდა პოლიტიკური ლიდერისა და სახელმწიფოს დისკრედიტაციისთვის.

ძალადობრივი ინციდენტების სერიამ აღმოსავლეთ უზბეკეთში 1998-99 წლებში გააძლიერა მთავრობის აქტივობა ისლამური ექსტრემისტული ჯგუფების, ოპოზიციის, ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ, რამაც ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა საერთაშორისო ასპარეზზე უზბეკეთის სახელმწიფოსა და პრეზიდენტის წინააღმდეგ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის უფრო მეტად გამყარებას.

2000 და 2007 წელს პროცედურული დარღვევებით, კარიმოვის ხელახალი არჩევა შეფასდაროგორც „ხელისუფლების მხრიდან, ამომრჩეველთა ჭეშმარიტი არჩევანის უფლების ჩამორთმევა“¹²¹

უზბეკეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების ძალები გამოყენებული იყვნენ ე. წ. დაუმორჩილებელი პირების, მათ შორის მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების

121 U.S DEPARTMENT of STATE, Uzbekistan, BUREAU OF DEMOCRACY, HUMAN RIGHTS, AND LABOR 2008 Country Reports on Human Rights Practices Report February 25, 2009, p.1. <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/hrrpt/2008/sca/119143.htm> (20.08.2023)

წარმომადგენლების დაშინებასა და ტერორში, წამებასა და ცემაში, არასათანადო მოპყრობაში, მათ შორის უკანონოდ ფსიქიატრიული მკურნალობის იძულებაში.

ყოველივე მიანიშნებდა იმ გარემოებაზე, რომ კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფის ფარგლებში საკუთარი სახელმწიფოს მოსახლეობის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობრივი ქმედებები ემსახურებოდა ერთპიროვნული მმართველობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებასა და ხელისუფლების შენარჩუნებას.

აღნიშნული მოვლენების ფონზე უზბეკეთი დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ეკონომიკურ კავშირებს სისტემატიურად აფართოებდა.

ყირგიზეთი

ყირგიზეთის პრეზიდენტი ასკარ აკაევი საბჭოთა ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების ხელმძღვანელი იყო. ყირგიზეთმა დამოუკიდებლობა 1991 წელს მოიპოვა და, ცენტრალური აზიის სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ლიდერების მსგავსად, ქვეყნის სათავეში მოვიდა ადამიანი, რომელიც კომუნისტური პარტიის ნომენკლატურიდან იყო. ამასთან, ასკარ აკაევი ცდილობდა გამიჯნოდა საბჭოთა სინამდვილეს. ლიბერალური პოლიტიკური კურსის გატარების გამო, აკაევმა საერთაშორისო ასპარეზზე დადებითი იმიჯი და აღიარება მოიპოვა. თუმცა ასეთი იმიჯის ფონზე, იგი ახორციელებდა პოლიტიკური ოპონენტებისა და მედიის დევნა-შევიწროებას. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, მან გაზარდა თავისი უფლებამოსილება: 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა და კვლავ გახდა ყირგიზეთის პრეზიდენტი.

მიუხედავად იმისა, რომ აკაევმა ამომრჩეველთა ხმების

75% მიიღო¹²², დამკვირვებელთა დასკვნებით, არჩევნებზე დაფიქსირდა გაყალბების ნიშნები, რაც, რაღა,თქმა უნდა, სახელმწიფოს და მისი მმართველს უარყოფით იმიჯს უქმნიდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

2000-2003 წლებში ყირგიზეთში მოვლენები უარყოფითად ვითარდებოდა. კორუფციის მაღალი დონე, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სიღარიბე, შექმნილი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ვითარებას ძაბავდა. ამ ფონზე, ქვეყნის პირველი მმართველის ყურადღება მიმართული იყო მისი საპრეზიდენტო ვადის გახანგრძლივებაზე. ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე მისი უფლებამოსილება 2005 წლამდე გახანგრძლივდა. ამ პერიოდში ყირგიზეთში კიდევ უფრო გაიზარდა ეკონომიკური დესტაბილიზაციის მასშტაბები და წინააღმდეგობა ქვეყნის შედარებით უზრუნველყოფილ ჩრდილო ნაწილსა და უფრო ღარიბ სამხრეთს შორის. ამასთან ერთად, უფრო ისლამურ სამხრეთში უკმაყოფილება უფრო სწრაფად იზრდებოდა.

2005 წლის დასაწყისში ყირგიზეთში უნდა ჩატარებულიყო მორიგი საპარლამენტო არჩევნები. ამ არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს ყირგიზეთის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებით ფართოდ დაცინიკურად გამოიყენა პოლიტიკური მანიპულირების ტექნოლოგიები. ოპოზიციის რამდენიმე ლიდერი „წინდახედულად“ წინასწარ გააგზავნეს ელჩებად სხვადასხვა ქვეყანაში, ხოლო როდესაც მათ მოინდომეს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა, უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე იმის გამო, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ ცხოვრობდნენ ყირგიზეთში. სამაგიეროდ, სხვადასხვა ოლქში რეგისტრირებულ დეპუტატობის კანდიდატებს შორის მრავლად იყვნენ მოქმედი

122 AKAYEV, ASKAR AKAYEVICH - encyclopedia.com/history/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/akayev-askar-akayevich. (11.10.2023)

პრემიერდენტის ნათესავები, მათ შორის მისი ვაჟიშვილი და ქალიშვილი. ნათესავების გარდა დეპუტატების კანდიდატების სიაში აღმოჩნდა აკაევის უშუალო გარემოცვის წევრები. აღნიშნული ვითარება სახელმწიფოსა და მისი ხელისუფლების კომპრომეტაციის მნიშვნელოვანი საფუძველი იყო. შესაბამისად, ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა დაინტერესებული ქვეყნების საღაზვერვო სამსახურების აქტივობებისათვის.

საზოგადოებრივი აზრი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე, არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგოდ იყო მობილიზებული. მწიფდებოდა ხელისუფლების ძალადობრივი ცვლილების პროცესი. საჭირო იყო მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის საფუძველზეც ყირგიზეთის ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის წინაპირობა შეიქმნებოდა. 2005 წლის 27 თებერვალს ყირგიზეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნების პირველი ტური. მმართველმა პარტიამ საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ზოგიერთ უბანზე ოპოზიციამ გაიმარჯვა. გარკვეულ საარჩევნო უბნებზე დაინიშნა მეორე ტურები. ეუთოსა და ევროპარლამენტის დამკვირვებლების დასკვნით, ჩატარებული არჩევნები არ შეესაბამებოდა საერთაშორისო ნორმებს. შექმნილი ვითარება დესტაბილიზაციის საფუძველი გახდა. ოპოზიციამ გამართა საპროტესტო აქციები მოქმედი ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებისა და ამომრჩეველთა მასობრივი მოსყიდვის გამო. ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში ამ გამოსვლებმა თავდაპირველად ვერ მოიპოვა მხარდაჭერა, მაგრამ 4 მარტს დაიწყო მასობრივი გამოსვლები სამხრეთ რეგიონებში, რის შედეგადაც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები პარალიზებული იქნა. ამის შემდეგ არეულობამ ბიშკეკშიც გადმოინაცვლა, მომიტინგეების მხარეს გადავიდა

პარლამენტის შემადგენლობის დიდი ნაწილი. მიუხედავად კრიზისისა, 13 მარტს მაინც ჩატარდა საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურები.

შედეგებმა მხოლოდ გააძლიერა საპროტესტო აქციები. ყველაზე მეტი ადგილი პარლამენტში ყირგიზეთის პრეზიდენტის პარტიას „წინ ყირგიზეთს“ ერგო. ამავედროულად გამოცხადდა, რომ პარლამენტში ოპოზიციური ბლოკ „მამულის“ რამდენიმე კანდიდატი გავიდა. ამ ბლოკს სათავეში ყირგიზეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი როზა ოტუმბაევა ედგა.

ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ოფიციალური შედეგების მიხედვით, ყირგიზეთის სამხრეთში დამარცხდა ყოფილი პრემიერი ყურმანბეკი ბაკიევი და რამდენიმე სხვა ოპოზიციური დეპუტატი, რომლებსაც არჩევნების პირველი ტურის შედეგების მიხედვით, გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდათ. აშკარა იყო, რომ ასეთი შედეგებით ხელისუფლებას ოპოზიციის რიგებში განხეთქილების შეტანა სურდა. ხელისუფლების მცდელობამ საპირისპირო შედეგი გამოიღო - საპროტესტო აქციები სულ უფრო ძლიერდებოდა. მომიტინგეები იჭრებოდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში, მძევლად აჰყავდათ მაღალი რანგის თანამდებობის პირები და კატეგორიულად მოითხოვდნენ არჩევნების შედეგების გადახედვას. გახშირდა აკაევის გადადგომის მოთხოვნები, ოპოზიციის ლიდერები თანდათან უფრო ერთიანდებოდნენ. ამ მოვლენებმა კულმინაციას 23-24 მარტს მიაღწია - ბიშკეკში გაიმართა მასობრივი საპროტესტო გამოსვლები და დემონსტრანტები მთავრობის სახლში შეიჭრნენ. პრეზიდენტი აკაევი ოჯახთან ერთად ქვეყნიდან გაიქცა. მან ჯერ ყაზახეთს შეაფარა თავი (ყაზახეთის ექს-პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი აკაევის შორეული ნათესავია, ხოლო აკაევის ვაჟიშვილს ადრე ნაზარბაევის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად, შემდეგ კი რუსეთში გადავიდა). ყირგიზეთის ძალოვანი

სტრუქტურები პარალიზებული იქნა, ყირგიზეთის დედაქალაქში მასობრივი მაროდიორობა და ძარცვა დაიწყო. წესრიგის აღდგენა ოპოზიციის პოპულარულმა ლიდერმა, წარსულში ყირგიზეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა და პრემიერ-მინისტრმა ფელიქს კულოვმა შეძლო, იგი ციხეშიც იხდიდა სასჯელს, ვინაიდან აკაევის მმართველობის წლებში მას დაბრალდა სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. მომიტინგეების მოთხოვნით და პარლამენტის გადაწყვეტილებით კულოვი გამოუშვეს ციხიდან და ძალოვანი სტრუქტურების კურატორად დანიშნეს.

4 აპრილს მოსკოვში ყირგიზეთის საელჩოში ყირგიზეთის საპარლამენტო დელეგაციის თანდასწრებით აკაევმა ხელი მოაწერა პრეზიდენტის პოსტიდან თავისი გადადგომის აქტს, რაც ამ პროცესზე რუსეთის ფედერაციის მყარ კონტროლსა და ამ პროცესის გაგრძელების პერსპექტივაზე მიანიშნებდა. ამ დროს ყირგიზეთში სპონტანურად შეიქმნა ხელისუფლების რამდენიმე ცენტრი და ისინი ერთმანეთს უპირატესობის მოსაპოვებლად ეჭიბრებოდნენ. ქვეყანაში ძლიერდებოდა ანარქია და ქაოსი. მაშინ ოპოზიციის ორმა ყველაზე პოპულარულმა ლიდერმა - კ.ბაკიევმა, რომელიც სამხრეთ ნაწილს წარმოადგენდა და ფ.კულოვმა (ჩრდილოეთი ნაწილის წარმომადგენელი) შექმნეს კავშირი და გაერთიანებული ძალებით მოახერხეს გარკვეული დროის განმავლობაში წესრიგის შენარჩუნება.

შემდგომ პერიოდში ბაკიევი ქვეყნის პრეზიდენტი გახდა, კულოვი კი პრემიერ-მინისტრი. ყირგიზეთში მომხდარ რევოლუციას „ტიტების რევოლუცია“ ეწოდა საქართველოსა და უკრაინაში მომხდარი რევოლუციების მსგავსად. ამ რევოლუციის ერთ-ერთი შედეგი იყო შეთანხმება ქვეყანაში საკონსტიტუციო რეფორმის ჩატარების შესახებ. ამ რეფორმის თანახმად, ყირგიზეთში მართვის საპრეზიდენტო სისტემა საპარლამენტო

სისტემით უნდა შეცვლილიყო. მაგრამ საკონსტიტუციო და სხვა რეფორმების მსვლელობა გართულდა რევოლუციაში გამარჯვებულ ბანაკში ურთიერთობების დაძაბვის გამო. ქვეყანაში ისევ მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. მათ სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირება აწყობდა. 2006 წლის დეკემბერში კულოვის მთავრობა გადადგა და პარლამენტმა უარი განაცხადა მის ხელახალ დამტკიცებაზე პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე.

ისევე როგორც უკრაინის „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ „ტიტების რევოლუცია“ არ დასრულდა ხელისუფლების ერთჯერადი ცვლილებით. მომდევნო წლებში ყირგიზეთში განვითარებული პოლიტიკური პროცესები დიდად იყო განპირობებული რევოლუციური ბრძოლის ლოგიკით. ამასთანავე, „ტიტების რევოლუცია“ ზოგიერთი მახასიათებლით განსხვავდებოდა სხვა ფერადი რევოლუციებისაგან. ერთ-ერთი ასეთი განმასხვავებელი ნიშანი იყო ის, რომ მას არ ახლდა ანტირუსული სულისკვეთება. ზოგიერთი პოლიტიკური ძალა კიდევაც ცდილობდა „რუსული კარტის“ გათამაშებას. მაგალითად, ფელიქს კულოვი გამოვიდა ინიციატივით ყირგიზეთის რუსეთთან კონფედერაციაში გაერთიანების შესახებ და ითხოვდა შესაბამისი რეფერენდუმის ჩატარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელისუფლებო ცვლილებები უკავშირდებოდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული ინტერესების გადაკვეთას ყირგიზეთში.

ყირგიზეთზე გეგავლენის შენარჩუნება რუსეთის ფედერაციის ინტერესს წარმოადგენდა, ხოლო საკუთარი სტრატეგიული ინტერესების გასატარებლად ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდა თავისი კონტროლის გაფართოებას. აღნიშნული

მიზნის განსახორციელებლად აუცილებელი იყო სათანადო საზოგადოებრივი აზრის შექმნა, როგორც ყირგიზეთში, ისე საერთაშორისო არენაზე. მიზნის ასასრულებლად გამოყოფილი და ათვისებული იქნა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 1992-2004 წლებში ყირგიზეთისთვის გამოყოფილმა დახმარებამ 749.0 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.¹²³ ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად უნდა მივიჩნიოთ 2001 წელს აშშ-ის მიერ ავღანეთში წარმოებული ოპერაციისათვის ქვეყნის საჰაერო ბაზების გამოყენება.

რუსეთის ფედერაციის სტრატეგიულ ინტერესებში შედიოდა ყირგიზეთზე გეგავლენისა და კონტროლის შენარჩუნება, რასაც აფერხებდა ამ სახელმწიფოში აშშ-ის გავლენის გაზრდის ამოცანა.

აღნიშნული პროცესების შემდგომ ყირგიზეთში ახალი ხელისუფლების მოსვლის მიუხედავად, მისი დისკრედიტაციის და კომპრომეტაციის პროცესის ინტენსივობა არ შემცირებულა.

2007 წლის დეკემბერში ყირგიზეთში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შესახებ, დამოუკიდებელი დამკვირვებლების მოსაზრებით¹²⁴, არჩევნებმა ვერ შეასრულა ქვეყნის მიერ ნაკისრი მრავალი საერთაშორისო ვალდებულება. მოქალაქეების უფლებები დაირღვა და შეიზღუდა ხელისუფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით ჩანაცვლება. ამას თან დაერთო: მოქალაქეთა წამება და ძალადობა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან; დამნაშავეთა დაუსჯელობა; გაუსაძლისი პირობები ციხეებში; სასამართლოს მიკერძოებულობა; ზეწოლა არასამთავრობო

123 Nichol Jim, Coup in Kyrgyzstan: Developments and Implications, CRS Report for Congress, April 14, 2005, [chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcgicfindmkaj/https://sgp.fas.org/crs/row/RL32864.pdf](https://sgp.fas.org/crs/row/RL32864.pdf)

124 US Department of State, 2008 Country Report on Human Rights Practices in Kyrgyz Republic, Bureau of Democracy, Human Rights, and Labour, 25 February 2009, p.1. <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/hrrpt/2008/sca/119136.htm>

ორგანიზაციებსა და ოპოზიციის ლიდერებსა და დამოუკიდებელ მედიაზე; კორუფციის მაღალი მასშტაბები; ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისა და განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირთა დისკრიმინაცია; ბავშვთა მიმართ ძალადობა; ადამიანებით ვაჭრობა.

დასკვნა

უსაფრთხო საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურებს. მათი უპირველესი მოვალეობაა დაიცვან საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელია საკუთარ და უცხო სახელმწიფოებში ეკონომიკურ, სამხედრო, ბლოკებში, ალიანსებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციების ფლობით, აგრეთვე ხელისუფლებისადმი, იდენტიფიცირებული საფრთხეების შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდებით, უსაფრთხო ინფორმაციული ვერტიკალის შექმნით.

სწორი და უსაფრთხო საგარეო სახელმწიფოს მხრიდან სამიზნე ობიექტი ქვეყნის:

- უსაფრთხო საგარეო პოლიტიკის შემუშავებაზე ხელშეშლა;
- დამაზიანებელი პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური დამოკიდებულების უზრუნველყოფა;
- პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამხედრო გეოლოგიით სასურველი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება საერთაშორისო ასპარეზზე;
- ინტერესის საწინააღმდეგოდ სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკში, საომარ მოქმედებებში ჩართვა და სხვ.

უსაფრთხო საერთაშორისო კავშირების ჩამოყალიბება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც:

- სახელმწიფოს აქვს პირველადი სადაზვერვო ხასიათის

ოპერატიული ინფორმაცია;

- სახელმწიფოს აქვს პირველადი სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის გადამოწმების, სრულყოფის, საფრთხეების იდენტიფიცირებისა და მათზე ოპერატიული რეაგირების მყარი სისტემა;
- დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოს პოლიტიკურ პარტიებში, სახელმწიფო სტრუქტურებში საკუთარი ინტერესების გამტარებელი პირები, პირთა ჯგუფები ჰყავთ და სხვ.

საგარეო პოლიტიკური პროცესის დაგეგმვისას, სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სამიზნე სახელმწიფოების რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, კუთხური მრავალფეროვნება. რელიგიურად და ეთნიკურად იდენტური მოქალაქეებისაგან შემდგარი ჯგუფების მხრიდან დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში არსებობს საფრთხის შემცველი ქმედებების განხორციელების ალბათობა.

უსაფრთხო საგარეო პოლიტიკის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია:

- პირველადი სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ხასიათის ინფორმაციების შეკრება და დამუშავება სახელმწიფოებში, ორგანიზაციებსა და სამხედრო ბლოკებში პროცესების შესახებ;
- პერსპექტივებისა და შედეგების განჭვრეტა/პროგნოზირება დასაგეგმი და გასატარებელი საგარეო პოლიტიკური კურსის სარგებლისა და თავსებადობის შესაბამისობა სახელმწიფო ინტერესებთან;
- რეკომენდაციების მიცემა წერილობითი დოკუმენტის სახით:

- რჩევის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დამუშავება;
- ხელისუფლებისადმი რეკომენდაციის წარდგენა წერილობითი დოკუმენტის სახით;
- არსებული ინფორმაციების გაზიარება პრობლემის სწორად განსაზღვრისა და სათანადო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

საგარეო პოლიტიკის სწორი ანალიზი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველია. სადაზვერვო სამსახურის მიერ მოპოვებული საიდუმლოების გრიფის ქვეშ დაცული ინფორმაციების ანალიზით, საფრთხის ნეიტრალიზაციის/რისკის მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობა არსებობს.

უცხო ქვეყნის სადაზვერვო პროპაგანდისა და დეზინფორმაციის აქტიური გამოყენებით შესაძლებელია სამიზნე სახელმწიფოში:

- პოლიტიკური დაპირისპირების ინსპირირება მმართველ პოლიტიკურ და ოპოზიციურ პარტიებს შორის;
- ვითარების დაძაბვა ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებებს შორის;
- მზვერავი ქვეყნის პოლიტიკური დაზვერვის ინტერესების შესაბამისი შეიარაღებული დაპირისპირების ორგანიზება სეპარატისტულ რეგიონებში;
- მასობრივი-არასანქცირებული მიტინგების ორგანიზება;
- ქვეყნის პრეზიდენტისადმი ძალოვანი უწყების განდგომით საბრძოლო მოქმედებებით კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის ორგანიზება;
- მზვერავი ქვეყნისათვის სასარგებლო კავშირურთიერთობების დამყარებაზე ხელშეშლა;
- სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარების პროცესის გაჭიანურება.

საგარეო ასპარეზზე მნიშვნელოვანი წარმატებების ფონზე სამიზნე სახელმწიფოს წინააღმდეგ დაინტერესებული ქვეყნის ეკონომიკური დაზვერვის ნიშნების შემცველი ქმედებებია:

- ენერგორესურსების მიწოდების შეწყვეტა;
- სატელეფონო კავშირების გაწყვეტა;
- კრედიტების გაცემაზე უარის თქმა.

საერთაშორისო ურთიერთობებში სადაზვერვო სამსახურების მიერ ინსპირირებული „ფერადი რევოლუციები“ შესაძლოა შეიცავდეს შურისძიების ნიშნებს/ელემენტებს მისი ორგანიზატორი სახელმწიფოების მხრიდან. მზვერავი სახელმწიფო ყოველთვის ცდილობს დასაჯოს ობიექტი სახელმწიფოს ხელისუფლება, რომელიც არ ატარებს მის სტრატეგიულ ინტერესებს.

სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების ქმედებების ნიშნები ჩანს, როდესაც სხვადასხვა პერიოდში იკვეთება მმართველობის არათანმიმდევრული, ქვეყნის ინტერესის საზიანო საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირების პროცესები, ან არ ითვალისწინებენ სადაზვერვო სამსახურების ანალიტიკურ ინფორმაციებს უსაფრთხო საგარეო პოლიტიკური კურსის უზრუნველსაყოფად. სავარაუდოდ, საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრისას არ იყენებენ სახელმწიფოს სამეცნიერო პოტენციალს.

ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო პოლიტიკის განსაზღვრა სადაზვერვო აქტივობების გარეშე წარმოუდგენელია.

სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი პერსპექტივები გააჩნიათ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების სისტემების ჩამოყალიბებისათვის როგორც ახალ რეგიონალურ ჯგუფებში გაწევრიანებით, ასევე უკვე არსებული რეგიონალური ჯგუფების ინტერესების განხორციელების ხელშეწყობით. ამ პროცესში

მნიშვნელოვანია მაღალი დონის, ურთიერთდამიანების გამომრიცხავი სადაზვერვო კოორდინაციის ორგანიზება.

საერთაშორისო (რეგიონალური) კავშირების ჩამოყალიბებაზე ან არსებულის განვითარებაზე დამანგრეველად მოქმედებს შემდეგი გარემოებები:

- სახელმწიფოში კორუფციის მაღალი დონე;
- ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის მაღალი დონე;
- სახელმწიფოს ტერორისტულ ქმედებებში მონაწილეობა;
- სახელმწიფოთა შორის აქტიური, სასარგებლო კავშირების შემათავსებელი საბაჟო პროცედურები;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების დაბალი დონე;
- ხელშემშლელი ბარიერების შემქმნელი სატარიფო განაკვეთები;
- სავაჭრო ურთიერთობების დაუხვეწავი წესები და სხვ.

სადაზვერვო სამსახურების დაინტერესების სფეროს წარმოადგენს სამიზნე სახელმწიფოს უსაფრთხოების დოქტრინების შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესები;

დოქტრინის ღია, არასაიდუმლო ნაწილის გამოქვეყნება დასაშვებია ღია წყაროებში, ხოლო დახურული, საიდუმლო ნაწილის დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტრსადაზვერვო რეჟიმით;

სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე დამამიანებლად მოქმედი, სადაზვერვო შეღწევადობისათვის ხელსაყრელი ვითარება იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს:

- სახელმწიფოს მმართველობის სისუსტის ფონზე შიდაელიტურ კლანებს შორის დაუნდობელი დაპირისპირება;

- ხელისუფლებასა და რელიგიური ჯგუფების მმართველობას შორის კონფლიქტი;
- პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების ობიექტებზე არასტაბილური/მძიმე ვითარება.

უსაფრთხოების დოქტრინის ანალიზის შედეგად შესაძლებელია:

- სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის მიხედვით, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებების განსაზღვრა;
- საერთაშორისო ასპარეზზე მეზობელ სახელმწიფოებთან სადაზვერვო პოლიტიკის განსაზღვრა.
- საგარეო პოლიტიკური კურსის სადაზვერვო აქტივობებით განხორციელებისას სამიზნე სახელმწიფოებში საფრთხეს წარმოადგენს:
- სამიზნე ქვეყნის მონათესავე ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის ინტერესების დაცვის მოტივით განსახორციელებელი ქმედებები (მათ შორის: ეთნიკურ / რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების ინსპირირება, ამ ჯგუფების წევრების უფლებების დარღვევებზე საზოგადოებრივი აზრის მობილიზება და მათ საფუძველზე მცირე / მსხვილმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედების წარმოება, სამიზნე ქვეყნის ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა);
- მზვერავი ქვეყნის სახელმწიფო ენის გავრცელების მიზნით, შესწავლას დაქვემდებარებული სამიზნე ობიექტები (მათ შორის საგანმანათლებლო სექტორი);
- საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

მონაწილე მშვერავი სახელმწიფოები, ინსტიტუტები და შებენიერი შემადგენლობის ფორუმები;

- რეგიონული ხასიათის ინტეგრაციის პროცესებში მშვერავი სახელმწიფოს სტრატეგია (მათ შორის, მხოლოდ მისი დომინირებით კონკრეტული კავშირის /გაერთიანების წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე არსებული კონფლიქტების „მოგვარების“ უზრუნველყოფის გეგმები);
- სახელმწიფოს ხელისუფლებების ფასეულობები (მათ შორის: ლიბერალური, კონსერვატიული) და მოსალოდნელი სადაზვერვო აქტივობები. შესაბამისად, დოქტრინის შეფასებისა და ანალიზის განმხორციელებელ სახელმწიფოს ეძლევა შესაძლებლობა დაგეგმოს და იმოქმედოს მისი ქვეყნის წინააღმდეგ მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილების/მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს ხელისუფლების დემორალიზაციის, სოციალურ-პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციის, მცირედიდან მასშტაბური პროტესტის ინსპირირების, არსებული ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის ორგანიზებისათვის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ემბარგოს გამოყენება, ენერგეტიკული ობიექტების ხელში ჩაგდება და ფასების მანიპულირებით (სოციალური ფონის დამძიმება; ფასების შემცირებით ვაჭრობა, დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ მშვერავი ქვეყნის სასარგებლო გადაწყვეტილებების მისაღებად);

საგარეო პოლიტიკური კურსის სადაზვერვო აქტივობებით განხორციელებისას სამიზნე სახელმწიფოებში საფრთხეს წარმოადგენს:

- დაზვერვის ობიექტ ქვეყანაში მშვერავი სახელმწიფოს

სამხედრო ფორმირების დისლოკაცია (შესაძლებლობა სამხედრო სადამკვერვო გადაბირებისათვის, დაპირისპირებული მხარეებისათვის შეიარაღების გადაცემისათვის, საბრძოლო მოქმედებებში უშუალოდ მონაწილეობისთვის და სხვ.);

- სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიების ლიდერებსა და წევრებში მზვერავი სახელმწიფოსადმი დადებითი განწყობების ფონზე, ხელისუფლების შენარჩუნების / ხელისუფლებაში მოსვლის თვალსაზრისით მზვერავი ქვეყნის წარმომადგენლებთან კონტაქტები და მოლაპარაკებები (პროცესით მართვდება დამკვერვის ობიექტი სახელმწიფოს ხელისუფლების წევრებისა და პოლიტიკური პარტიის ლიდერების გადაბირება, კომპრომეტაცია, შანტაჟი, დემორალიზაცია და სხვ.);
- მზვერავი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ დამკვერვის ობიექტი ქვეყნის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების პირადი დაცვის არასწორი ორგანიზება (გამართივებულია გადაბირების, კომპრომეტაციის, შანტაჟის, დემორალიზაციის, ლიკვიდაციის პროცესების ორგანიზება);
- მზვერავი ქვეყნის კონტროლს დაქვემდებარებული, ამავე ქვეყნის ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მონათესავე, დამკვერვის ობიექტ ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური/რელიგიური ნიშნით გამორჩეული კომპაქტური დასახლებები (გამართივებულია სეპარატისტული რეჟიმის ჩამოყალიბებით ტერიტორიული რღვევის ინსპირირება);
- დამკვერვის ობიექტ სახელმწიფოში მშვიდობის-მყოფელთა საფარქვეშ მზვერავი ქვეყნისა და

სეპარატისტული რეჟიმის სამხედრო პირებთან ერთად დაზვერვის ობიექტი ქვეყნის სამხედრო პირების მონაწილეობა (გამარტივებულია დაზვერვის ობიექტი ქვეყნის სამხედრო პირების გადაბირების, კომპრომეტაციის, შანტაჟის, დემორალიზაციის, ლიკვიდაციის;

- სადაზვერვო სამსახურის საფარქვეშ მოქმედი თანამშრომლის გარეშე დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების კუთხით წარმოებულ მოლაპარაკებებში, დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლის მონაწილეობა (მაღალია პირადი ინტერესისთვის არასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა, გადაბირების, კომპრომეტაციის, შანტაჟის, დემორალიზაცია) .

დიდი სახელმწიფოს აგრესიის ნეიტრალიზაციისათვის/რისკის მინიმუმამდე დასაყვანად თავდაცვითი პოლიტიკის განმხორციელებელი სახელმწიფო მზად უნდა იყოს გარკვეული დათმობებისათვის/კომპრომისებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ სახელმწიფოსთან მიმართებით არსებობს დროულობით, სანდოობით, სრულყოფილებით გამორჩეული ინფორმაციები სამიზნე სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის რღვევის/ამ განზრახვის ირგვლივ აქტიური ქმედებების შესახებ, რადგან ამ დროს დათმობა აგრესიის მასშტაბებს კიდევ უფრო გაზრდის.

მეზობელი, დიდი სახელმწიფოს აგრესიის ნეიტრალიზაციისათვის/რისკის მინიმუმამდე დაყვანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამიზნე სახელმწიფოს მიერ მეზობელ, პატარა სახელმწიფოებთან ისეთ კოორდინაციას,

რომელიც სამიზნე სახელმწიფოს თავდაცვიუნარიანობას ამყარებს. ამ მოვლენების ნეიტრალიზაციისათვის აგრესორი სახელმწიფო სამიზნე სახელმწიფოებში, სხვადასხვა ხასიათის კონფლიქტების ინსპირირებას ახორციელებს, რაც დესტაბილიზაციის ფონზე კოორდინაციას ასუსტებს.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარდახი, ი. 2002. პრაქტიკული გზამკვლევი პოლიტიკის ანალიზში: რეასაფეხურიანი მიდგომა პრობლემათა ეფექტიანი მოგვარებისთვის. საქართველოს ბიზნეს სამართლის ცენტრის გამომცემლობა, თბილისი. მაჭარაშვილი მანანა, პოლიტიკის ანალიზი : სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის, თბ. : სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006;
2. ბაღათურია გ. ბაღათურია ო, სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფოს მართვისა და ბიზნესის ამოცანებში, ევროპის უნივერსიტეტი, 2015;
3. გოგინავა ბ. რეგიონალიზმის თავისებურებები ლათინურ ამერიკაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი სადოქტორო პროგრამა: ამერიკისმცოდნეობა ამერიკისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია თბილისი 2020;
4. ენდელაძე თ. საგარეო დაზვერვის ობიექტები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი. თბილისი. 2007;
5. ისმაილოვი ე. პაპავა ვ. ცენტრალური კავკასია: გეო-პოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები, კავკასიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი, 2007;

6. კნუტსენი ო. (1991). პატარა ქვეყნები. პოლიტიკა (კასრაძე ნანა, რუსეთი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2019);
7. მაისაია გ. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ, სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013 წელი;
8. პაპავა გ. საქართველოს არჩევანი: ევროკავშირი თუ ევრაზიული ეკონომიკური კავშირი, ექსპერტის აზრი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2016 წელი;
9. პატარაიად.საერთაშორისო ურთიერთობები, დისციპლინა და თეორია, გამომცემლობა არტე, თბილისი, 2015;
10. პატარაიად.საერთაშორისო ურთიერთობები. დისციპლინა და თეორია. გამომცემლობა არტე, თბილისი, 2015;
11. პატიაშვილი ჯ. ოცდასამი წლის შემდეგ, თანაავტორი ელბა ფოლადაშვილი, გამომცემლობა პალიტრა L, 2013;
12. სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი (მეორე გამოცემა ცვლილებებით და დამატებებით. თბილისი, 2013.
13. სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, მეორე გამოცემა ცვლილებებით და დამატებებით, საქართველოს დაზვერვის სამსახური სპეციალური მომზადებისა და გადამზადების ცენტრი, თბილისი 2013;
14. სამადაშვილი უ. ევროკავშირისა და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ინტეგრაცია - გლობალური

- სტაბილურობის პირობა, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი: გლობალიზაცია და ბიზნესი. #6 / 2018;
15. სანიკიძე გ., ირანი და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები განსხვავებული რეალობები, განსხვავებული შესაძლებლობები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022;
 16. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2018-31.12.2018;
 17. ქოიავა რ. ბალათურია ე. ნიკიტინა ი. საქართველო და რუსეთი: ორმხრივი ხედვა მეოთხედი საუკუნის ურთიერთობებზე კვლევის ანგარიში, საქართველო და რუსეთი დაახლოებასა და დაპირისპირებას შორის: ურთიერთობების 25 წელი, კავკასიური სახლი, 2017;
 18. ცინცაძე ა. ბალათურია გ. არჩევანი დემოკრატიის მშენებლობა ტოტალიტარიზმის ეპოქაში-ედუარდ შევარდნაძის გამოცდილება, ბონდო მაცაბერიძის გამოცემლობა ბაკმი, თბილისი;
 19. Chinn J. Kaiser R. Russians as the New Minority: Ethnicity and Nationalism in the Soviet Successor States (Boulder, Colo.: Westview Press, 1996);
 20. Kozakiewicz J. Polityka bezpieczeństwa państw bałtyckich [Security policy of the Baltic states], Instytut Studiów Strategicznych, Kraków 2003;
 21. Miniotaitė G. 'Lithuania's Evolving Security and Defence Policy: Problems and Prospects', in R. Lopata, J. Novagrockienė, G. Vitkus (ed.), Lithuanian Annual Strategic Review 2006, Military Academy of Lithuania 2007;
 22. Peyrouse S. Nationhood and the Minority Question in Central Asia: The Russians in Kazakhstan, Europe-Asia Studies 59 (2007);
 23. Peyrouse, Sébastien (May 2007). Nationhood and the Minority

Question in Central Asia. The Russians in Kazakhstan. Europe-Asia Studies;

ინტერნეტ წყაროები

24. ალადაშვილი ბ., სუამი – ეკონომიკური ინტეგრაციის გამოცდილება: პრობლემები და პერსპექტივები, 22/06/2007, <http://geoeconomics.ge/?p=2906>;
25. აშშ-ის საელჩო საქართველოში. პოლიტიკა და ისტორია,“ <https://ge.usembassy.gov/ka/our-relationship-ka/policy-history-ka/current-issues-ka/>
26. ბალარჯიშვილი ი., ახალი პოლიტიკური ეკონომია (ლექციების კურსი), თბილისი, 2017, 221 გვ. <https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/balarj.pdf>;
27. ბარათაშვილი, ნ., ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის წანამძღვრები,“ დისერტაცია პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1999. https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi/Medea_Qochoradze.pdf;
28. ბურჭულაძე ნ., სოხუმის ცხელი აგვისტო, (კახა დვალაშვილის (ნიუტონას) დღიურებიდან. 20-25 აგვისტო, 1992 წელი (ლია ტოკლიკიშვილის წიგნიდან, როცა ისინი მკვდრები იღვიძებენ), 2011, 22 აგვისტო, <https://kvirispalitra.ge/article/9074-sokhumis-ckheli-agvisto/>;
29. გივიშვილი გ., ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკა და დასავლეთი, 21.11.2015 <https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=92&id=3200>
30. დასავლეთი – საქართველოს ისტორიული არჩევანი!, ლევან დოლიძის ინტერვიუ Georgian Review-სთან, 6

- თებერვალი, 2016, <https://gcsd.org.ge/ge/siakhle/dasavletisakartvelos-istoriuli-archevani>;
31. ინფორმაცია დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შესახებ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი, 2009 წლის 18 აგვისტო, <https://mfa.gov.ge/News/%E1%83%E1%83%93%>
 32. მჭედლიძე კ., შესაძლებელია თუ არა AES-თელასის აქციები რუსულ კომპანიას გადაეცეს, იენისი 12, 2003, რადიო თავისუფლება, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1529001.html>
 33. მაჭარაშვილი მ., პოლიტიკის ანალიზი :საღმერთო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის, თბ.:სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/halftone-library/collection/civil2/document/HASH01c5c679cd386e953429f50f;jsessionid=1E1330E27B94DF9BCF8C4337933E5404?ed=1>;
 34. რატომ აპირებს ამერბაიჯანი „სუამ“-იდან გასვლას-სუამი სუამ-ად გადაიქცევა?!, 23 თებერვალი 2018, <https://ghn.ge/news/197825>;
 35. საქართველო და პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია CIA-ს დოკუმენტებში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 11 მაისი 2017, https://idfi.ge/ge/documents_from_cia;
 36. საქართველო ნატო-ს ურთიერთობები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, <https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E> ;
 37. საქართველოს კანონი საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ. <https://matsne.gov.ge/document/view/92248?publication=13>;
 38. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და

- შეთანხმება: შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ყოფილი სსრ კავშირის საგარეო სახელმწიფო ვალთან და აქტივებთან დაკავშირებულ სამართალმემკვიდრეობის საკითხთა მოწესრიგების შესახებ, მუხლი 4, 14/09/1993, <https://www.matsne.gov.ge/document/view/1221928?publication=0>
39. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება-ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეგობლური ურთიერთობების შესახებ, 30/07/1992, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1207454?publication=0>
 40. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 2015, 2016, 2017, 2018 წლები, <https://ssg.gov.ge/page/info/reports>
 41. ქოჩორაძე მ., აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ანალიზი, მეთოდოლოგია და ფუნქციონირება (საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან მიმართებაში), საერთაშორისო ურთიერთობებში ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2008.
 42. ჩიქოვანი თ., სუამს რუსეთში დსთ-ის ალტერნატივად აღიქვამენ, მაისი 23, 2006, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1547002.html>
 43. წიქარიშვილი გ., მონტროს კონვენცია, შავი ზღვის გეოპოლიტიკა და სტამბოლის არხი – დამოკლეს მახვილი მონტროს კონვენციის თავზე, 9 ივნ, 2021, <https://tabula.ge/ge/news/668493-shavi-zghvis-geopolitika-stambolis-arkhi-damokles>
 44. ჯენტლესონი ბ. ამერიკის საგარეო პოლიტიკა, არჩვენის დინამიკა 21-ე საუკუნეში, დიუკის უნივერსიტეტი, 2015, გვ.6,

<https://shorturl.at/aNV58>

45. AFP - Agence France Presse - Kazakhstan Arrests Spy Planning Attack On President. April 3, 2022. <https://www.barrons.com/news/kazakhstan-arrests-spy-planning-attack-on-president-01648971306>;
46. Agreements establishing the Commonwealth of Independent States [Done at Minsk, December 8,1991, and done at Alma Alta, December 21,1991], EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL\(1994\)054-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL(1994)054-e);
47. AKAYEV,AKAYEVICHA., encyclopedia.com/history/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/akayev-askar-akayevich;
48. Anderson K. Ginting E. Taniguchi K., UZBEKISTAN QUALITY JOB CREATION AS A CORNERSTONE FOR SUSTAINABLE ECONOMIC GROWTh COUNTRY DiAGNOSTIC STUDY, MAY 2020;
49. BENDIANISHVILI Z., ON THE ROLE OF THE CIVIL SOCIETY AND INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN THE IMPROVEMENT OF HUMAN RIGHTS PROTECTION ISSUES IN THE CONFLICT REGIONS, HUMAN RIGHTS SITUATION IN THE CONFLICT ZONES OF GEORGIA TBILISI 2006, <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/50465.pdf>;
50. Bergmane U., the fate of former KGB Agents in Latvia, March 19, 2018. fpri.org/article/2018/03/the-fate-of-former-kgb-agents-in-latvia/
51. Bucharest Summit Declaration Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Bucharest on 3 April 2008, 03 Apr. 2008 Press Release (2008) 049, https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm;

52. Bureaucratic Politics Tobias Bach, ARENA Working Paper 8/2021, <https://www.sv.uio.no/arena/english/research/publications/arena-working-papers/2021/wp-8-21-bach-final.pdf>;
53. Calus K., Russia announces new sanctions against Moldova, 2013-10-02, [HTTPS://WWW.OSW.WAW.PL/EN/PUBLIKACJE/ANALYSES/2013-10-02/RUSSIA-ANNOUNCES-NEW-SANCTIONS-AGAINST-MOLDOVA](https://www.osw.waw.pl/en/publikacje/analyses/2013-10-02/russia-announces-new-sanctions-against-moldova);
54. centre for security studies, 16.08.22. P.1. <https://css.ethz.ch/en/services.html>
55. CHARTER OF THE UNITED NATIONS AND STATUTE OF THE INTERNATIONAL COURT OF JUSTICE, Article 51, SAN FRANCISCO, 1945, <https://shorturl.at/N8IIS>;
56. CONSTITUTION OF THE REPUBLIC OF LITHUANIA, 20 March 2003, No. IX-1379, <https://shorturl.at/5lcVL>;
57. Countries in the EU and EEA, <https://www.gov.uk/eu-eea>;
58. De Haas M., Russia's Military Reforms Victory after Twenty Years of Failure?, Clingendael Paper No. 5, November 2011 NETHERLANDS INSTITUTE OF INTERNATIONAL RELATIONS CLINGENDAEL, https://www.clingendael.org/sites/default/files/pdfs/20111129_clingendaelpaper_mdehaas.pdf;
59. DE WAAL T., BLACK GARDEN Armenia and Azerbaijan through Peace and War, NEW YORK UNIVERSITY PRESS New York and London © 2003 by New York University All rights reserved, <https://library.asue.am/open/1876.pdf>;
60. Declassified Documents Concerning Russian President Boris Yeltsin, Clinton Digital Library <https://clinton.presidentiallibraries.us/items/show/57569> (Наши молитвы с тобой: главное из стенограмм бесед Клинтона и Ельцина, 31 авг 2018, <https://www.rbc.ru/politics/31/08/2018/5b88f0259a79472136222155>);
61. Durbin B., Bureaucratic Politics Approach Government, <https://>

- www.britannica.com/topic/policy-analysis/Complexities-of-policy-analysis;
62. Eriksson J. Giacomello G., International Relations and Security in the Digital Age, First published 2007, <https://shorturl.at/EMNjo>;
 63. EU helps the Republic of Moldova to face the gas crisis, 15 December 2021, https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/news/eu-helps-republic-moldova-face-gas-crisis-2021-12-15_en;
 64. Ex-senior British military officer: process of Georgia's joining NATO is in fact well underway, 10 Apr 2020, <https://agenda.ge/en/news/2020/1119>;
 65. FLANK DOCUMENT AGREEMENT TO THE CFE TREATY, MESSAGE From THE PRESIDENT OF THE UNITED STATES“, November 19, 1990, <https://www.congress.gov/treaty-document/105th-congress/5/document-text>;
 66. Food Resiliency in Moldova, Assessment and Lessons from Ukraine, Maj. Jamie Critelli, U.S. Army Reserve *Capt. Gustavo Ferreira, PhD, U.S. Army Reserve, January 2023 Online Exclusive Article, <https://www.armyupress.army.mil/Journals/Military-Review/Online-Exclusive/2023-OLE/Ferreira-Critelli/>;
 67. Food Resiliency in Moldova, Assessment and Lessons from Ukraine, Maj. Jamie Critelli, U.S. Army Reserve *Capt. Gustavo Ferreira, PhD, U.S. Army Reserve, January 2023 Online Exclusive Article, <https://www.armyupress.army.mil/Journals/Military-Review/Online-Exclusive/2023-OLE/Ferreira-Critelli/>;
 68. Forester J., The Policy Analysis-Critical Theory Affair: Wildavsky and Habermas as Bedfellows?, Vol. 2, No. 2 (May, 1982), pp. 145-164 (20 pages);
 69. Galeotti M., The secret battlefield: How the EU can help Georgia, Moldova, and Ukraine protect against Russian subversion, 15

- December 2021, <https://ecfr.eu/publication/the-secret-battlefield-how-the-eu-can-help-georgia-moldova-and-ukraine-protect-against-russian-subversion/>;
70. Grigoryan A., Karimov E., Nisan AlıcıWorking Through the Past in the Shadow of the Present: The Cases of Armenia, Azerbaijan, and Turkey“, 15 May 2019, <https://caucasusedition.net/working-through-the-past-in-the-shadow-of-the-present-the-cases-of-armenia-azerbaijan-and-turkey/>
 71. Individual Partnership Action Plans, 09 Jun. 2017, https://www.nato.int/cps/en/natolive /topics_49290.htm;
 72. Kazakhstan arrests spy planning attack on president, other officials. April 3, 2022. <https://english.alarabiya.net/News/world/2022/04/03/Kazakhstan-arrests-spy-planning-attack-on-president-other-officials->.
 73. Kenton W., What Is the North American Free Trade Agreement (NAFTA)? July 28, 2021, <https://www.investopedia.com/terms/n/nafta.asp>
 74. Kostanyan H., Why Moldova's European integration is failing, 03 MAR 2016, <https://www.ceps.eu/ceps-publications/why-moldovas-european-integration-failing/>
 75. Krmoyan K., The Communist KGB Was There to Stay, Jun 14, 2020, <https://evnreport.com/politics/the-communist-kgb-was-there-to-stay/>;
 76. Moldova Economic Update - October 2013, October 7, 2013, <https://www.worldbank.org/en/news/feature/2013/10/07/moldova-economic-update>
 77. Moldova risk report, EUROPE & CENTRAL ASIA, November 5, 2020, <https://www.ganintegrity.com/country-profiles/moldova/>;
 78. Moldova: diversifying supplies and curbing Gazprom's influence, 2023-06-15, osw.waw.pl/en/publikacje/analyses/2023-06-15/

- moldova-diversifying-supplies-and-curbing-gazproms-influence
79. Muscato C. Causation of War: Individual, State & System, <https://study.com/academy/lesson/causation-of-war-individual-state-system.html>
 80. Mutlu G., Kazakh Foreign Policy Concept for 2014 – 2020 and the Ukraine Crisis - 20 March 2014. <https://web.archive.org/web/20140323203524/http://www.turkishweekly.net/columnist/3861/-strategy-kazakhstan-for-2020-and-the-ukraine-crisis.html>.
 81. Napieralska A., Russian-Moldovan Relations after the Collapse of the Soviet Union, Thesis submitted to the Eberly College of Arts and Sciences at West Virginia University in partial fulfillment of the requirements for the degree of Master of Arts in History Robert Blobaum, Ph.D. (supervisor) Katherine Aaslestad, Ph.D. Elizabeth Fones-Wolf, Ph.D. Department of History Morgantown, West Virginia 2012, <https://researchrepository.wvu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1260&context=etd>;
 82. Nichol J., Coup in Kyrgyzstan: Developments and Implications, April 14, 2005, p.1-17, <https://shorturl.at/bxyFI>
 83. Piotrowski S., Security policy of the Baltic states and its determining factors, 5/2018 vol.22, <https://securityanddefence.pl/Security-policy-of-the-Baltic-states-and-its-determining-factors,103315,0,2.html>
 84. republic of estonia, ministry of defence. www.kaitseministeerium.ee/en
 85. Russia in the 21st Century DOMESTIC DEVELOPMENT SINCE 2000, CLASSROOM COUNTRY PROFILES https://jsis.washington.edu/wordpress/wp-content/uploads/2018/02/Russia_2000s_Putin.pdf;
 86. RUSSIAN MILITARY REFORM: TEN YEARS OF FAILURE,


- by Pavel Felgenhauer Defense and national security editor, Sevodnya newspaper, Moscow. RUSSIAN DEFENSE POLICY TOWARDS THE YEAR 2000. Proceedings of a conference held at the Naval Postgraduate School on March 26 and 27, 1997. Ed. by Elizabeth Skinner and Mikhail Tsypkin, <https://nuke.fas.org/guide/russia/agency/Felg.htm>;
87. Schearf D., Political Crisis Boosts Moldova's Pro-Russians but Corruption Real Threat, February 04, 2016, <https://www.voanews.com/a/political-crisis-boosts-moldova-pro-russians-but-corruption-real-threat/3176566.html>;
 88. Secretary General concerned over political situation in Moldova, 06/05/2013, <https://www.coe.int/ca/web/portal/-/secretary-general-concerned-over-political-situation-in-moldova>
 89. Sharafutdinova G. The New Russian Identity and the Burden of the Soviet Past, October 2020, <https://academic.oup.com/book/33438/chapter-abstract/287698640?redirectedFrom=fulltext#no-access-message>
 90. Stuart D. Goldman Specialist in Russian Affairs Foreign Affairs and National Defense Division Russian Conventional Armed Forces: On the Verge of Collapse? CRS Issue Brief for Congress, Received through the CRS Web, September 4, 1997, <https://sgp.fas.org/crs/row/97-820.pdf>
 91. Tajikistan, Events of 2022, WORLD REPORT 2023, Our Annual Review Of Human Rights Around The Globe, HUMAN RIGHTS WATCH, <https://www.hrw.org/world-report/2023/country-chapters/tajikistan>;
 92. The European Union and the Republic of Moldova, Delegation of the European Union to the Republic of Moldova, Press and information team of the Delegation to MOLDOVA, 14.02.2023, <https://www.eeas.europa.eu/moldova/european-union-and->

republic-moldova_en?s=223

93. The Russians sought to have the withdrawal of their troops from the Baltic states linked with the question of respecting the rights of the Russian-speaking minorities in Latvia and Estonia.
94. Top NATO Intelligence Official Meets Georgian PM, 24/03/2022, <https://civil.ge/archives/481181>;
95. TURKMENISTAN BECOMES INDEPENDENT, April 2016, factsanddetails.com/central-asia/Turkmenistan/sub8_7a/entry-4803.html
96. Turkmenistan, Political Conditions in the Post-Soviet Era - United States Bureau of Citizenship and Immigration Services, 1 December 1993. refworld.org/docid/3ae6a6098.html
97. TYAN A., THOMPSON C., An anti-Soviet protest in Kazakhstan haunts the country's current unrest. 7 JANUARY, 2022. <https://www.codastory.com/rewriting-history/protests-kazakhstan-2022-1986/>
98. U.S. DEPARTMENT OF STATE, Uzbekistan, BUREAU OF DEMOCRACY, HUMAN RIGHTS, AND LABOR 2008 Country Reports on Human Rights Practices Report February 25, 2009, <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/hrrpt/2008/sca/119143.htm>
99. U.S. DEPARTMENT OF STATE, ESTONIAN COUNTRY REPORT ON HUMAN RIGHTS PRACTICES FOR 1996, at 931 (Jan. 30, 1997).
100. UNCLASSIFIED NATIONAL SECURITY ACT OF 1947 ACT OF JULY 26, 1947 (As Amended). https://www.webcitation.org/5Xi9eEYG9?url=http://www.intelligence.gov/0-natsecact_1947.shtml
101. US Department of State, 2008 Country Report on Human Rights Practices in Kyrgyz Republic, Bureau of Democracy, Human Rights, and Labour, 25 February 2009, <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/hrrpt/2008/sca/119136.htm>

102. Uzbekistan Market Overview, 2022-07-21, trade commissioner.gc.ca/uzbekistan-ouzbekistan/market-facts-faits-sur-le-marche/0003281.aspx?lang=eng.
103. Volcic D., Report Political Affairs Committee, Armenia's application for membership of the Council of Europe, Doc. 8747, 23 May 2000, <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/X2H-Xref-ViewHTML.asp?FileID=8942&lang=EN>;
104. Барнашов О., ОСОБЕННОСТИ ВНЕШНЕПОЛИТИЧЕСКОГО ПРОЦЕССА В СОВРЕМЕННОЙ ТУРЦИИ, Диалог цивилизаций: Восток–Запад. Глобализация и мультикультурализм в посткризисном мире, М., 2013 г, https://www.researchgate.net/publication/343601587_Osobennosti_vnesnepoliticeskogo_processa_v_sovremennoj_Turcii
105. Владимир Путин Россия на рубеже тысячелетий, Версия для печати, Независимая газета. 1999. 30 декабря. https://www.ng.ru/politics/1999-12-30/4_millenum.html?print=Y;
106. Голубева А., Зотова Н., Госдума приняла закон о запрете гей-пропаганды. Чем он грозит и что запрещает?, Би-би-си, 23 ноября 2022, <https://www.bbc.com/russian/news-63714632>;
107. Ельцин о национальной идее // Независимая газета. 1996. 13 июля. (С. Ю. Пантелеев, К вопросу о государственной идеологии в посткоммунистической России, Московский государственный университет им. М. В. Ломоносова), <https://www.hist.msu.ru/Science/Conf/lomweb01/pantele.htm>
108. Ельцин предлагал Клинтону провести тайные переговоры на подводной лодке, 31 авг 2018, <https://www.rbc.ru/politics/08/12/2022/639182f49a794782cdb21ba3>
109. Концепция внешней политики Российской Федерации, Независимая газета, 11.07.2000, https://www.ng.ru/world/2000-07-11/1_concept.html;

- 110.РЕШЕНИЕ ГЛАВЫ ГОСУДАРСТВ-УЧАСТНИКОВ СОДРУЖЕСТВА НЕЗАВИСИМЫХ ГОСУДАРСТВ от 22 октября 1993 года - 3 декабря 1993 года, О вступлении Республики Грузия в Содружество Независимых государств, https://base.spininform.ru/show_doc.fwx?rgn=3938;
- 111.Рихтун Т., Фальшивые акционеры и настоящий миллиард: как, где и кем принималось решение о выводе \$1 млрд из Молдовы, 10 марта 2016, <https://newsmaker.md/rus/novosti/falshivye-aktsionery-i-nastoyashchiy-milliard-kak-gde-i-kem-prinimalos-reshenie-o-23087/>;
- 112.Смит Д., Причины и тенденции вооруженных конфликтов. http://www.berghof-foundation.org/fileadmin/redaktion/Publications/Handbook/Articles/russian_smith_handbook.pdf;
- 113.СУЛТАНОВ Ч., Последний удар Империи Баку, 20 января 1990 г., БАКУ – 2004, стр. 25, https://library.virtualkarabakh.az/uploaded_files/pdf/a23d3457c492-16.pdf;
- 114.Уголовный кодекс Российской Федерации” от 13.06.1996 N 63-ФЗ (ред. от 31.07.2020) Статья 276. Шпионаж.
http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_10699/



თამარ კიკნაძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.



დავით კუხალაშვილი - ისტორიის დოქტორი, პროფესორი, უსაფრთხოების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, თადარიგის პოლკოვნიკი, 60 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.



არჩილ ორთანაშვილი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. 2017 წელს ოქროს მედალზე დაასრულა ქ. გორის N3 საჯარო სკოლა. 2022 წელს მიენიჭა სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში. 2024 წელს მიენიჭა საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის ხარისხი. არის 11 სამეცნიერო სტატიის ავტორი.

ISBN 978-9941-8-7050-7



9 789941 870507